ლიტერატურული გაზეთი

№3 (259) 14 - 27 თებერვალი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

თაობა

განათლება — უმაღლესი,
პარალელურად, შინაური
საბნის წითელი ატლასის შუქზე
უამრავი წიგნი წაკითხული...
აქედან გამომდინარე, ცოდნა,
რომ, კლასიკოსებს, შეიძლება, მოელაპარაკო
და ანთოლოგიის მზეს გაგიყოფენ,
დისიდენტებს ნახტომები აქვთ სისხლში,
მაინც, იმათ უფრო უხდები,
საკუთარი უფსკრულით დადიხარ.
ზოგჯერ, ღმერთი ხეს დაგანახებს,
დამრეც მიწაზე მობღაუჭებულს —
თვალსაჩინო მაგალითს, როგორ იცხოვრო:
უფსკრულში ჩაცვენილებს
ეს გაჭირვებული ხე აჩვენო,
საბნის ალისფერი შუქი აუნთო,
ამ ცის ქვეშ არ გაიზარდეთ?!
გეგონა, სულ ასე იქნებოდა:
ერთმანეთის თანაგრძნობაში
იცხოვრებდით, როგორც ქვეყანაში...

IV

ემზარ კვიტაიშვილი

პირველად დამემართა

დავიბენი. არ ვიცი. ვეღარ ვხვდები, რა დავარქვა ამას...
მაქვს უცნაური შეგრძნება, თითქოს ათ ნაწილად გავიყავი
(ეს რომ გაითავისო, შუადღის გამოძინებაა აუცილებელი)
და ათივენი შინ ვიმყოფებით, ვტრიალებთ, ვსაქმიანობთ...
ერთმა შესაბრაწი კარტოფილი უნდა ჩათალოს რკინის ჯამში,
მარილში ამოგანგლოს, შავ ტაფაზე აშიშინებულ ზეთში ჩაამხოს,
თანაც გაზის ალს მიადევნოს თვალი — ნაჯაფი არ დაეხრუკოს...
მეორემ „ბოჰემურ ექსპონატად“ მონათლულ დილან თომასის
შემტევი, დაუჯერებლად თამამი და გულახდილი ლექსები იკითხოს;
რას მეტყვის გასახარს არყისგან გადამწვარი, გაზიზინებული,
მორფის გადამეტებული დოზისგან (ამანვე იმსხვერპლა) შეშუპებული ტვინი.
მაინც მეახლობლება, ზღვიდან მოჭრილი ქარივით ლაღი კაცი,
ვინაც დედის მღვრიე საშო ორჯერ (იქეთ და აქეთ) გადაკვეთა
და ემბრიონიდან გულის გახეთქვამდე განჭვრიტა თავისი ცხოვრება,
დაუნდობლად დაწურული ფურცლებიდან ისეთი ნაღველი შემოგაწვება,
უსასრულობაში დაბზრიალებულ დედამიწას რომ ჩაკბიჩავს, დატკვერს.
გაჩორკნილ, გადაწითლებულ ხერხემალზე თეთრი მატლები დაცოცავენ...
(ტომს დართული აქვს შეიმას ხინის ოდნავ მედიდური წინასიტყვა,
სადაც ირლანდიელი პოეტი ბევრ სიმართლეს ამბობს და ზოგან სცოდავს,
თუმცა მეც ვაჭარბებ, სათქმელს ზედმეტად გადავუხვიე, გავიხლართე).
მესამე ჩემთაგანი დაუსაქმებელი შვილების სამსახურზე უნდა დაქიჩმაჩდეს.
მაგრამ წინასწარ იცის, არაფერი გამოუვა, ისევ გააცუცურაკებენ.
მეოთხე იძულებულია, გრანტის თემა (დასავლური სალექსო ფორმები)
მიბლანდ-მობლანდოს და მერე სწრაფად გამოაქვეყნოს საამისო ჟურნალში
(ეს მომცემს გარანტიას, ბუკინისტთან ახალი, საჭირო წიგნები შევიძინო).
დანარჩენი ექვსის უბადრუკ, გაჯანჯლებულ გარჯაზე თავს აღარ შეგაწყენთ.
დაბოლოს, რამდენიც არ უნდა იქნე, ყველაფერს ხომ ვერ გაწვდები!..
ამასობაში, ვინმე ნაცნობი დაგირეკავს და ვერ გადაგიწყვეტია —
რომელმა უპასუხო. სმენაც დაგიქვეითდა, უმრავლესობას ვერ ცნობ ხმაზე.
ვითომ წვალება გაკლდა, კიდევ რამდენი თავსატეხი გამოგიხტა.
ღმერთო დიდებულო! უნუგეშოდ მოხუცებული, წელში გახრილი,
ერთიც ზედმეტი ვჩანდი და ახლა, გაათებულმა, რა უნდა ვაკეთო?!.
ჩემი გასათევია — გამთანგავი, გამჭვარტლული თუნგით ჩამწკრივებული ღამეები.

V

დიმიტრი წიკლაური

აგრიჩელი ხეიბრები

1

ჩვენ ყველანი ხეიბრები ვიყავით, აგრიჩში ვცხოვრობდით გორმახების სიახლოვეს და ჩვენთვის სიცილი რომ არ დაეყარათ, ვცდილობდით, ერთად არ გვევლო. სანამ გამოვჩნდებოდით, ჯერ ჩვენი ხელჯოხების კაკუნი, ფეხსაცმლების ყრუ ბრაგუნი და ღრმა ქოშინი ისმოდა (ხელჯოხების გარეშეც შეგვეძლო სიარული, მაგრამ ეს მეტ ეფექტს იწვევდა), სამათხოვროდ კი ამგვარი ტექსტი გვქონდა დაზუთხული — დაეხმარეთ ხეიბრებს, თქვენ შემწეობას რომ საჭიროებენო. ბანალურად კი ჟღერდა, მაგრამ შთაბეჭდილებას ახდენდა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა. აგრიჩის პროვინციაში ფული ნაკლებად იშოვებოდა, თუმცა ბევრი არც გვჭირდებოდა, რადგან მოზრდილი ნაკვეთი გაგვაჩნდა მცირეოდენი მოსავლით, დასახლებაში მუდამ დავის საგნად რომ იყო ქცეული. ამიტომაც ნაადრევად გაკრეფილ, თითქმის მკვახე ნაყოფზე გავიზარდეთ. მეზობლებს მტრულად შევცქეროდით, როგორც მოშურნეებს, რადგან გვეშინოდა, გაკრეფას მოგვასწრებდნენ. ისინიც იგივე მიზეზით ფრთხილობდნენ და ასეთ დაპირისპირებაში ნაყოფს დამწიფებას ვინ დააცლიდა. ჩვენი მეზობლები ჯიუტი და უტეხი ხალხი იყო. იმ კლდეებს ჰგავდნენ, სოფლის შესასვლელთან რომ აღმართულიყო, პატარა მდინარის პირას (აგრიჩი სწორედ იმ მდინარეს ერქვა და ნაკვეთიც მის გასწვრივ მდებარეობდა). ეს კლდეები თითქოს მოსახლეებზე მოუთხრობდნენ, სიგამხდრე სამარკო ნიშანივით რომ აჩნდათ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდნენ. სიჯიუტით არც ჩვენ ჩამოვრჩებოდით, ეგ არის, ხეიბრები ვიყავით, თუმცა ფულსაც ამით ვშოულობდით. რაღაც დახმარებას მთავრობისგანაც ვიღებდით, ერთი სიტყვით, საკმარისად გვრჩებოდა და შრომაზე ფიქრით აღარ ვიწუხებდით თავს, რომელსაც იმაზე საწყლად წარმოვაჩენდით, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით — მოწყალების გამღებთ უძლურები რომ ვგონებოდით, თითქოს ყურები მხოლოდ იმიტომ გვება, სავალალო ამბები მოგვესმინა, ხოლო სიცოცხლე შიშსა და მწუხარებაში გაგვყავდა. ვისაც ვერ ვატყუებდით, მეყსეულად შევიძულებდით ხოლმე და ბრაზით გავეცლებოდით. ამ საქმის პროფესიონალები ვიყავით, დილიდანვე ვატყობდით დღეს უიღბლობას. ასეთ დროს შინ ადრე ვბრუნდებოდით. აბა, ყოველ გამვლელს რომ დავესაჩუქრებინეთ, განა წაქცევამდე არ ვივლიდით? იტყვიან, თითოეულ სოფელს თავისი გიჟი ჰყავსო, მაგ მხრივ არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისი. ოჯახში ერთი საღიც გვერია, შუათანა ძმა, ერთთავად რომ წუხდა, როცა გავიზრდები, თავი როგორ ვირჩინოო. ამაზე პასუხი არც ჩვენ გვქონდა, მხოლოდ ვუთანაგრძნობდით და ისღა დაგვრჩენოდა, ზოგადი სიტყვებით გვენუგეშებინა, რას იზამ, ბედი არ გქონია, მაგრამ ზეცა მოწყალეა, შენც გადმოგხედავსო. გასაკვირი ამბავი კი იყო, ჩვენ ბედს რომ შენატროდა. სახელად იოსები ერქვა, მე კი ხან რას მარქმევდნენ და ხან რას, კუსპას, მარდს, თუმცაღა ძირითადად საჰაბს მეძახდნენ. ჩემი შუათანა ძმა რომ დაბადებულა, დედაჩემი შიშით დააჩერდა, განა ასეთი რა დავაშავეთ, ბუნებამ ასე რომ გაგვწირაო. ეს შეგრძნება კარგა ხანს გაჰყოლია. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა მე დავიბადე ხეიბრის ჩვეული ნიშნით, ეტყობა, რაღაც მიზეზების გამო ცოდვა გვეპატიაო, უთქვამს. მშობლებს ერჩივნათ, ენა რაც შეიძლება გვიან ამოგვედგა, რადგან სისხლში გვქონდა, პირველივე სიტყვებით წუწუნს მოვყოლოდით. ნიჭის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებდით, მთლად წყალწაღებულნიც არ ვიყავით. დედის მხრიდან წინაპარი, ჩემი დიდი პაპა, გატაცებით სამხედრო ყოფილა, ხეიბრობის გამო რომ დაიწუნეს. სამხედრო ფორმიანს რომ შენიშნავდა, თვალს სევდიანად გააყოლებდა ხოლმე, როგორც არშემდგარ ოცნებას. გზა თვითონ სურდა გაეკაფა. თავს მოხვეული სიკეთეც არ უნდოდა. მან სამკერვალო გახსნა, სადაც სამხედრო კიტელებს და ქუდებს აკერინებდა და ნაწარმით შტაბებს და გარნიზონებს ამარაგებდა, ჩვენ მხარეში ბლომად რომ იყო. პატივსაც სცემდნენ და ფულსაც შოულობდა — მოკლედ, ყისმათი გამოიჩინა, მხოლოდ სიბერეში მოეცარა ხელი. მეც აღმომაჩნდა წერაკითხვის ნიჭი, რაც შეეხება ხატვას, ორივე ძმას და უფროს დასაც გვეხერხებოდა (იგი ჩითის კაბებზე მშვენივრად ქარგავდა ჩიტის გამოსახულებებს), მაგრამ ამას ჩვენები სერიოზულად არ ეკიდებოდნენ, ბავშვურ გატაცებად გვითვლიდნენ და ჩვენს მომავალს ამგვარად განიხილავდნენ, ხეიბრობის მიზეზით მოქმედების არეალი წინასწარ გაქვთო განსაზღვრული. ხატვის ნებას მხოლოდ შუათანა ძმას რთავდნენ, რადგან მის კარიერაზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. ბოლო ხანებში გენერლობაზე მეოცნებე პაპაჩემი ლოგინად ჩავარდა. მე გატაცებით ვუკითხავდი ჰანიბალსა და მაკედონელზე, მათ გმირულ ბრძოლებსა და გამარჯვებებზე. თვალები ცრემლით ევსებოდა, თუმცა მეჩვენებოდა, რომ ბევრს ვეღარაფერს იგებდა. სოფელს მის გამო არ ვტოვებდით, მაგრამ ბოლოს თვითონვე დაგვტოვა. როცა მისი ნატანჯი სხეული აგრიჩის კურთხეულ მიწას მივაბარეთ, იქ დიდხანს აღარ დავრჩენილვართ, ქალაქში გადავბარგდით (რის წამოღებაც ვერ მოვახერხეთ, აგრიჩში დავტოვეთ) და გარეუბნის ერთ დაფხავებულ ნახევარსარდაფში განვთავსდით, რომელიც დედაჩემს ანდერძით ხვდა მამამისისგან (დედაჩემის ძმას ბევრად უკეთესი ბინა ჰქონდა დედაქალაქში, ჩვენგან ძალიან შორს რომ იყო). აქ უფრო გავიმართებოდით წელში, მაგრამ გარეთ გამოსასვლელად ჭრიალა კიბე უნდა აგვევლო. დედაჩემს სახსრები საშინლად ტკიოდა და რაღაცების მოსატანად ჩვენ გვაგზავნიდა. ჩვენც მოგვქონდა, მაგრამ ხურდებს ვიტოვებდით. გამყიდველებს ვეცოდებოდით და ხშირად პროდუქტებს ასაღებ ფასში გვითმობდნენ. ასე რომ, ფულის მნიშვნელობა ბავშვობიდანვე შევისისხლხორცეთ, თავისუფლების გარანტად მიგვაჩნდა და მონეტებით აღსავსე მუჭებს რომ ვიკოცნიდით, გული სიხარულით გვევსებოდა, თუმცა ეს შეგრძნება წამიერად გადაგვივლიდა ხოლმე. ბუნდოვანი მომავალი დაბურულ ტყეს ჰგავდა, სადაც შესვლა უთუოდ მოგვიწევდა. წინ მრავალი სევდიანი სცენა ელოდა გათამაშებას. ამას წინასწარ ვგრძნობდით და გული გვეკუმშებოდა, ფული კი ბევრ რამეს განაპირობებდა. გამდიდრებული კაცი ტვირთით აღსავსე ხომალდს ჰგავს, შინისკენ რომ მიისწრაფვის, რათა ცოლ-შვილს ახაროს, ხელცარიელი კი დიდად არ ჩქარობს, იდუმალი სწრაფვა უკვალოდ გაჰქრობია და ჭრიალა ნავივით მიჰყვება დინებას.

აგრიჩში ერთხელღა ჩავედით პაპაჩემის წლისთავის მიზეზით და მაშინაც საღამოსვე გამოვბრუნდით უკან მატარებლით. მაშინ მომაგონდა, როგორ ვუთანხმდებოდი ხოლმე პაპაჩემს, როცა ბიძაჩემთან მივდიოდით სტუმრად, ვაგონში ფანჯრისკენ მე დავჯდები-მეთქი. გავიდოდა დრო და ამას სევდიანად გავიხსენებდი, როცა თვითონვე მოვიყრიდი პაპაჩემის ხნის და ღვთის შეწევნით მეც მეყოლებოდა შვილიშვილი, რომელსაც მგზავრობისას ფანჯრისკენ დავსვამდი. წარსული უკაცრიელი მხარეა, იქიდან უკლებლივ ყველანი გამოვლენ და მიბრუნება რომც შეგეძლოს, ცარიელი სცენა და მიტოვებული ხარაჩოებიღა დაგხვდება.

იმ უბანს, სადაც დავსახლდით, სამი მხრიდან ჭაობი ერტყა, საიდანაც ძაღლების გაუთავებელი ყეფა მოისმოდა (ეგებ ბაყაყები არ მოსდიოდათ თვალში). მაგრამ ეს არ გვაღელვებდა. ხეიბრებს მალე შეგვეჩვივნენ, შორიდანვე გვცნობდნენ და მოწიწებით თუღა შეგვიყეფდნენ, თითქოს მოგვიკითხესო. ამით ჯანმრთელებსაც უსარგებლიათ. ცდილობდნენ, ის ადგილი კოჭლობით ჩაევლოთ. სხვები ვერ ხვდებოდნენ, რა ემართებოდათ გამვლელებს მაინც და მაინც გზის იმ მონაკვეთზე, სადაც დასახლება დაძენძილ ნაჭერს ჰგავდა მრავალი გადანაკერით, ხოლო ჰორიზონტი წამდაუწუმ ნათდებოდა. იქით ალბათ ჭექა-ქუხილი მუდმივ რეჟიმში იყო.

ცხოვრება მკაცრი კარისკაცივით გვიმზერდა, კარებს მხოლოდ მოხელთებულთათვის ვაღებო. ეს მდგომარეობა ისე ახლო მიგვქონდა გულთან, როგორც ფურცელს მიიტანენ ხოლმე ლამფასთან ნაწერის უკეთ გასარჩევად. დედაჩემს ერთი სული ჰქონდა, გარეთ გასასვლელად კიბეები არ დაგვჭირვებოდა, მაგრამ ბელეტაჟი აუხდენელ ოცნებად დარჩა. ზემოდან საუცხოო ხედები თუ იშლებოდა, ნახევარსარდაფში ვიწრო სარკმელი იყო ჩატანებული, საიდანაც ცის მცირე ნაგლეჯი მოჩანდა, პერიოდულად დიდრონი ბორბლები და საქმიანი ფეხები რომ თელავდა ხმათა შესაბამისი აკომპანიმენტის თანხლებით. კარს ხშირად წინასწარ ვაღებდით, რადგან ჩვენთან მომსვლელებს უკვე ფეხსაცმლით ვცნობდით.

მამაჩემმა რადიოქარხნის შენობაში დაიწყო მუშაობა ღამის მორიგედ, დარაჯობის დიდი სტაჟი მაქვსო, ღამითაც დაჭყეტილი თვალებივით ვიძინებო. ერთხელაც იქიდან ვეება, ჩამოწერილი რადიო მოათრია, კედელზე მიამაგრა და ხმას თითქმის ბოლომდე ჩაუწია, რომ არ შევეწუხებინეთ და დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ აღარავინ მიკარებია. ღამით ყრუდ თუ გაისმოდა მელოდიები, თორემ დღისით ვერაფერს გაიგონებდი. იმ დღეს ძველი ნივთების შემსყიდველმა მოგვაკითხა და დედაჩემმა ის ზარდახშა გაყიდა, სადაც ფულს ინახავდა. აღებული თანხა დანარჩენ ფულთან ერთად შეჩურთა თეთრეულში. ოჯახის ფინანსებს ის განაგებდა, თუმცა სასაცილოდ ჟღერდა ფულის იმ რაოდენობის ამ სიტყვით გამოხატვა. სივრცე ერთობ შეზღუდული იყო. კომოდზე შანდლები ელაგა, მომნუსხველ საიდუმლოთა მიზეზი, მონაცვლეობით რომ ჰფენდა აქა-იქ ნათელს. ჩალისფერი ოთახი ბუნდოვან მყუდროებას მოეცვა, ხოლო როცა მზე ძლევამოსილად აკიაფდებოდა, საცხოვრებელი ფართი ბინდბუნდს როგორღაც შეელეოდა ხოლმე, ჩვენთვის დანარჩენი ავეჯის მჭიდრო განლაგება რომ ეუწყებინა.

— სარდაფს არაფერი სჯობს! — განაცხადა მამაჩემმა, ბავშვობაში სხვენში რომ ეცხოვრა, — როცა გარდავიცვლებით, არა მგონია, ამაზე ღრმად დაგვფლან! აბა, მაღალ სართულებზე რა ყრია? თითქოს საზვერეებს გადიოდე. იქიდან ჩამოსვლას ნახევარი დღე ვუნდებოდი ხოლმე კოჭლობით. ჩვენს ქვემოთ პროფესორს ეკავა ბინა, რომელსაც ღრმა აზროვნებისთვის სამარისებური სიჩუმე ჭირდებოდა. ჩემები სათამაშოს რომ მიყიდდნენ, ჯერ მისთვის უნდა ეჩვენებინათ. იგი ინსტრუქციას ზედმიწევნით გაეცნობოდა და თავად შეაფასებდა, რაოდენი ხმაურის გამოწვევა შეეძლო. პროფესორი ამის დიდოსტატი იყო. უნდა გენახათ, როგორ უტრიალებდა თითოეულ დეტალს, თითქოს სამყაროს საიდუმლოს ამომცნობი მექანიზმი ჩავარდნოდა ხელში. მგონი, თვითონაც მშვენივრად ერთობოდა, ტუჩებს დიდხანს და დაკვირვებით აცმაცუნებდა, სანამ თანხმობის ნიშნად თავს დაგვიქნევდა, ან უარის გამოსახატად ხელებს გაასავსავებდა. დაწუნებული სათამაშოები ჩემებს უკანვე მიჰქონდათ, ატირებულს კი მამშვიდებდნენ, სხვა რაიმე მშვიდობიან ნივთში გადავცვლითო. ჩურჩულით თამაშს მაშინ შევეჩვიე. სულ იმის შიშში ვიყავი, პროფესორის რისხვა არ დამტეხოდა თავზე.

პირადად ჩემთვის სულერთი იყო, სად ვიცხოვრებდი. აგრიჩში როცა ვცხოვრობდით, მამაჩემი მაშინაც გვიან ბრუნდებოდა, სამუშაოს შემდეგ ნაძვნარში რომ ესეირნა და ჩვენი წუწუნისთვის ნაკლებად ესმინა. ვერც გაამტყუნებდი, რადგან მას რეალობის შეცვლა არ შეეძლო, ჩვენ კი არსებულთან შეგუება. იგი ქარხანაში მუშაობდა ზეთის ტუმბოს დარაჯად, სადაც ადრე მათხოვრობა უწევდა, მაინც სულ აქ ტრიალებ და იქნებ ეს საქმე შეითავსოო, შესთავაზეს. მამაჩემს ჭკუაში დაჯდომია და დათანხმებულა, მაგრამ იმ დღის შემდეგ გამვლელთა მოწყალება შეუწყდა. ვეღარც გაერკვა, რომელი უჯობდა. შინ წამოსვლისას გულგრილად მოაბიჯებდა შენობების გასწვრივ, შიგნით შესვლა კი აზრადაც არ მოსდიოდა. არადა, იქნებ ღირდა, იქნებ უკეთესი პირობები შეეთავაზებინათ, შორს წასვლაც აღარ დასჭირვებოდა. პენსიამდე დრო ხომ კიდევ იყო. ისე მე სულ მარიგებდა, ეცადე, ისეთი სამსახური იშოვო, ადრიან ბინდბუნდში არ გიწევდესო სახლიდან გასვლა, ქუჩის ძაღლები დღის სინათლეზე მშვიდდებიანო.

ყველაზე მეტად, რაც ამ სახლში მომწონდა, კედელზე გაკრული რუკა იყო. ინტერესით შევყურებდი მატერიკებსა და ოკეანეებს, ევროპის უცნაურ მოხაზულობას, ამაზონისა და მისისიპის დაკლაკნილ გამოსახულებას, კუნძულ ცეილონს ჩაის

არომატით და ბერინგის სრუტეს დიდრონი ყინულებით და სულ მიკვირდა, ესოდენ ამოუწურავი შესაძლებლობების სამყაროში ბნელით მოცული ნახევარსარდაფი რომ გვერგო წილად და ამით ვკმაყოფილდებოდით. შენობა გამოქვაბულთა კომპლექსს ჰგავდა, რომლის მეპატრონეც სიღარიბე გახლდათ, ყოველი ხიზანი კი მისი მდგმური. დედაჩემმაც ალბათ მათ შემხედვარემ გაყიდა ზარდახშა, დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს რომ არ ექნებოდა ძვირფასეულობის შესანახად. რა სიმდიდრეც გააჩნდათ, თან დაატარებდნენ — წვრილ ძეწკვს, ქარვის საყურეს, თუ დაბალხარისხიან ოქროს ბეჭედს. მეტნაკლებად ერთნაირი შესაძლებლობებით ვცხოვრობდით, არც მომხვდურთა კატეგორიული ტონი გვაღელვებდა დიდად და, ასე თუ ისე, ბოროტ ზრახვებსაც ვუმკლავდებოდით, რადგან შურით აღსავსე გულებს ეკლიან ჩირგვებად მივიჩნევდით, მდიდრულ ცხოვრებას არც მიველტვოდით, პატიოსან კანონდამრღვევებს კი დიდ პატივს ვცემდით. ბევრ რამეს მიმზიდველ ელფერს ხომ სწორედ აკრძალვა ანიჭებდა. მიტინგებში გარევაც გვიცდია, როცა დროშებს ქარების ნაცვლად ადამიანები აფრიალებდნენ — იმ პერიოდში ხშირად რომ იმართებოდა სხვადასხვა სოციალური მოთხოვნით. მე და მამაჩემმა შესაბამის ორგანიზაციასაც მივმართეთ, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს, ხეიბრების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუმცა მჭექარე ხმები უფრო გვჭირდებაო.

— მჭექარე ხმებიც გვქონდა! — ვიმართლებდით თავს, — მოწყალების თხოვნამ ჩაგვიხლიჩა!

მაშინ დაწვრილებით აგვიხსნეს, საქმეში რომ გამოვდგომოდით, ხმები აქ უნდა ჩაგვხლეჩოდა. ეცადეთ, გამოიმუშავოთ — დაგვარიგეს შინაურულად — სიტყვამ მთავრობის დახშულ ყურამდე რომ მიაღწიოსო, მაგრამ თვითონაც არ სჯეროდათ, ეს ხმის ჟღერადობაზე ყოფილიყოს დამოკიდებული. თანამოაზრეებად კი მიგვიჩნევდნენ, რადგან არც ჩვენ გვაწყენდა მდიდართა საზოგადოება, მოწყალების გაღება რომ არ გასჭირვებოდათ. ფულის დაზოგვას კი ვცდილობდით, თუმცა სახვალიოდ გადასანახი არასოდეს გვრჩებოდა. არსებობს ელიტარული პირობები და არსებობს ელემენტარული პირობები. ჩვენ მხოლოდ მეორეს ველტვოდით, რომლის მკაფიოდ გამოსახატად აზრების კონცენტრაციას ვახდენდით, გვინდოდა არსებობის ავკარგიანობას ჩავწვდომოდით და ჩვენი საწუხარი გაგვეჟღერებინა, მაგრამ ცხოვრება რაც უფრო გაუთლელს ჩაგვიგდებდა ხელში, მით უფრო გონივრულად ჩამოგვაყალიბებდა, ხოლო ესოდენ მგზნებარე გარემოცვა, მიტინგის ორგანიზატორები რომ წარმოადგენდნენ, უნდა გენატრა. ატლასის ნაჭრებისგან დროშებს თვითონვე კერავდნენ, თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმით ყოფილიყვნენ დაკავებულნი. ფუჭად ნაკუწსაც არ დაკარგავდნენ და სოციალურ მოთხოვნათა ტირაჟის შესაფუთად იყენებდნენ. თუმცა მდგომარეობა როცა იძაბებოდა, ხალხმრავალ ადგილებს პირველნი ტოვებდნენ. მშიშრებს ჩვევიათ უხმოდ გაძურწვა. ისე ჩქარობდნენ, დაძრულ ტრამვაის შეახტებოდნენ ხოლმე, ოღონდაც გაჰყოლოდნენ, ჩასვლამდე კი ერთი გაჩერებით ადრე დგებოდნენ ფეხზე, პირველნი რომ ჩამომხტარიყვნენ. ამ ახტომა-ჩამოხტომის ციკლს კი, როგორც მორიგ გმირობას, რევოლუციური ელფერით მოსავდნენ. თავის გასამართლებლად იმას იმიზეზებდნენ, რომ მთავარი სწორედ მთავარი ბირთვის გადარჩენაზე ზრუნვა გახლავთო, მაგრამ საყოველთაო დევნის და დარბევის პერიოდში ენა დიდი ხნით ჩაუვარდათ, ზედ კბილის ნაჭდევები აჩნდათ. ვერ ითვალისწინებდნენ, რომ ყოველ წამოწყებას თანმდევი მოვლენები ახლავს. ჩვენ კი, რახან საბრძოლველად დაგვიწუნეს, ქალებს ვეხმარებოდით შინ, კოშკში გამოკეტილებს რომ ჰგავდნენ. ჩემ საღ ძმას არაფერში ვრევდით, როგორც ბედისგან ისედაც დაჩაგრულს. თეთრეულს ქუჩაშივე ვფენდით და მთელ ფართლეულს ვამზეურებდით. სარეცხს თოკებზე ვკიდებდით და სარჭებით ვამაგრებდით. ზეწრებს ტკაცუნი გაჰქონდათ, როგორც იალქნიანი ნავების აფრებს. პერანგი ლეიბის სარჩულივით უნდა ქათქათებდესო, ბრძანებდა დედაჩემი. ისე უნდა ბზინავდეს, როგორც თოვლი და ვერცხლი. ეს დღეები ყოველთვის ტკბილად გამახსენდება, რადგან შემდგომ მრავალჯერ წამიხდა ცხოვრებაზე წარმოდგენა და გეზიც ბევრჯერ ვიცვალე, რადგან ამ საზოგადოებაში ვინც ზემო ფენებში აღწევას ცდილობდა, საფეხურებად ადამიანებს იყენებდა. მე კი პრივილეგიების დიდად არ მჯეროდა, მხოლოდ თანასწორობას ვგულშემატკივრობდი. როცა თანამოაზრეები შემოგეცლებიან, სხვა ფაზაში შედიხარ და გარეგნულ ნიშნებს აკვირდები. დაგრეხილი ძეწკვი ტანჯვით მიღწეულ სრულყოფილებას ჰგავს, დახრილი დროშები ტბორთან ჩამწკრივებულ მტირალა ტირიფებს, ამ ქვეყანაზე კი მხოლოდ იმ საქმის მიდევნება ღირს, რომლის განვრცობაც შესძლებელია და არა იმის, ჩიხს რომ მიგაყენებს.

უფროსი და ჩვენზე განათლებული იყო და პედაგოგად დაიწყო მუშაობა ხეიბრების სკოლაში. ჩვენც ის სკოლა დავამთავრეთ, სადაც ჩემი ძმა ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ძლივს მიიღეს

განსხვავებულობის მიზეზით და ბოლო ზარამდე კლასელების დაცინვის ობიექტად იყო ქცეული. ეგებ ამ დაცინვამაც გამოჯეკა შემდგომში. მასწავლებლები საკლასო ჟურნალის სიას რომ დახედავდნენ, აბგდ-ს ამოკითხვის შემდეგ შემართებას ჰკარგავდნენ. იქ, სადაც ჭხჯჰ — იწყებოდა, მოწყენილობა იპყრობდათ, თითქოს უდაბნოში მოხვედრილიყვნენ, სადაც ერთი ზეთისხილიც არ ხარობდა, ანდა სულაც ჯართის ჩამბარებელი პუნქტის მისამართი ეუწყათო. ჩვენ სკოლაში ამ ასოებით ასობით ოროსნის გვარი იწყებოდა, რომლებიც შეკითხვებს აბსოლუტური დუმილით ხვდებოდნენ, თუმცა გაკვეთილები ხმაურით მიმდინარეობდა, მაგრამ სემესტრული გამოცდების დროს ბუზის გაფრენის ხმის გაგონების დარი სიჩუმე უნდა ჩამოწოლილიყო, რომელსაც დროდადრო რომელიმე დამსწრე პირი თუ დაარღვევდა პრეტენზიული შეძახილით — კალამს ნუ აწვალებთ; პირში ხელს ნუ იდებთ — და ასე შემდეგ. ჩემ დას ერთიხანობა სკოლის მიტოვებაც უნდოდა, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა, ვაითუ, რასაც გავურბივარ, მერე მთელი ცხოვრება, სანატრელად მექცესო. ერთხელ დიდ შესვენებაზე მივაკითხე, საკლასო ოთახში იჯდა და სევდიანად შეჰყურებდა დაფას, რომლის კალთაზეც ცარცი და ჩვარი ელაგა, ერთმანეთს მტრულად რომ უმზერდნენ, ჩემ დას კი ძლიერ უხაროდა ჩემი დანახვა. სკოლიდან ერთად წამოვედით. სიამოვნებით მივატოვებდი აქაურობას და სადმე მთის სოფელში გადავიხვეწებოდიო, გამიმხილა. იმ დღეს პირველად შევნიშნე, მშობლებს საფეთქლებთან თმები რომ შევერცხლოდათ, წლები დაუფარავად აჟღერებდა თავის განაცხადს და სიბერის ხანმოკლე სიხანგრძლივე მწუხარე ზარ-ზეიმით იწყებოდა, იგი მომქანცველ სიარულს ჰგავდა, თვითმფრინავი რომ გაგასწრებს და აეროპორტიდან ფეხით გიწევს უკან დაბრუნება. ჩემები ბუნტისთავები არასოდეს ყოფილან, გაფიცვებში მონაწილეობასაც ერიდებოდნენ და ხელმოწერებსაც გაურბოდნენ კოლექტიურ წერილებზე, როგორმე საქმის გაჩარხვა კი სურდათ, ფინანსური კრიზისიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ენერგიულობა აღარ ეტყობოდათ.

როცა შებინდებისას ნესტით გაჟღენთილ გზაზე უკანასკნელი ტრანსპორტი რახრახით ჩაივლიდა ხოლმე, ძილისთვის ვემზადებოდით. ამგვარმა ღამეებმა დაგვიღარა სახეები. ახალი წლის ღამე კი სულ სხვა იყო. ლამპიონები ათასფრად ბრჭყვიალებდა. ხეებიც საზეიმოდ მოერთოთ, თითქოს საუკეთესო პიჯაკებში გამოაწყესო. ჩვენც ისეთი შემართება გვეძლეოდა, ტაძრის ნანგრევების დანახვა რწმენას ვერ შეგვირყევდა, ხოლო ჩიტთა ჭიკჭიკი ანგელოზთა გალობად ჩაგვესმოდა, მაგრამ მონოტონურ ერთფეროვნებას არაფერი შეცვლიდა.

2

ერთ დღესაც დედაჩემმა კედლიდან რუკა ჩამოხსნა, აქ ბიძათქვენის კარადა უნდა დავდგათო, რუკა კი გორგალივით დაახვია, იმ კარადის თავზე რომ შემოეგდო სამუდამოდ. როგორც ჩანს, ბიძაჩემი კარგა ხნით აპირებდა გადმოსვლას. კუთხე როგორღაც მოუწყეს, რასაც ჩვენი გართობის ტერიტორია შეეწირა და ოთახიც უცებ დაპატარავდა. ავეჯი სატვირთო მანქანით მოზიდეს. ბიძაჩემმა და მისმა მეგობარმა ჯერ ყველაფერი ძირს ჩამოცალეს, მერე კი დიდხანს ჩაჰქონდათ სარდაფში. სკამებს პატარები ვეზიდებოდით, მძიმე კარადებს უფროსები, მაგრამ დიდ მაგიდას ვერაფერი მოუხერხეს და სადაც ჩამოდგეს, იქვე დატოვეს, აქაც გამოდგებაო, ურჩია მეგობარმა, კარგ ამინდებში გარეთ ისადილებთო. მაგიდა ისეთი მძიმე იყო, ღრმად ჩაჯდა მიწაში, ყოველი წვიმის მერე რომ ტალახდებოდა. დაძვრა მერეც აღარ გვიცდია და დარწმუნებული ვარ, დღესაც იქ იდგება. ბიძაჩემი ჩვენთან მშვენივრად მოეწყო, ავეჯიც გაცილებით უკეთესი ჰქონდა და ჩაცმითაც ურიგოდ არ იცვამდა. ბროლის ჭიქები, ფაიფურის ლამბაქები და გამჭვირვალე საფერფლე, უფრო მოჭიდავის მიჭყლეტილ ყურს რომ ჰგავდა, ვიდრე ნიჟარას, ტრამვაის ყოველი ჩავლისას რიტმულად იწყებდა რხევას და ადგილობრივი ჭურჭლის ზრიალს თავისი ბგერებით მეტ მრავალფეროვნებას მატებდა.

სახლი, სადაც ადრე ათასში ერთხელ ჩავდიოდით ხოლმე, ვალების გამო გაეყიდა ბიძაჩემს. ერთ დროს მარად მასპინძელს რომ ეძახდნენ, მაგრამ ბოლო ხანებში საქმეები ცუდად წასვლია და მხურვალე საღამოებს ვეღარ მართავდა. აღარც აღარავის ენახებოდა, თითქოს შინიდან სახანძრო კიბით ჩადისო. გულგრილობაც დასჩემდა და ერთთავად ამას იმეორებდა, ბოროტის უდიდესი მიღწევა ისაა, რომ შენც გაგაბოროტოსო. მაღალფარდოვნად კი მსჯელობდა, რელიგია რეალობააო, რომ ურწმუნოთა ჩიხში შესვლით მორწმუნე კიდევ უფრო თავდაჯერებული ხდებაო, ხოლო გულგატეხილობა მიზეზი არ არის ცხოვრებაზე ხელის ჩასაქნევადო. მაშინ ხომ იმ მორბენალს დაემსგავსები, შედეგი რომ ვერ აჩვენა და ფინიშის ხაზთან მხოლოდ იმ მიზეზით ბრუნდება, ტანსაცმელი და ჩანთა აიღოსო. მსჯელობის დასასრულს კი ასე იტყოდა, რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვთო. შეკითხვა მამაჩემს ჰქონდა. მას აინტერესებდა, ჩვენთან რამდენი ხნით აპირებდა დარჩენას, მაგრამ უბრად გაცლას ამჯობინებდა.

ბიძაჩემს ხახვივით პატარა თავი და ზორბა ტანი ჰქონდა. კუნძულ ახალ გვინეას ჰგავდა მსოფლიო რუკაზე, რომელიც მისი მიზეზით ჩამოხსნეს, თორემ შევახედებდი და თვითონვე დარწმუნდებოდა. ქადაგად დავარდნა ჩვეოდა, აღმოსავლეთში სიბრძნეს ეძებენ და სისასტიკეს პოულობენო, მაგრამ იქნებ სწორედ ამაში მდგომარეობდა სიბრძნის აღმოჩენა. ბიძაჩემს ოჯახი არასდროს ჰყოლია და პიროვნულად ცდილობდა ჭეშმარიტებამდე გაღწევას. მუდამ განდეგილივით ცხოვრობდა, სამყაროს ლაბირინთში გზა მარტომ უნდა გაიგნოო, დაეჩემებინა, კოლექტიური ძიების როგორღაც არ სჯეროდა. ვინც სიტკბოება ვერ მოიპოვა, შხამის შეგროვებას შესდგომიაო, ხოლო ვინც ადამიანის ხორცს შეეჩვია, შიმშილის გრძნობას ვერასოდეს დაიოკებსო. მაგრამ ეტყობა მისმა ჭკვიანურმა მსჯელობამ ჩამოყალიბებული სახე ვერ მიიღო, რახან ყველაფერი დაკარგა. გაკოტრებული ბრძენი ჩიხს ზედმეტმა ცოდნამ მიაყენა. დღისით ფიქრები ტანჯავდა, ღამით კოშმარები. მის ძველ სახლში ყველაფერი ფერადოვნებით გამოირჩეოდა. ჭყეტელა შპალერები თვალს მოგჭრიდა, თაროები სპილენძის თასებით გამოეტენა. ჩვენ კი, რაც გაგვაჩნდა, იმდენად მნირი იყო, საბაზო აღნუსხვას არც საჭიროებდა, სამზარეულოს აღჭურვილობას კი თითო-ოროლა ჭიქა და თეფში თუ ამშვენებდა. ადრეულ წლებში, როცა ბიძაჩემი შინ ნებივრობდა და ფორთოხლის ტკბილ წვენს მიირთმევდა, მამამისი სერიოზული საქმეებით იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ მარილები აწუხებდა და ძარღვებში ხანდაზმული სისხლი მძიმედ უჩქეფდა, სნეულებას მაინც არ ეპუებოდა, ჩაფხუტდამხობილი მეომარივით, საყვირებს რომ აღმუვლებს და სხვებსაც ბრძოლისკენ მოუხმობს, რადგან უკანდახევა არ ჩვევია. იგი ცხოვრებას ვალდებულებათა აღსრულებად აღიქვამდა. ამიტომაც იყო, შვილებს რაიმე ქონება თუ გააჩნდათ, სწორედ მან დაუტოვა. თავდაპირველად ბიძაჩემიც მას ბაძავდა, წინასწარი შეთანხმების გარეშე ხელს არაფერს ჰკიდებდა, საქმეებს მიმოწერით აგვარებდა, ხოლო დეპეშებს მოუსავლეთიდანაც იღებდა, რადგან იქაური ამბებიც იყო მისთვის მნიშვნელოვანი. სანიმუშოდ მოწყობილ სახლშიც ნახევარი ავეჯი დამონტაჟებული ჰქონდა, ყველაფერი ღილაკებით უნდოდა ემართა, მაგრამ ბოლოს ის ხელი, რომელიც მოეცარა და ყოველ შემდგომ დღეს უარესობა მოჰქონდა მისთვის, ჩაიქნია კიდეც. ცხოვრების უსაზღვრო განვრცობამ ბევრ რამეზე აუცრუა გული, დაცემის უკიდეგანობაში დაარწმუნა და ძლევამოსილი ნაბიჯები ლასლასით შეუცვალა, მერე კი, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ქადაგებას უმატა — ქვეყნად ყველა საქმე არ უნდა ითავო, გაგხარჯავენ, რადგან ნივთებსაც ვადა ჰქონიათ, როგორც წამლებს. რაღაც დროის მერე უვარგისობა ეტყობათ. იმიტომაც ყრიან ნაგავსაყრელზე, ან ბუხარში შეუძახებენ ხოლმეო. წარმატებაც დროებითი ყოფილა. ცხოვრება ცარიელ ადგილებს არ ტოვებს. დოქში სასმელი თუ არ ასხია, მტვრით ივსება, ხოლო ცეცხლგამძლე კარადას მხოლოდ უჟანგავი მეტალისგან ამზადებენო. ბიძაჩემი ჭკვიან ადამიანად მიგვაჩნდა. ერთხელ ამის შესახებ პირშიც მივახალეთ, მაგრამ განგვიმარტა, ჭკვიანი ის არის, ვინც ჭკვიანები თავის სამსახურში ჩააყენაო. ფიზიკა პათეტიკაა, რომელსაც მათემატიკა არ შეეპუება, რადგანაც მუდამ ზუსტი განსაზღვრებების მომხრეა (მე პირადად მათემატიკაში არითმეტიკის იქით არ წავსულვარ, რადგან ვგრძნობდი, ამ გაუგებრობაში რომ შემეტოპა, უკან გამოსაღწევ გზას ვეღარ გამოვაგნებდი), რჩება სფეროები, რომელსაც მეცნიერება ვერაფრით მოიცავსო. მხატვრობას თუ გადაწყვეტთ, საღებავებში მაინც უნდა გაერკვეთ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ლია სტურუა

დასწრება

არა დასწრების შეჩვეულ გრაფიკას,
სისხლის ლაქას ვდებ ქაღალდზე —
ასე აღნიშნავენ არსებობას
ისტორიულ, ანუ ძველ
და საწყალ ქვეყანაში,
კიდევ, პატარაში და ტვინარეულში,
თორემ ანბანს
იებით როგორ დაიწყებდა?
ბავშვების საყოველთაო აცრით პოეზიაზე,
მშობლების დაუკითხავად.
მერე, დანარჩენი დაავადებები?
მაგ. ყივანახველა,
მამლები რომ ამოყავს პირიდან
და წითლად ინახავს.
ესენი ტანზე თუ დაიხატე,
სხვა სახადი დაგემართება,
რომელიც ან სიკვდილით თავდება,
ან მეტაფორით, თუ ამ უკანასკნელით,
საჯარო მაგიდასთან მიხვალ
და ტრადიციული გრაფიკის ნაცვლად,
სისხლის ლაქას დადებ ქაღალდზე,
ე.ი. მონაწილეობ ამ ცხოვრებაში...

კონვენციური ლექსი

კაცი მომეწონა
და ლექსის ყელი დავავიწროვე,
მუსიკა იყო საჭირო,
ალტერაციას თავისუფალ ლექსში
ვერ შევიტანდი, იქიდან
სხვა შუქი მოდიოდა,
იმასაც სხვა ბროლი ედგა თვალებში,
ხედავდა, ბალახის ჩრდილში
როგორ იცხოვრებს, ჭიანჭველების რიტმში,
ჰიპერბოლით ზურგზე...
როცა ერთმანეთს ვეხებოდით,
ორი ხელის ათივე სხვით მარწმუნებდა,
რომ მის მერეც შემიძლია
ლექსს ყელი მოვუნახო,
შიგ სპაზმი ჩავაგდო,
ტრადიციულ რითმებზე მუსიკა დავსვა,
რაც არც ისე უბრალოა,
როცა საქმე ჰარმონიას ეხება...

* * *

ძველი ფოტოები
თეთრი აბრეშუმის კაბა.
კრეპის შავ ზღვას მიყვება ცოლად.
მენდელსონის შაქარყინული...
ბიომეტრული ჩაშტერების შემდეგ
მშობლების დანგრეული არქიტექტურა.
ვგავარ რამით?
ჟღერადობით, სინათლის ხარისხით,
გახამებული საყელოს რეჟიმით,
შავ-თეთრი დრამატიზმით?
აი, სადაა ფსკერები!
ფსიქოთერაპევტი უკვე გადმომიქართულეს,
რომ ქვეცნობიერი
დედისრძიანად ამომიტრიალოს,
მაიძულოს,
თუ წარსული მკაფიო მქონდა,
კისერი მოვუგრიხო კობალტს და კინოვარს,
მერე რითი გადავფარო
შავი მიწა, თეთრი სუდარა?

წიგნებზე

იყო დრო, როცა ღიმილით
ვიღაცის გათბობა შემეძლო.
მზის ლიმიტი ამოვწურე,
სულ „გარეთ გასვლა მეზარება“-ში
ვცხოვრობ, დღის 5 საათზე დაღამებაში...
გადმოქართულებული რეპი მომესაჯა,
სლენგზე გაზრდილი ბავშვების
მდინარეში შეყვანა
და რუსთაველით მონათვლა,
აღარ გამომდის, პედაგოგის
ნიჭი მაკლია, მაწვნის დედობის,
ვის შვილებსაც ქათქათი გაუდით,
ქრესტომათიის შრატიდან კლასიკა ამოყავთ
და კრიალებენ ერთად!
ამათ მაინც იციან,
რუსთაველის მიმბაძველ საუკუნეებს
გურამიშვილმა როგორ გადაუარა
თავისი რვამარცვლიანი სიჯანსაღით,
მუხამბაზებში ჩამდნარი პოეტები,
რაც უნდა გატკბილებოდათ ცხოვრება,
ეგნატე ნინოშვილს გააძღობდნენ
თავისი ფარშავანგებით,
თუნდაც „განგებასთან“ გარითმულით?
ან მე რა ვუყო
გაზეთების და ტელევიზიის აგრესიას
სევდიანი და ძალიან სევდიანი
წიგნების წინააღმდეგ?

ბარათაშვილობა

პოეტობას რომ იბრალებ,
უპატრონობას, ბარათაშვილობას,
საგიჟეთში როდის გაგიშვეს, იცი?
ცას რომ ინაწილებდნენ
და ღმერთიანი ადგილი შენ შეგხვდა.
რა ექნათ?
სინდისიდან მარცხნივ უნდა გაეხვიათ,
ჭერი დაეხურათ თავზე,
ან უცხო ცა, თავისი
ვიწრო ეროვნული ღმერთით,
მტკვარი რომ ვეღარ გამოგეშვა
სახელოდან (პოეზიას თუ შეეკარი,
ეს ფოკუსი უნდა გამოგივიდეს).
კიდევ, რა ვიცი, მსხალში
ტკბილი სამკუთხედი ვერ დაგენახა?
(თუმცა ეს სხვა ისტორიაა).
სიყვარულსაც ხომ ვერ დაეწიე
გიმნაზიაში მოტეხილი ფეხით,
იქ უნდა წასულიყავი, სადაც
კოჭლობის პუნქტერი
მერანის სიჩქარეს უთანაბრდება!
მაგრამ დარჩი ასათიანის ქუჩაზე
და ამ გაუგებარ, უწერტილო დროში
გაიძახი: — ბარათაშვილი ვარო!
გიჟს, აბა, რა მოეთხოვება?

ბოლო სიმართლე

ტანი რომ გიღალატებს
და ბოლო სიმართლის
შესაძლებლობას დაგანახებს,
მთავარ ტვინს ჩართავ:
ლოგიკამ იმუშაოს, უყურონ
როგორ ზიხარ, დადიხარ, ლაპარაკობ,
სხვა ტვინი, კრეატიული,
ხურდა ფულით გამოხატულ ხელფასს
შეალამაზებს, ვერცხლის მთას მოგცემს,
მოასევადებს.
გინდა კი, ეს ართროზულ ფეხებზე
შემდგარი ანტიკვარიატი?
ძეგლად არ ვარგა, არქივს უფრო მოუხდება —
დავიწყებული ლექსებიდან
უკეთეს სიტყვას გამოახედებს,
ასეთი ბოლოც შეიძლება,
ლიტერატურის თეორიული?
მთელ ამ დავიდარაბაზე:
მეტაფორებზე, ეპითეტებზე, სტილზე სწორება,
როცა ცოფიანი ძაღლი გყავს მუცელში?
უნდა ამოიღო, ამოახვიო, ამოიგლიჯო
ეს წითელი დროშა,
წყნარად რომ დაწვე და მიწა შეჭამო.

* * *

ერთი 20 დღე ფიჭვების დოზა,
თვალებში ორ-ორი მზე,
ოთხი მთვარე, კაცი, რომელსაც
ლამაზი ცოლი ყავს, მაგრამ
მეზობელ ფანჯარაში კაბა მოწონს,
ნარინჯისფერი და მრგვალი მანდარინივით —
ჩინური გავლენა, ვერბალური.
სამსტრიქონიანი
ქალაქში დაბრუნება,
ცოტა ხნით სიკვდილი
იყო კი ის, მინებიანი კორპუსი,
ოთახი ოცდამერამდენე?
მახსოვს მარტო მკივანა ფერი,
სამი სტრიქონით წაქეზებული,
სულ უკან რომ მაბრუნებს,
წყალწაღებული რომანტიზმისკენ...

იმპროვიზაცია

როცა ალმასის საბადო გაქვს პირში,
32 კბილი პირობითობაა.
ხერხე ორკესტრი, გამოადნე ბგერები,
უძირო, უთვისტომო
იმპროვიზაციას სამშობლოს ვერ დაარქმევ,
ვერ დაამიწებ, ვერ დაეყრდნობი,
წელი თუ გადაგიტყდა,
ბლუზის წებო გაგამთლიანებს,
რეგტაიმის წვიმაში ყველა ძვალზე
მარილის ყლორტები ამოგივა
და იცეკვებ ისეთ მოლოდინს,
რომელიც ან ბავშვის გაჩენით თავდება,
ან გამოჭრილი ყელით...
მუსიკაც თავდება, წვიმაში
ჭილობის ძაღლები დადიან
და ადამიანები, კიდევ უფრო ფუტუროები,
ვიდრე თომას სტერნზ ელიოტს წარმოედგინა.

* * *

არის სახლი ციხე სიმაგრე!
ზოგჯერ, კრუხი-მეისენის ფაიფურისგან
მაღალ სოციალურ ფენას ჩეკავს:
ეს წიწილები წყობილსიტყვაობით
გამოირჩევიან, სწორი გემოვნებით,
თავზე გადავარცხნილი ნერვებით,
არის ასეთი ლიტერატურაც!
აქედან პოეზიაზე გადასვლას
ვინმე, თიხისგან გაკეთებული
ჭირდება, შუბლს გადაიხსნის,
ნერვების წითელ მოსავალს აიღებ!
სავარცხელს დნმ-ის მასალისთვის
თუ გამოიყენებ, იმ რაფინირებულ ფენასთან
ნათესაობის დასამტკიცებლად
და რომ ვერ შეძლოს ორ სიტყვას შორის
ოქროს ტიხარი და არა ნერვი?
გააწბილოს მინანქრის სამშობლო?
სამაგიეროდ, ელფერების ზომიერებაში
სისხლის ზღვა ჩაასხას,
შეუსაბამოდ მაღალი ჰემოგლობინით
ამბოხის ტემპერატურა აწიოს,
მერე წყალგაურეველ წითელ ფერთან
დაგტოვოს როგორც ძიძასთან და წავიდეს...
თიხითაა დავალებული, ღმერთი ელოდება...

ლელა მგელაძე

მიწის თაყვანი

მე მგავს ეს ბაღი!
მე ანთეოზის შორეული ნათესავი ვარ და ჩამოგყურებ.
საკუთარ თავში შენად ქცევის პოტენციას ვესათუთები.
და შენ ჩემში ხარ
მაშინაც,
    როცა ზღვა ტერფებთან რევერანსით მომეახლება
და დასაბამის ამბავს მიამბობს;
მაშინაც, როცა მრავალთვალა ღამის ზეცას სურს
მიმიზიდოს მზაკვრული მზერით.
შენ ხარ სიმშვიდეც, მღელვარებაც და ძალაც ჩემი.
შენ, ვისშიაც გაითქვიფა ჩემი წარსული
და ვისკენაც ჩემი ხვალე მოექანება.
ხანდახან ვფიქრობ,
რად მომეცი სივრცის მიღმა ჭვრეტის სურვილი,
უხილველის ხილვის წადილი,
როცა შენა ხარ საწყისიც და ბოლო წერტილიც;
როცა შენთვის ერთი ფასი, ერთი წონა აქვს,
ცარიელ თვალებს ჩამოგაწვდი,
თუ გადაჭედილს ჭრელი კადრებით.
მე ვარ ეს ბაღი — შენი კანის ერთი უჯრედი,
ზოგან ასეთი აწეწილი,
                სარეველის და ქვა-ღორღის მჩენი,
ალაგ —
    ახლახანს ამოზრდილი, სასათუთე ჯიშის ნერგებით,
სხვაგან კი —
                წლებით ტოტებშელახული ხეხილით მშვენი.
მე ვარ ეს ბაღი
და ლექსებს ვისხამ, თუ სათანადო მსტუმრობს ტაროსი.
ახალი ქინძის როზეტივით იზრდებიან ჩემი ლექსები,
ახალი ქინძის სურნელი ასდით.
რიტუალია შრომაც და ლექსიც,
პატივს მოგაგებ და გეფერები.
ხომ შეიძლება, შენს სხეულში უხილავმა მიმოდინებამ
ოფლის წვეთი მიუტანოს ჩემს გარდასულებს
და გაუნელოს შენადქმნის სევდა...
მე — ანთეოზის ნათესავი,
შენი სხეულის უმცირესი ნაწილაკი ვარ
და სანამ ზურგით დამატარებ და მანებივრებ;
სანამ ჩემი დროც არყოფნაში ჩაიმარცვლება;
სანამ შეგიცნობ შენივ სიღრმიდან
და კვების ჯაჭვის საწყის რგოლად ავბიბინდები,
მოდი, ვიქნები ასე უტეხი
და გლეხის როლში კარგად შესული,
მხოლოდ ხანდახან მწერლობანას წავითამაშებ.

ნატვრა

ნეტავ შემეძლოს,
რომ წასვლის შემდეგ,
მანამდე უცნობ, მდუმარე ჰანგებს
ჩავეწნა და სუროსავით შემოვეხლართო.
ასე ვეკიდო ჰაერში,
ვიდრე,
ვინმე, ვირტუოზს შემთხვევით
არ შემოვხვდებოდე
და ვიოლინოს,
ან კლარნეტის,
ან როიალის
საამურ ხმად ამაჟღერებდეს.
ნეტავ შემეძლოს.

* * *

ისევე, როგორც მატყუარებს ჩვევიათ ფიცი;
ისევე, როგორც მოლაყბეები
თავს ვერ აღწევენ სიყალბის შლეიფს,
სიტყვაძვირების თვისებაა — ყელზე ყულფივით
მოხვეულ სათქმელს
წერით იხსნიან.

სიყვარული

ოდეს სცნეს, რომ მშვენიერი მშვენიერია,
სიმახინჯე იშვაო — ბრძენმა.
მე ბრძენი არ ვარ:
სრულყოფილად მექმნა სამყარო,
როცა შენ შეგხვდი.

იმედი

თუ არ გქონია ცხოვრება სავსე,
გულს ნუ დაიწყვეტ.
ოთხი ფიცრით შეჭედილ პარკში
შემოიძარცვავ სხეულს — მუხლუხოს
და უნაზესი ფრთებით მოივლი
სიზმრად ნანახ საუცხოო
განზომილებებს.

ყოფნის გამართლება

ლარნაკს არსს აძლევს სივრცე
მისით შემოსაზღვრული,
სადაც მცირე ხნით თავს მოიდრეკს მშვენიერება.
მე — ჰორიზონტი, გარს რომ მაკრავს,
რასაც ჩემი სიყვარულის სხივი ვაწვდინე.

წვეთი დარდის ღრუბლიდან

იმ მერცხლის მტკივა სასოწარკვეთა
შორი სივრცე რომ ფრთებით გაკვეთა,
ქარიშხალს ნებით გადაამეტა,
რომ ენავარდა მშობელ ბუდესთან.
დასერა სოფლის კამკამა ზეცა
და... სიხარული გოდებად ექცა. —
სხვა დროს მუდმივად მისთვის გახსნილი
დახშული დახვდა ვიწრო სარკმელი,
ხოლო საზარლად მდუმარე სახლის
კარებზე დიდი ურდული იდო.
ფანჯრის მიღმა კი შავი ჩარჩოდან
დიასახლისის ღიმილი იცნო.

დრო

დრო — ეს ჯალათი!
ნაჯახის თითო შემოქნევაზე
თითო ნაპრალს ტოვებს სახეზე,
გულს კი ცივ სუნთქვას აქსოვს ბზარებად.
გიწყობს სიკვდილთან ადაპტირებას,
სიზმრის სიამეც ქრება, მტკნარდება,
რადგან შეხვედრა იშვიათდება
მთთან, ვინც შენი ნაწილი იყო
და რახანია მიწამ შეიტკბო.
დრო — გულცივი და
მკაცრი ჯალათი!

ემზარ კვიტაიშვილი

გასეირნება
მოლანდებული

წუხელ რაც მოხდა, სიზმარს ვამსგავსე —
არცთუ სვიანი, გაზით გავსებულ
აეროსტატის ჩამსვეს კალათში,
გამიშვეს ცისკენ. მოვფრინავ, ვატყობ,
დავშორდი მიწას. ისეც პატარა,
უფრო და უფრო ვპატარავდები.
გავხედე — ხელის ერთ გაწვდენაზე,
თვალი მოვკარი ნამცეცებს ვერცხლის;
ბრჭყვიალებდნენ და ტრიალ-ტრიალით
ცვიოდნენ დაბლა. არ მეჭაშნიკა —
მუჭაში ერთიც ვერ მოვიქციე.
მერე და მერე, შეღამებულზე,
აშიშინებულ მეტეორებს და
ვარსკვლავებს რაღას მოვუხერხებდი.
ვერცკი გავიგე გამობრუნება,
უკან დაშვება, დავშვავდი თითქოს.
ისღა ვირწმუნე — ერთი ფასი აქვს
ცაშიც, მიწაზეც, ჩემს გაუხარელ,
მოსაწყენ ყოფნას. ესეც საქმეა.
მივხვდი იმასაც (რაღა დროსია!) —
თუ რამ სიკეთის მეწადა პოვნა,
ისევ მიწაზე უნდა მენახა.
ამგვარი რამე თუ კვლავ შემემთხვა,
ვეცდები, ისე აღარ დავიბნე.
მეტი სიფრთხილე და დაკვირვება
გამოვიჩინო, უფრო გულდინჯად,
დაწვრილებით და დალაგებულად
მოვყვე, რა ხდება უძირო ცაში.
თუმცაღა, როდის ყოფილა, სიზმარს
ჩემს ჭკუაზე რომ ვეტარებინე?!
გაფოთებულმა, თვითონ არ ვიცი,
რას ვეძებ, რისი მწადს მოხელთება.
ნაყვაა წყლისა, ძნელია, რამე
გააგებინო სმენადახშულებს —
გაუძღომელი და უმადური
არსება გახლავთ ადამიანი,
მისი მოდრეკა, დაშოშმინება
ვერარამ შესძლო, სიკვდილის გარდა.

ხილის ვაზა
ჩემი დაბადებისას ნაყიდი

ის ვერ დაიტევს ნაყოფებს დიდრონს,
ნატიფი კვეთდა სამკაულს, ხელი;
დამაგრებული, წერტილზე, მჭიდროდ,
მელქიორს ბროლი ამხვია თხელი.

ანტიკვარული, სადა და მკვრივი,
არცთუ უბრალო ჩანს ნაკეთობა;
ამომავალ მზის ეცემა სხივი,
საჩუქრად მიართმევდი დედოფალს.

იქნება, როგორც იყო აქნამდე,
მოჩუქურთმებულ ღერძს, მისას გრეხილს,
მკვიდრად რომ იდგეს, არ გადაქანდეს,
ოთხი, კაუჭა, იკავებს ფეხი.

დაკენკილ ფუძეს ოვალი სალტავს,
თაღიც ხომ იკვრის ცისარტყელათი;
იქეთ-აქედან პროფილი ქალთა —
სახე და ვარცხნილობა ელადის.

ეტყობათ მადლი, ორივეს ჩათვლი —
სირინოზებად ან ქალთევზებად...
ზაფხულის უხვობა, ჯამს, ოქროსფერი
გარგარით დახატავდა შევსება.

გაქრა, განილვტო, ველტვოდი რასაც,
ჯანაბას ჩემი თავი და ტანი;
ვერ გავალაღე სახილე ვაზა,
ლხინის სუფრაზე შემოსატანი.

არ დავკლებივარ მთასა და ველობს,
შემიბორკია, რასაც ვუტევდი,
მოუღლელს, ღონე მერჩოდა, ლელო
გამქონდა ჟინით, სიჯიუტეთი.

დასაცემს, ვერაფერი დამიცავს,
მანიშნეს — იშვი დასალეწადო;
უვნებლად ვტოვებ ძღვენს დედ-მამისა,
უძლურმაც, ძლევა უნდა ვეცადო.

ირევა — რა ფერები, რა ხმანი,
ვიცი, ვისაც ვცე, მდაბლად, თაყვანი;
ემორჩილება, ხელობას, ძნელად —
ნივთის სიტყვაში გარდასახვანი.

გაგრძელება

დიმიტრი წიკლაური

აგრიჩელი ხეიბრები

თანამდებობის პირებმა ოფიციალური ტონით თუ მოგმართეს, კარგს არაფერს გაუწყებენო. მეც არ მეგონა, ოდესმე თუ გავკოტრდებოდიო, მაგრამ სწორედ ის მოხდა, რაც დაუჯერებლად მიმაჩნდა. ბოლოს ისე გამიჭირდა, ნახელავს, სადაც მთელ სულსა და გულს ვდებდი, ვაჭრებს კაპიკებში ვთავაზობდი, თანაც მხოლოდ ვახშმის ფულს ვითხოვდი. იცოდნენ, გროშებსაც დავჯერდებოდი, მაგრამ იმასაც მამადლიდნენო. იქაურობა რომ მივატოვე, ჯამბაზის სამოსი გადავიცვი, თორემ შიშველს მომიწევდაო წამოსვლა. კარიერა ლამპით სიარულს ჰგავს, საკმარისია ჩაგიქრეს, ჩრდილში აღმოჩნდები. დანა თუ ბასრია, თავის თავს გამოხატავს, მეომრის აღტყინება იარაღის სიმძლავრეს ეფუძნება, ფერმერთა სიმხნევეს კი ნაყოფიერი მიწა განაპირობებსო, მაგრამ ამინდმა ხელი თუ არ შეუწყო, ყველა ოცნება ჩაეფერფლება, ნებისმიერი აქტიურობა კი ამ ფერფლში ცეცხლის დანთების მცდელობას დაემსგავსებაო, რუხი ჩრდილებით მოზღუდულ გარემოსო. მოკრძალებული ყოფა საუკეთესოდ მას შემდეგ მივიჩნიე, როცა მგზნებარე ცხოვრება განვვლე. ჩემი უსაყვარლესი დის იმედი კი ყოველთვის მქონდა, ამიტომაც მოგადექითო.

როცა ერთად ვიკრიბებოდით, ნახევარსარდაფი მაწანწალათა სამეფოს ჰგავდა. ღრიჭოებში ქარი ზუზუნებდა, აბეზარი დღეების გამხმოვანებელი. ბიძაჩემი თვალებს ცნობისმოყვარედ აცეცებდა, გეგონებოდა ბზრიალას მისჩერებია, ან პეპლების ფრენას აკვირდებაო. მერე სასუფეველზე იწყებდა ლაპარაკს, თითქოს საკუთარი თვალით ნანახს გიყვებოდა, ხოლო ზეაპყრობილი თვალებით უფლის ანგელოზებს ხედავდა. იფიქრებდი, ლოცვით ქვების წვიმებს აკავებსო, ხოლო მისი სინანული იმდენად ღრმა გეჩვენებოდა, ასეთი სიღრმეები დიდ მდინარეებსაც კი მხოლოდ ზოგან შეიძლება ჰქონოდა. ასეთ დროს ბიძაჩემს ირგვლივ შემოვუსხდებოდით ხოლმე და ყურს ვუგდებდით, რადგანაც სწორედ ასეთი სცენები იქცევა ხოლმე ლეგენდების დასაბამად. თანაც მტკიცედ გვჯეროდა, რომ არ შეიძლებოდა ჯამბაზის დატოვება მაყურებლის გარეშე. ყველაზე დიადი ჯამბაზები მარტონი როცა რჩებიან, მაშინ ტირიან ყველაზე გულამოსკვნით.

ბიძაჩემი თავიდანვე მიხვდა, რომ იოსებს არაფერს უკრძალავდნენ, როგორც ბედისგან გარიყულს. იგი ხშირად ხატავდა კედლებზე ნაირნაირ ფიგურებს, მაგრამ ეტყობა, ხატვის დროს ხარაჩო ყანყალებდა, ხაზები ისეთი დაბრეცილი გამოსდიოდა. გავიდოდა დრო და ამ ხარვეზს მიგნებად ჩაუთვლიდნენ, ახალი მიმართულების ფუძემდებლად მიიჩნევდნენ. ეს პირველად ბიძაჩემმა აღნიშნა, მომავალ წარმატებებს რომ უწინასწარმეტყველებდა. მან მიიჩნია, რომ ჩემი შუათანა ძმა ხატვის ნიჭით იყო დაჯილდოებული. ამას მე ვუპატრონებო, აღუთქვა ჩემებს. მერე ფოსტის შენობას მიაშურა, ტუფის ქვისგან რომ იყო აგებული, ხოლო ზოგან შეღუნული საფეხურები საყრდენის მაგივრობას უწევდა. იქ ჭრაჭუნა მაგიდას მიუჯდა და შთამბეჭდავი წერილი გამოაცხო. მერე წერილი სამხატვრო კოლეჯის დირექტორთან გადააგზავნა. თან გვიამბო, ჯარში ერთად ვმსახურობდითო, თოფებში ვაზნებს რომ ვტენიდით, ეგ იმ დროს ყაზარმის კედლებს ხატავდაო. მერე ბიძაჩემმა ჩემოდანი მოჩხრიკა და ჩემ ძმას ფუნჯები გაუწოდა.

— ხედავ, რანაირ ფუნჯებს გჩუქნი? ამით ფასკუნჯებს უნდა ხატავდე, ჰიმალაის თოვლიან გორებს და სან-მარკოს კოშკიდან დანახულ ვენეციის განთიადს!

— პირდაპირ ხატვა ხომ არ დამეწყო? — თქვა იოსებმა, როცა ბიძაჩემმა უჯრედების გაფერადება დაავალა.

— ეგეთ რამეებს აგერ იმ დაფხავებულ რადიოში უსმინე, ჩემთან არ გაგივა! — დერეფნისკენ გაიშვირა ხელი ბიძაჩემმა, მერე კი ურჩია, ესკიზებში ევარჯიშა. ბოლოს დიდი ხნით დადუმდა, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბაო. ამ დროს ვერ მიხვდებოდი, გაკვირვებას გამოხატავდა თუ იმედგაცრუებას. ჭყანვა და ბუზღუნი ისედაც არ ჩვეოდა. რასაც არ თავაზობდნენ, თავის ქნევით უარობდა. არც მსმენელს ამძიმებდა ზედმეტი თხრობით. ისეთ გამომეტყველებას იღებდა, ზეშთაგონების მტკიცედ რომ სჯერათ, ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯზე შესაძლოა ისეთი მნიშვნელოვანი იდეა გამოხატო, მთელი მსოფლმხედველობა შეგიცვალოსო.

— შემოქმედება შედეგი არ გეგონოს, შემოქმედება პროცესია! — განაცხადა მკაცრად.

ერთხელაც ადრე გამომეღვიძა, განთიადის სხივები ოთახს ისე მოსდებოდნენ, თითქოს შარში ხვევენო. იმით ვისარგებლე, ყველას რომ ეძინა და გადავწყვიტე, ჩემი ძმის ნახატში ერთი უმნიშვნელო შტრიხი დამემატებინა, რომელიც მიმაჩნდა, რომ აკლდა. თუკი შენიშნა, მაშ საქმეს სერიოზულად მოჰკიდებია-მეთქი, მაგრამ ჩემ ძმას არაფერი შეუმჩნევია.

— სათქმელი უნდა მოიხელთო! ჩამორჩენა მაშინ იწყება, როცა გასწრების სურვილს კარგავ! — ხაზგასმით აღნიშნა ბიძაჩემმა, მერე კი ჩურჩულით განაგრძო, თითქოს ცხოვრების მთავარი საიდუმლო უნდა გვამცნოსო, — ცხოვრება ჭოჭმანში გადის, ძვირფასი დრო ხელიდან გვეცლება, იმ ქვეყნად კი დაფლეთილი გულები მიგვაქვს! იქ გაარკვევენ, აღდგენას ექვემდებარება, თუ ჩვენ ხელში საბოლოოდ გაუვარგისდა (ამის გაგონებისას ვიფიქრე, ჩვენი გულების ამბავი პროფილაქტიკაში მიყვანილ მანქანებს ჰგვანებია-მეთქი).

— იოსებ, შენ უკვე საკმარისად ისწავლე! აწი სადაც გინდა წადი, რომელ გზასაც გინდა გაუყევი და რომელ აღმართსაც მიადგები, უშიშრად შეუდექი! — განუცხადა ერთხელ და სარეკომენდაციო წერილი გადასცა კონვერტით, მერე საჭირო მისამართი მიასწავლა, ცოტაოდენი ფულიც უწყალობა და გზა დაულოცა. არც ჩემი მშობლები შეწინააღმდეგებიან დიდად, ჩვენი ჩარევით, ვაითუ იოსებს მომავალი გავუფუჭოთო. გარეთ ჩირაღდნები ენთო და ლამპიონები ბრდღვიალებდა, მეფარნეთა ხვედრი. დღეც მხიარულად თავდებოდა. დილით ადრიანად უნდა გავსულიყავით, იოსები სადგურზე რომ გაგვეცილებინა და გვინდოდა, დაძინება მოგვესწრო. ქარის ზუზუნი კი მთელ სამყაროს ლოცვად ეფინებოდა: უძირო ზეცავ! ნუ გამოულევ დღეებს მზის ტახტრევანს და ღამეებს ვარსკვლავების ციმციმს!

ასეთი სევდიანი და გულითადი იყო ბიძაჩემი, მაგრამ შემდგომში ერთმა ატეხვამ მთელი ღვაწლი წყალში ჩაუყარა. ჩემი ძმა მაშინ უკვე კარგა ხნის გადასული იყო დედაქალაქში. საქმე ასე იყო — ჩვენს მეზობლად ერთი მკითხავი ცხოვრობდა, რომლის დანახვასაც ჭირის დღესავით გავურბოდით. სახეზე იმდენ ფერუმარილს იცხებდა, მოსიარულე გვამი გეგონებოდა. შემხვედრი მიმართულებით მიმავალნი ადგილზე შეხტებოდნენ ხოლმე და შეშინებულები პირჯვარს იწერდნენ, ბიძაჩემმა კი მასთან სიყვარული გააბა. პირველ დანახვაზევე ჰკითხა, აბა, მიმკითხავე, ჩემი საბედო ხომ არ ხარო, მერე ნელნელა მის მიმართ მონატრების გრძნობა გაუმძაფრდა, თითქოს აქამდე ზეგავლენებს იმიტომ სძლია, მის ზეგავლენაში რომ მოქცეულიყო. ხმას აღარავის გვცემდა და შეკითხვებზე ცივად გვპასუხობდა, გეგონებოდა თავიდან გვიშორებსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ამ ქვეყანაზე მხოლოდ მისი დანახვა უხაროდა. საღამოობით მდინარის პირას სეირნობდა, მარტოდმარტო და ნაღვლიანი, მოაჯირებს მძიმედ ეყრდნობოდა, თითქოს მსოფლიო სევდა აწევსო და შვერილებს ებღაუჭებოდა. მოკლედ ძალუმად შეყვარებულის ყოველ ნიშანს ატარებდა. დასახლებაში ყველანი ერთმანეთს ვცნობდით. მაშინვე ხვდებოდნენ, ბიძაჩემი უცხო რომ იყო. პირდაპირ არაფერს გვეუბნებოდნენ, მაგრამ ზურგსუკან ჭორაობდნენ, ტოლმა და სწორმა ერთმანეთი მონახესო. ამაზე დედაჩემს გული უკვდებოდა. მკითხავი ქალი მეზობელი შენობის სარდაფში ცხოვრობდა, რომელსაც ჩვენზე უკეთესი განლაგება და ფართობი ჰქონდა. ძველებური კიბეების საფეხურებიც უკეთესად გამოიყურებოდა და მოაჯირიც მარჯვედ მოერგოთ. მდიდრული აღკაზმულობა ერთბაშად იწყებოდა, როგორც კი ნესტსა და შმორს თავს დააღწევდი. ბიძაჩემი ნანახით აღფრთოვანებული დარჩა, მერე კი მასთან სტუმრობას მოუხშირა.

— ეგ ფუჭი სევდა თვალებს გიუშნოვებს. დაე, ჩემს ნაოჭებს შეემატოთ სიღრმე, ოღონდაც შენ გადატეტკილი კანი შეინარჩუნო! — ერთ ამბავში იყო ბიძაჩემი.

დედაჩემი ბრაზობდა, მჩხიბავმა ნამდვილად ჯადო გაუკეთაო. ერთხელ მეც დავინახე, ჩერჩეტივით აღფრთოვანებული ტირიფებთან სატრფოს როგორ ებაასებოდა. სიტყვებს, იცოცხლე, ანთოლოგიაში შესატანს ამბობდა, მაგრამ ახალბედასავით იქცეოდა. ირგვლივ ისეთი იდუმალი სინათლე ეფინა, თითქოს მთვარის და ვარსკვლავების საიდუმლო პაემნის ადგილისთვის მიეგნოთ. მონუსხული შესციცინებდნენ ერთმანეთს, თვალებიდან კი უილაჯო სხივები გამოსჭვიოდათ. ღირსებამ ბიძაჩემისთვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა და მთელი სიბრძნე, წვეთ-წვეთ ნაგროვები, რასაც ამ ხნის განმავლობაში ჩვენც გვიზიარებდა, ერთბაშად მისცა დავიწყებას, როგორც გამოუსადეგარ ხარახურას შეუკეთებენ ხოლმე ყოვლის მშთანთქავ ცეცხლს. მიტაფორები მიივიწყა, მხოლოდ მეტაფიზიკა იზიდავდა ძველებურად, დროდადრო ვარსკვლავებს აჰყურებდა, სწორ გზას რომ ვადგავარ, ეგებ რაიმე ნიშანი მომეცესო. თავის დასაღწევად დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, ისიც მაშინ, თუკი გადაწყვეტდა, მაგრამ არც კი ცდილობდა, ხოლო სულ მალე მკითხავის ბინაში გადაბარგდა და ავეჯს მერე გადავიტანო, დაგვიბარა.

ქორწილის სუფრა იმ მაგიდაზე გაიმართა, თავის დროზე ძვრა რომ ვერ უყვეს. ვერაფერს ეტყოდი, თავისი მაგიდა იყო, მაგრამ თუნდაც ჩვენი ყოფილიყო, განა დავუკავებდით?! ზედ ჯამები გაამწკრივეს, ხოლო წვნიანი ვეება ქვაბებით ჩამოატარეს. კამკამა ღვინო სუფრაზე ბოცებით იდგა, თითქოს საუკუნოვანი მნიშვნელობის ზეიმი იმართებაო. ისეთი ხალხი ადღეგრძელებდა, დღე და ღამე მას რომ ჭორავდნენ, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ და ყანწებსაც ბოლომდე ცლიდნენ. შორიახლო, კაშკაშა ბორცვებზე, ნანგრევებს რომ წააგავდა, ბრდღვიალა ვარსკვლავების მტვერი ფარფატებდა. საღამოს ახალდაქორწინებულებმა სასეირნოდ წასვლა მოინადინეს. გვიკვირდა ამხელა მოაზროვნის ესოდენ ამჩატება, მაგრამ რა გვექნა. ახალ რეალობას უნდა შევგუებოდით და მკითხავი ნათესავთა რიგში მიგვეთვალა, მაგრამ ეს ხომ იგივე იყო, საკუთარი ნებით შეგყროდა ქოლერა, განკურნებაზე კი არ გეზრუნა. იმ ღამეს მთვარე ისე ბჟუტავდა, როგორც ნაკვერჩხალი მინავლებისას, მოულოდნელად კი წვიმამ დაცხო. ახალდაქორწინებულები სველები მობრუნდნენ. სიძე გასაწურ სარეცხს დამსგავსებოდა, პატარძალს კი ფერუმარილი სულ ჩამოეცლოდა და სახე ჯამბაზივით გადადღაბნოდა. დედაჩემი ნანახმა გაამხიარულა, იქნებ ჩემი უჭკუო ძმა ახლა მაინც მოეგოსო გონს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

— მადლობა თქვი, შენ კოჭლ ძმას რომ გავყევი ცოლად! — გაანჩხლებით შეუძახა მუსლს ოჯახში ახალშემოსულმა რძალმა.

— ახია ჩემ ძმაზე! — გაგულისდა დედაჩემი, — კიდევაც რომ იწუნებს, მაშხალა!

მხოლოდ მამაჩემი გამოიყურებოდა მშვიდად, რას ერჩით, კაცი დაოჯახდაო. მე ცეცხლს ვყარაულობდი, რომ არ ჩამქრალიყო, რადგან სტუმრები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ. მიდამო წვიმას გაელუმპა, უშველებელი ღრუბლების შემხედვარე კი იფიქრებდი, ცას დირიჟაბლები სერავენო.

ჩვენმა მშობლებმა ბავშვობა გულგახეთქილებმა გაატარეს, სიბერეს კი გულამოვარდნილები შესდგომოდნენ, დიდ სხვაობას ვერც ატყობდნენ და ისეთი პირი უჩანდა, ჩვენც ასე გავაგრძელებდით და არც არაფერი შეიცვლებოდა. იმ დღეებში შენობა მიწისძვრამ შეაზანზარა. ბიძაჩემს კარადიდან ჩამოვარდნილი საათი დასცემია თავზე. ერთხანობას იატაკზე მჯდარა გაშეშებული, გონზე მოსვლას და მომხდარის გაანალიზებას ცდილობდა. საათის ამბავს მაშინ მიმხვდარა, წიკწიკი რომ ვეღარ გაიგონა. ციფერბლატი სწორ დროს აღარ უჩვენებდა, თუმცა ამ ამბავს მისთვის მნიშვნელობა დაჰკარგვოდა. იმ დროს დედაჩემი სავარძლის ხავერდებს კემსავდა საგულდაგულოდ, ჩხირები რომ მიუყრია და ფეთებით გავარდნილა გარეთ, თითქოს გულმა უგრძნოო ძმის ამბავი. მისი ცოლი იმ დროს სამკითხაოდ ყოფილა წასული ღუდხანის მეპატრონის ცოლთან. მერე გაირკვა, კარტს რომ შლიდა, ეს მომენტიც სათავისოდ გამოუყენებია, მიწისძვრა იმიტომაც მოხდა, ბოლომდე რომ არ მენდობითო. თავი იმდენად სულიერად მიაჩნდა, რადიოში გადმოცემულ ამბებზე მეტად საკუთარი სიზმრების სჯეროდა, მაგრამ სინამდვილეში არავითარი ხედვა არ ჰქონდა, დასკვნები კი იქიდან გამოჰქონდა, ღუდხანაში ლოთები რასაც წამოაყრანტალებდნენ. გაგონილს კაცობრიობის შინაგან მდგომარეობას უსადაგებდა. არადა, მართლაც, მათთვის ყური რომ მიგეგდო, პარლამენტს დააკომპლექტებდი. დედაჩემს სველი საფენები დაედო ბიძაჩემისთვის და ტკივილგამაყუჩებლებით გაეჭყიპა. მკითხავი რომ მოსულა, კოპები ისე შეუკრავს, ჭურვის ნამსხვრევებში მოყოლილი გეგონებოდა. დედაჩემი მაშინღა წამოსულა უბრად და ამაყად.

დასასრული შემდეგ ნომერში

ლანა მანველი

ღვთისმშობლის აღმართი



ARAფრისმთქმელ თვალებიანმა ქალმა პირველი სართულის ბოლოში მდებარე საკუჭნაოს მსგავსი ნესტიანი ოთახი დიდ რგოლზე ასხმული გასაღებებიდან ერთ-ერთით გააღო. შიგნით არ შესულა. იქაურობა გარედან გულგრილად შეათვალიერა და გვერდით მყოფ გამხდარ, სიფრიფანაცხვირიან დამლაგებელს ოთახის დასუფთავება დაავალა. მერე რგოლს საჭირო გასაღები მოაძრო და საკეტში შეარჭო, უკანასკნელი მითითება გასცა და ტანის უცნაური რხევით მიეფარა თვალს.

საღამოს ისევ გამოჩნდა — წარუმატებელი ქანდაკებასავით უშნო. უხეშად შეაბიჯა ამჯერად უკვე გასუფთავებულ ოთახში, რომელსაც მცირე ზომის სარკმელი საკმარისად ვერ ანათებდა. შედარებით მშრალ კედელთან რკინის საწოლი დაედგათ, რომელზეც პატარა, საღებავგადაცლილი ტუმბო მიეყუდებინათ. დიახ, მიეყუდებინათ, რადგან მას მხოლოდ სამი ფეხი ჰქონდა და დაზიანებული კუთხით საწოლის ქვეშიდან გამოჩრილ ფიცარს ეყრდნობოდა. კარის მარჯვნივ მინებამოღებული კარადა იყო კედელზე მილურსმული. ნაჭრის გადახუნებული აბაჟური ცალ მხარეს გადახრილიყო. ოთახის მორთულობას აბოლოებდა სკამი, რომელიც შედარებით თანამედროვედ გამოიყურებოდა და უფრო საოფისეს ჰგავდა.

2003 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს საწოლს მიჯაჭვული, ნახევრადგრძნობადაკარგული, ზოგჯერ უაზროდ თვალგახელილი სარა თავის ბოლო სამყოფელს უნდა ზიარებოდა. საღამოს შვიდი საათისთვის ზედამხედველი და ორი მედდა მის საწოლთან შეჩერდნენ. მოხუცს ძვლებზე გამხმარი ტყავი ჰქონდა გადაკრული. ნიკაპი და ცხვირი უზომოდ ამოშვეროდა, ხოლო ლოყები ისე ჩავარდნოდა, თითქოს შიგნიდან ერთმანეთს მიკრობოდნენ. დაბინდული თვალები უაზროდ მიეჩერებინა ერთი წერტილისთვის. როდესაც მედდებმა ზეწრებით ასწიეს და გორგოლაჭებიან, მონჯღრეულ საკაცეზე გადააწვინეს, მოხუცმა თვალები დახუჭა. ზემოდან გადახუნებული პლედი გადააფარეს და ისე გაიყვანეს. ოთახში დარჩენილმა მოხუცებმა გულგრილი მზერა გააყოლეს მიმავალს. მხოლოდ ერთი ჩია, კეთილი სახის მოხუცი გაჰყვა დერეფნამდე და გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია.

საკაციდან გადაყვანისას კეფა შემთხვევით საწოლის რკინის რიკულზე მიარტყმევინეს. ერთმა მედდამ ფეხებში მოჰკიდა ხელი და ქვემოთ ჩასწია. ზედამხედველმა მირტყმული ადგილი მოუსინჯა და ცივი წყლით დასველებული ტილო მოითხოვა. ვიდრე მოიტანდნენ, სკამზე ჩამოჯდა და მოხუცს გაშლილი თითები თვალწინ აუთამაშა:

— მაშ ასე, ქალბატონო სარა! თქვენი ახალი ოთახი როგორ მოგწონთ?

— ახალი და, ალბათ, ბოლოც! — ჩაილაპარაკა ოთახში დარჩენილმა მეორე მედდამ.

ზედამხედველის გამჭოლ მზერაზე თავი ჩაღუნა და უხერხული მოძრაობით გახუნებული პლედის კუთხე გაასწორა. მოგვიანებით სასჯელის სახით სწორედ მას დაევალა სველი ტილოს დაჭერა სარას თავის დაზიანებულ ნაწილზე.

ოთახიდან გასვლისას კარი ღია დატოვეს, რათა ნესტის სუნი ცოტათი მაინც გასულიყო...

* * *

თავშესაფართან ახლოს მდებარე ალავერდის მონასტრიდან ზარების ხმა მოისმა. ღვთის მსახურნი მწუხრის ლოცვისთვის ემზადებოდნენ.

მოხუცი შეტოკდა. დაბინდულ თვალებში სინათლის სხივმა გაუელვა. სისხლისგან გამომშრალი ძარღვები აუთრთოლდა. რამდენადაც გახევებულმა კისერმა მისცა გასაქანი, ირგვლივ მიმოიხედა. კისრის მალებმა გაიტკაცუნეს. მშრალი ტკივილი მკერდთან მოუგროვდა. იქაურობას დერეფნიდან შემოსული შუქი მკრთალად ანათებდა. მისთვის უცნობ გარემოს თვალები ისევ მოუხუჭა და ყური ზარების რეკვას მიუგდო. მკვეთრმა გუგუნმა შეუტოკა ტვინი. სარას მოდუნებულ გონებას რაღაცების გახსენება სურდა. სუნთქვა გაუხშირდა. გარდასული დრო ტვინის უჯრედებიდან ცდილობდა გამოსვლას. მეხსიერების დამშრალი ნაპრალები მოგონების ნაკადულებით იწყებდნენ დასველებას...

უშორესი წარსულიდან პაწია ათინათივით გამოაშუქა მისმა ბავშვობამ.

— ბებიას და პაპას თელავის ერთ ქვაფენილიან უბანში პატარა სახლი ჰქონდათ ორი მცირე ზომის ეზოთი. ზემოთა ეზოში შავი თუთის, ალუბლის, ქლიავის, კომშის, ვაშლის ხეები და პამიდვრის ჩითილები ხარობდნენ. თუთის ხესთან ფიცრული იდგა. აიღებდა პურის ნაჭერს, აძვრებოდა ფიცრულის სახურავზე და გემრიელად ატანდა ერთმანეთს თუთას და პურს. სახურავიდან ჩამოსვლაში ბებო ეხმარებოდა. გაშავებულ თითებზე მკვახე თუთას უსვამდა, შემდეგ კი იქვე ეზოში გულმოდგინედ ბანდა სახესა და ხელებს. საღამომდე ქვევითა ეზოშიც ჩავიდოდა. იქ — კარალიოკის, მსხლის, ალუბლისა და ვაშლის ხეების გასწვრივ — ბზის ბუჩქები იყო ჩარიგებული. კიპარისის ხეს „ადესა“ ყურძენი შემოხვეოდა, ძირში კი თეთრი და იისფერი სუმბულები იწონებდნენ თავს მოტკბო სურნელით. ვაშლის ხის ქვეშ, ბალახებში, მწიფე მარწყვი მოჩანდა. იქვე ვარდის რამდენიმე ბუჩქიც ხარობდა. გოგონა ბზის ფოთლებს კრეფდა და დედოფლებისთვის „ჩაის აყენებდა“. ბებიასგან პატარა ლეიბს და დედამისის ნაქონ ტანსაცმელს ითხოვდა. ლოგინს ბალახებზე შლიდა. „ბავშვებს“ ზედ აწვენდა. სამოსს ხეების ქვედა, შედარებით მომცრო, ტოტებზე ჰკიდებდა. ყველაფერს რომ გაანყობდა, „შვილებს“ მიუწვებოდა და იავნანას უმღეროდა: „ნანა-ნანა-ნანა-ნა... დაიძინე პატარა... ნანა-ნანა-ნანა-ნა... დედამ ხელით გატარა... დედამ ხელით გატარა... ცხრა მთა შემოგატარა...“ ნელნელა თვითონაც ძილი ერეოდა, მაგრამ მყისვე წამოხტებოდა, ალუმინის პატარა ქვაბში ბალახებს და ფოთლებს ჩააწყობდა, ზემოდან წყალს დაასხამდა და ქვის „ქურაზე“ შემოდგამდა. ეზოს ქვის გალავანი ერტყა. გალავნის ერთი კუთხე სხვებთან შედარებით დაბალი იყო, საჭმლის „მოხარშვამდე“ გალავნის ძირში დაგდებულ მოზრდილ ქვაზე აცოცდებოდა და გამვლელებს ათვალიერებდა.

ზამთრობით სიცივის გამო ეზოში ველარ თამაშობდა. იჯდა ღუმელთან და თიხისგან სხვადასხვა ცხოველსა თუ კალათს ძერწავდა. შემდეგ ბებოსთან ერთად ლოტოს თამაშობდა ან ძველ ალბომებს ათვალიერებდა. ერთ ფოტოს დიდხანს აკვირდებოდა. ვერაფრით იჯერებდა, რომ მშობლებთან და და-ძმებთან ერთად გამოსახული სამიოდე წლის გოგონა ბებიამისი ელენე იყო. ბავშვს შუბლზე სწორი თმა ჰქონდა გადმოყრილი, ტილოს კაბა ეცვა და ხელში ხელნაკეთი სათამაშო ეკავა. ფოტოში ჩატეული წარსული ძალიან, ძალიან შორეულად ეჩვენებოდა.

ცოტა ხანში ბებიას ალბომებთან მიატოვებდა, თვითონ კომოდთან მივიდოდა, მესამე უჯრას ძლივ-ძლივობით გამოსწევდა, დიდების ნაქონ ტანსაცმელს რიგრიგობით ამოალაგებდა, რომელიც მოეწონებოდა, იცვამდა. ბებიას ჯერ წელზე ქამრის დამაგრებაში მიიხმარებდა, მერე აივნიდან დაძველებულ ზამშის მუქ მწვანე ფეხსაცმელს შემოატანინებდა, რომელსაც მოხუცი ფანერის მრგვალ ყუთში ინახავდა. მისი წვეტიანი ქუსლები იატაკის ფიცრებს შორის იჭედებოდა, რაც ფრიად ამხიარულებდა. ასე მორთულ-მოკაზმული პაპის მოლოდინში აღუღუნებულ ღუმელთან ჯდებოდა. შეშა ტკაცუნით იწვოდა. სითბოში ძილი ერეოდა, დიდი ზომის ნივთები აწუხებდა, კაბის ბრეტელი წარამარა მხრიდან უვარდებოდა, თავზე ჩამოფხატული ბერეტი ხედვას უშლიდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ნეტარებით ელოდა. ბოლოს პაპაც გამოჩნდებოდა — ოჰ! უყურეთ ამ „ჟულიკსო“ — იტყოდა და გულზე იხუტებდა — ოქროს საყურეები უნდა გიყიდოს შენმა პაპამო!

გახარებული სარა კისკისებდა, თან ფინიკით იტკბარუნებდა პირს...

* * *

წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვლადიკავკაზში ბიძასთან გაემგზავრა. ერთი თვის სტუმრობის შემდეგ საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდა უკან. კონკის ხმაზე გრიგოლი ოჯახიდან ბებიას ფოსტიონი ეგზავნებოდა. ბებიასგან ბარათი ელოდა. ბებიას ბარათ

ემზარ კვიტაიშვილი

* * *

განზე ვდგავარ, სხვა მიადგეს
საშოვარს და სახრავს;
მორჩილებად არ ჩათვალოთ
დაბლა თავის დახრა.

დაუმცხრალი მადლით ცხებულს,
უცხო მანთებს დენთი...
თვითონაც ვერ გამიგია,
რისგან აღმოვცენდი.

გახმობისას ვერას გატყობ,
ფესვო ჩემო, ძირო!..
ულაყს, გაჭრილს, ლაღს, ლაგამი
რარიგ დავუჭირო?!

გავშლი აფრებს, ვეღარაფრის
დამაკავებს კიდე —
კარგს იზამდი, სრბოლავ ჟამთა,
გვერდს რომ ამივლიდე.

უმთავრესი

მოვიხელთებ რითიმე,
ყველაფერი რიტმია;
ვერ ველევი, მის გარდა,
ყოველი დამითმია.

თვით სამყარო, უმისოდ,
მტვერია და ნაცარი;
ბნელში დაიძირება,
რიტმი თუ არ დაძარი.

ყიჟინს, ყელში მობჯენილს,
გააქროლებს რაშებად;
გადაფოფრილ ფაფართა
იცის აფარფაშება.

შემართული საყვირი,
სალამური, ვიოლა...
როცა უნდა იალებს,
ნუ შეხედავთ იოლად.

დიონისეს მხლებელი

თავად არ იცი, რამ მოგანდომა,
ფლეიტის ღუღუნს ფანტავ, სილენი,
დღე, თვითეული, გექცა ფანტომად,
ტანჯვაში ძნელად გყავს მოცილენი.

ეთაყვანები ატეხილ ყანებს,
გოგოს, მოცინარს, ბროლისკბილებას,
ატოკებ თითებს, კვირტები, მწვანე,
გამოსკდებიან თეთრ ყვავილებად.

ფურისულების ხარ ნათესავი,
ყოჩივარდებიც მათთან არიან;
საცოდნელია ესეც — შენსავით,
არვინ უხდება ღამეს, მთვარიანს.

რთველის ნიშანი

გადმოკიდა ვენახმა,
კვლავ, მტევნები, მუქნი;
ვინც ეს წლები მიბოძა,
თავად ვერას ვჩუქნი.

ყალყზე ვდგავარ — წყვდიადი
გაჭრას თვალთა შუქმა;
იწოვს ნესტო საკმეველს,
ვერ დავრჩები უქმად.

ცას გულ-მუცელ-დაფლეთილს,
ტვირთად როგორ ვება!..
ნუთუ წელს ვერ აიღებს,
რისიც მითქვამს ქება?!

ქარს გავატან თქვენს ნაზავს,
ნაცარო და მჭვარტლო,
დღემდე რაც ვიზოზინე,
ეგებ გავამართლო.

თრობის წუთები

ვეხლები ტალღებს, ქარის მონატანს,
ხან — ბნელში მამწყვდევ, ხან — მენათები;
მზად ვარ, გრძნეულთა დავდგე მონადაც,
მიტრიალებენ, გარს, მენადები.

წაჭერილია ყელზე ზონარი,
შენი ნებაა, ვისაც მიმათვლი;
დასაწუნი თუ მოსაწონარი,
რაც დავწან, წყალობაა იმათი.

ვიღა დამიცავს, ცავ, თუ დაბნელდი,
შემომახიეს ქერქი ბზარებმა...
განწილულს, დაუნდობლად დაფლეთილს,
ვაზის ფოთლები წამეფარება.

* * *

რთველი მალე ჩათავდება,
ძალას იკრებს მწიფობა;
ცხენის წაბლმა იწყო ცვენა,
შემოდგომა იპობა.

აგრილდა და თავშესაფარს
აღარ ვეძებ, ჩრდილიანს;
არ გამთელდა, რა ხანია,
გული გაპობილია.

ასე იყოს. რკინისაც ვერ
დამაკავებს კედელი;
არ არსებობს ძალა, ჩემი
მომრევი, დამშრეტელი.

შემოდგომათა წრეში

ნოემ სხვებზე მეტად იცის —
მისი გემო, ფერი;
რას მოიტანს მოჭრიალე,
ჭრელი ნოემბერი.

ვერაფერი დამაკავებს,
მისკენ მოვისწრაფი;
ბარძაყებზე შერჩენია
საწნახელის ქაფი.

კარგად იცის, მაჭრად ნამყოფს
სიცივემ თუ დაკრა,
ძალა მაშინ ემატება,
მერე გათრობს მაგრად.

ბნელს, გაუჭრელს, მინათებდა,
სულ იმედად მყავდა;
ნოემბერი დამაბრუნებს
ჩემს ბრუდასხმულ თავთან.

განწილული

გაღმა კალთაზე თეთრად ჩანან
სახურავების შიფერები; —
ვერვინ გიხილავს, ძვლებიანა,
ასევე რომ შეიფერები.

ხელაღებულო, ერთ დროს ლაღო,
იქაცა ხარ და აქაცა ხარ;
ორთაშუა რომ იცახცახო,
ვინ დაგანათლა, დაგაძახა?!

დაგვათენდა...

როსმე რომ დავივიწყო,
უნდა ვიყო მურდალი,
შენთან გატარებული,
ის ღამე, ნაქურდალი —

სანთლის ალზე გამდნარი,
მონანავე, სანანი...
აროდეს მეორდება
წუთნი, იმისთანანი.

ჩემსავ თავზე როგორ ვთქვა
ან ძაგება, ან — ქება...
ყველაფერი მუსიკის
ირხეოდა ჰანგებად,
ერთადერთხელ იმეტებს
ისეთ რამეს განგება.

მიწა გამოგვეცალა.
ცას არ ჰქონდა განედი.
თეთრი მკერდით მათრობდი
და თვალებით, მწვანეთი...
სულ ისეთი გვახსოვდეს,
სხვად არა, ერთმანეთი.

თვისებანი

თუმცა ჩემს ხვედრს, აუცდენს,
კი ვარ მიხვედრილი —
თვალში მაინც არ მომდის
მე სამარე გრილი.

ჭკნობა მენანებოდა
ჭრელ ყვავილთა, შლილთა;
არა ერთსა და ორზე
გული გამიგრილდა.

ჩვევად მქონდა — მუჭაში
ვაბრუნებდი ბათმანს...
წამიხდინა გუნება
ნამცეცობამ მათმა.

დღეთა დენას, ნაღვლიანს,
გაგინელებს ღვინო;
დავითის ძემ, ბევრი რამ
უნდა დავითმინო.

სანთელს ელტვის ფარვანა,
სირცხვილს ფარავს რიდე...
არ ივარგებს, წავაგებ,
ზღვარს რომ გადავიდე.

ოქროდ დაგროვილი

ტან-ფეხო ჩემო, ოდესღაც თიხავ,
განძი, ურიცხვი, მრჩება აქავე;
ვერ ვცნობდი, რისი პატრონი ვიყავ,
ამოსკდა, რაც რო წლობით ვაკავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიზნიქები, ვეება ლასტო,
არ წახდე, ახდენილო ზღაპარო!..
დაზვინულს, ფასი ვერავინ დასდოს,
სად შეგინახო, ვის მიგაბარო.

ბევრჯერ გამოვცადე

შერეული ხარ ცხოვრების მორევს,
გინდა — იცინე, გინდ — ცრემლი ღვარე;
თქმა მერიდება, კეთილნო, თორემ,
სიკვდილს აქვს ზოგი ნათელი მხარე.

რაც საქებია, ალალად უქეთ,
ერიდეთ გასმას ხაზების, მრუდის;
ადამიანზე ათასჯერ უკეთ,
იცის გარჩევა — კარგის და ცუდის.

განავარდება მომინდა

ხარაგაულს გვერდით უდგას —
ზესტაფონი, შორაპანი...
არ მასვენებს სენი ჩემი —
საზღვარს გადაშორებანი.

პატივი არ მიძებნია,
რაც რო მერგო, ვიფერებდი;
თვალებს მწვანე — ზემო, ქვემო —
აწყდებოდა იმერეთი.

ვერ დავთმობ, ვერ შეველევი,
მინდორი თუ ჯაგნარია...
მეტი რა ჩამოქნას ქნარმა,
ყველაფერი ნაქნარია.

სხვა რა დამრჩა, ერთადერთი,
თავის ვიცი გამეტება;
მოვალალეს, ცად მიმავალს,
ვალზე ვალი დამედება.

მახსოვს გზა-გზა ჩაქროლილი —
ციხეები, მონასტრები...
ვტირი იმ დღეს, როცა თავი
არ მექნება მონატრების.

ბიჭობა გამახსენდა

წუხელ ვგავდი უცეცხლოდ
ადუღებულ კოჭობს...
ვიცი, სიტყვას, ხანდახან
უთქმელობა რო ჯობს.

სახეს, შემცბარს, ვმალავდი,
მელეოდა ძალა...
მიფარავდა, მეც, ერთხელ,
კოჭებს, ხოშკაკალა.

ძენი, ბუდა, აცვენილს,
ბევრს ვერაფერს მძენდა;
აღარაფრად ვაგდებდი —
შეგინებას ბრძენთა.

თავხოტორა, ბებერი,
ცაცხვის ვიჯექ ძირში...
ნუ დამინდობთ, თუ ვიქნე
შეგინების ღირსი.

ცოტაღა დარჩა

გაბურდული, გულ-მკერდზე,
თეთრი ბეწვეული —
შემახსენებს, შავეთში
რომ ვარ მე წვეული.

დარჩება ეს მინდვრები
ძველებურად მწვანე,
ჩემდა თავად, სხვა აზრი
ვერ გამოვიტანე.

შუა რო მომაქციეს,
ზესკნელ-ქვესკნელია;
სადაცაა, ერთმანეთს
გადაესკვნებიან.

არავის ასცდება

ვიცი, წილია ქვიშის და ღორღის
ნეკნები ჩემი — თეთრი ორღანო;
დახერხილ ბგერებს გამოსცემს ხორხი,
მალე გავხდები მეც საყორღანო.

რაც ვილაყუნე, ისიც მეტია,
გადავლას ვეღარ შევძლებ მალაყთა;
წერტილი დაესმება ხეტიალს,
ვისი სამარე არ აბალახდა.

არ გავიწირები

მაწვება ურვა და მეწვის თხემი,
რაღა მამყოფებს მე უშიშრად;
ფართხალებს საფრთხე, სადგომი ჩემი —
ცარიელს დაემგვანა ნიჟარას.

ნუმც დასდებია სიცოცხლეს მიჯნა,
უჩემოდ ვინ გამართოს აგუნა;
რაღა ვარ, თუკი პატარა ბიჭმა,
აქ არ იხტუნა, არ იბაგუნა.

ხელად აჰყვება გულის ბაგუნი,
დილით, მისას რო მოვისმენ ჭყივილს,
ამოშენებულ კედელს, აგურის,
როცა პირველი ეცემა სხივი.

მზე იტრიალებს მყინვარის თავზე...
სამარის, ამშორდება ქვიშა რა,
საგაზაფხულო ფერებით სავსე,
სხვა ხმაზე იშრიალებს ნიჟარა.

შორიდან ვაცქერდები

ვიცი, მაჩანჩალამაც,
ოსტატობა რას ქვია;
იგი სიხარულის და
მწუხარების ნასკვია.

მიხედე, რაც გაშლილა —
ზღვებად, მთებად, ველებად...
ჟინის გარდა, ხელისაც,
ჭირდება წაშველება.

ვინ — ჯაგლაგზეც ვერ შეჯდა,
ვინ — ღრუბლებში ქროლავდა...
დრო ვერ შეჭამს, გაჭედილს,
დაუჟანგველ ფოლადად,
აღზევება ხვედრია —
თითოთა, ოროლათა.

ამგზავრებული

დევს მასრა, ტყვია დაიხალე,
რამდენი ვინმე გაბასრულა...
არახალია — არსებობა
ტანჯვას მოიხოვს საფასურად.

დღემდე თალხებით შემოსილო,
გითქვამს: ტკივილთა ქადაგი ვარ!
გლოვა ყელში გაქვს ამოსული,
მალე თავზედაც გადაგივა.

დაწერვა, წრეში გამოკეტვა,
მიწაზე ყოფნა აგეთია,
აწრიალებულს, უწამებლად,
არ გახსოვს, ღამე გაგეთია.

გათანგულს, თანვე წაგიყოლებს,
თუკი ისურვა თანატოსმა,
შენც, ენამწარეს, არ აგცდება —
დახეთქილ ბაგით, შხამის მოსმა.

* * *

მთებს უხდება სირბილე
თოვლის უნაგირთა...
მალე გადავიხედავ
ზამთრის ბუნაგიდან.

თავის მოყრა მასწავლა,
მთელმა, ნაწილების...
მელოდება მოწყენა,
მეტი, გაცილებით.

დაეძებდა რამდენი
სარკმელს გადარჩენის...
ვის რად გამოვადგები,
ოხრად დასარჩენი?!

სიხარული მყოფნიდა —
მცირე, პაწაწინა...
გაჭირვებამ უთვალავ
ხვრელში გამაძვრინა.

არ ვემდური, მივლია
ლაჩრად, მამაცადაც...
დალოცვილმა, ისედაც,
ბევრი დამაცადა.



ქარდა ქარდუხი

ჰერმესის დახლიდარები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

„რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და ჟამსა რღუევისა მისისასა უცნაურობს“.
იოანე პეტრიწი

კამარა პირველი

ჩამოსვლა

გულანშაროში ჩამოსულს, პირველად ჯვრის თავიანი მინარეთი ამესალტა თვალწინ; მაღალი, ჯერაც შეულესავი, ნაჩქარევად მიშენებული მეჩეთს, როგორც აია სოფიას დართული კოშკურები; წამიერად გამიელვეს თვალწინ, აღმოსავლური ზღაპრების სამყაროში გადასროლილს, კლდის ქიმზე წამომართულმა ციხესიმაგრეებმა ღრუბლებში გაუჩინარებული წვეტიანი გუმბათებით. უშველებელი ბრიტანული ტანკერის კაპიტნის ხიდურას თავზე, ათობით ადამიანთან ერთად მოკალათებულმა, თავი ნამთვრალევივით შევანჯღრიე, თვალები მაგრად დავხუჭე, ქუთუთოები მოვისრისე, გავახილე და ისევ მივაჩერდი მინარეთს: ნელა მოძრავი გემიდან, რამდენიმე წამით, ეკლესიის, რომელსაც ნაპირიდან შენობები ეფარებოდნენ, გოთური კოშკის ჯვარი უცნაურად გაუსწორდა მინარეთის კოშკის წვერს და ამიტომაც მეჩვენა, მინარეთის თავზე ჯვარია აღმართული-მეთქი.

პირდაპირ ბაღნარიდან იწყებოდა ქალაქი, ყვავილებით გადამშვენებული ნავსადგურით, არცერთ ჩვენ სანაპიროს არ გავდა, ამწეებიც კი, ოჩანი ცხენებივით რომ იდგნენ და ხანდახანღა აკანტურებდნენ თავს, ყვავილებით იყვნენ მოჩითულნი. ბაღსადგური იყო უფრო, ვიდრე ნავსადგური. ბაქანზე ათი მებაჟე დაგვხვდა და ისეთი გაშმაგებით, მეკობრეებივით შეესივნენ მგზავრებს, ჩანთებს, ჩემოდნებს, ფუთებს, ხსნიდნენ და ძირისძირობამდე ჩხრეკდნენ, რომ სწრაფადვე გამომიყვანეს თითქოსდა ზღაპრული ზმანებიდან. მე არაფერი მქონდა სადარდელი, უბარგოდ გამოვესწრაფე ომიდან სამშობლოს, რომც მქონოდა რამე უღელტეხილებით ნაწონიალებს, მაინც არ წამოვიღებდი: ყველამ ვიცოდით, გულანშაროში არაფერს შეგვატანინებდნენ, იარაღს ვგულისხმობ; სწორედაც რომ არ მეხატებოდა გულს გულანშაროში წამოსვლა, საკენიდან ფოთში ჩასულს, ამის გარდა, კიდევ სამი მიმართულებით მომავალი გემი დამხვდა, მართალია, სოჭში ცოცხალი თავით არ წავიდოდი, მაგრამ ყირიმსა და ბურგასში კი შემეძლო სიამოვნებით ჩასვლა, თუმცა, ბუნებრივია, გულანშაროსკენ მომავალი ეს ვებერთელა ცარიელი ნავთობის ტანკერი ვარჩიე. ჩემი სკოლის მეგობარი, დანიელი, წამოვიდა აქეთ და, რაც მთავარია, ყურმოკრულად ვიცოდი, რომ სერაფიტაც, მამამ ადრევე რომ გახიზნა გულანშაროში, ისევ აქ იყო და იმედი მქონდა, დანიელი მომაძებნინებს-მეთქი.

ჩემს გვერდით მდგომ, მილასლასებულ, სამოცდაათს მიტანებულ მოხუცს, სახიდან მწუხარებაც რომ გადაშლოდა, ერთმა მაღალმა მეზვერემ, მარცხენა ხელში ჩემთვის იმ დროისთვის სრულიად უცხო, ანტენიანი მობილური ტელეფონი რომ ეჭირა, თუ არ ვცდები მოტოროლა 3200, დიდი შავი ნაჭრის ჩანთა ჩამოართვა, იღლიამდე აკაპიწებული ხელით ჩაიძირა მასში და მთელი შიგთავსი ქვაფენილზე გადმოუბრუნა, როგორც გამოცდილი ყასაბი ჩამოქნის ხოლმე ტყავს ხეზე უკანა ფეხით დაკიდულ თხასა თუ სატიკედ შეგულვებულ ცხვარს. მთელი საათი გვაყურყუტეს ნავსადგურში, შემდეგ მკერდზე წებოვანი ფურცელი მიგვაკრეს, რომელზეც ნომერი და ის მისამართი ეწერა, სადაც უნდა მივსულიყავით და გაგვიშვეს. სანაპიროს კაფე-ბარების მწკრივისკენ დავუყევი. ყავახანები უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ. შედარებით უკაცრიელი ადგილი გამოვნახე, ძელსკამზე ჩამოვჯექი და ჩემს თვალწინ გადაშლილ ხმელთაშუა ზღვის უსასრულო სივრცეს მივაყურადე; ზღვა გასუსულიყო. არ იძვროდა. შორს, ძალიან შორს, ციცინათელებივით ციმციმებდნენ ფარნები მეთევზეთა როგორღაც სიმეტრიულად მიმობნეული ფელუკებიდან. მეც გარინდული გავეხვიე სიბნელეში და სიჩუმეს შეფარებული მივაჩერდი ვარსკვლავებს; ცას ჯერაც არ წაშლოდა სახე. მოულოდნელად მთელი ძალით შემოსძახა მუეძინმა. მინარეთიდან ისმოდა ხმა. კოშკიდან გამოიჭრნენ მეგაფონით გაძლიერებული ბგერები და მოედნენ გარემოს, ერთგვარი იდუმალებით აავსეს სივრცე. განაბულმა მივაყურადე და ჩავიძირე უცხო ბურუსში. უეცრად ეკლესიის ზარები აგუგუნდნენ რაღაცნაირი გამეტებით, ეჯიბრებოდნენ თითქოს მუეძინს თუ მეგაფონს. ის-ის იყო, მისუსტდა ზარების რეკვა, რომ შორიდან სასიამოვნო გალობამ მოაღწია ჩემს ყურთასმენამდე. მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ ორფეოსის ტაძრიდან მოისმოდა ორფიკოს ქალთა ქოროს სიმღერა. ყველაფერი ბრწყინვალედ იყო, მაგრამ სამიოდე წუთიც და მიყუჩდა მეგაფონიდან აღვლენილი ლოცვაც, ზარების ცაში აჭრილი გუგუნიც, ორფეოსის გულში ჩამწვდომი ჰიმნიც და მწარედ გაისმა ღამის ბარიდან უხარისხო მაგნიტოფონის, ფონოგრამაზე შესრულებული მთვრალების სიღოდა. აზრმიუტანებლად წამოვდექი და იქითკენ გავუყევი გუმანით, საიდანაც ჩემთვის აქამდე უცხო, დიდებული ჰიმნი მესმოდა; ასიოდე ბიჯზე, ლამაზი ქვით მოკირწყლული ვიწრო, შუასაუკუნეების ევროპული ქალაქებისთვის დამახასიათებელი ქუჩით პართენონის მაგვარ შენობას მივადექი. ანტიკური საბერძნეთის ცნობილ პეიზაჟს გაგახსენებდათ, ოღონდ ეს იყო, ქართული გალავნის მსგავსი ქვის ლამაზი მაღალი ყორე ერტყა გარს; ვეებერთელა კარიბჭე ღია იყო და ბლომად ირეოდა ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ შუაღამეს გადაცილებული, ეტყობა ახლადდამთავრებული ლიტურგიის თუ ღვთისმსახურების შემდეგ ტაძრიდან გამოდიოდნენ. გალავნის მოპირდაპირე მხარეს, ლამაზ ბაღთან, ისე, რომ ნათურების შუქ-ჩრდილებით მომხიბლავად განათებული ტაძარი მქონოდა თვალთახედვის არეში, ჩამოვჯექი სკამზე — სოხუმშიც რომ იყო იმდაგვარზე, ჩაღრმავებული ფორმა რომ ჰქონდა და მოსასვენებლად მოსახერხებელი რომ იყო. ოციოდე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ბიჭი და ორი გოგონა გამოვიდნენ ტაძრიდან, პირდაპირ ჩემი ძელსკამისკენ გამოემართნენ და ჩამოსხდნენ მხიარული ჟრიამულით. „არა, ეს შეუძლებელია-მეთქი!“ — გავიფიქრე გაოგნებულმა და ერთ-ერთ გოგონას, ტაძრის ეზოდან გამოსული შუქით წამით სუსტად რომ გაენათა სახე, მივაშტერდი; რა თქმა უნდა, ის სერაფიტა არ იყო, მაგრამ მართლაც ჩამოგავდა, ან ჩემი დაძაბული ტვინის ხვეულები ამსგავსებდნენ მას ჩემდა უნებურად, იმ წამს და მერეც, დიდი ხნის მერეც — ჩემი ამ კუნძულზე ყოფნის მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე. ბიჭმა შენიშნა ჩემი მოურიდებელი მზერა, პეიზაჟში უნიჭოდ ჩახატული დეტალივით შემათვალიერა და მკითხა — „საიდან ბრძანდებით?“ უხერხულად გაწელილი დუმილის შემდეგ მივუგე: „სოხუმიდან“. ეტყობა არ ელოდა და შეცვლილი განწყობის ხორცშესასხმელად სიგარეტი მომაწოდა. გამოვართვი და მისი სიგარეტიდან მოვუკიდე. ღრმა ნაფაზი საკმაოდ დამამშვიდებლად მოედო ფილტვის კედლებს. ძალიან სასიამოვნო იყო, მეზვერეებთან გულისგამაწვრილებელი ჭიდილის შემდეგ ასმაგად სასიამოვნო მეჩვენა ეს ადამიანური თავაზიანობა და ცოტათი დავმშვიდდი. „ვენდიტორ მასინჯალისკუ!“ — მითხრა შემდეგ გაღიმებულმა და ხელი გამომიწოდა — „ესენი ჩემი მეგობრები არიან, ლედი ნიმფა და რინადორე წყონდაში“. მაშინ კი ცოტა მეხამუშა ასეთი ოფიციალურობა, მაგრამ მერე და მერე, დროის მეტი რა მქონდა, გავარკვიე, რომ გულანშაროში გაცნობისას ჩვევა იყო, ახალგაზრდებშიც კი, სახელისა და გვარის სრულად წარმოთქმა. გოგონებმა გაცნობის ნიშნად გაიღიმეს, „ოდი“ — წარმოვთქვი მე ცოტათი უხერხულად — „ოდი ხვამლიანი“. შემდეგ კი რადგან დაუძლეველი შეგრძნება იმისა, რომ დაყოვნებითა და გაჭიანურებით რაღაც დიადს გავაფუჭებდი, მადლობა გადავუხადე სიგარეტისთვის, წამოვდექი სკამიდან, დავემშვიდობე და გზას გავუყევი. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ, ძალაუნებურად, ვეებერთელა პალმასთან ჩახუტებული წყვილი დავაფრთხე და უკვე დამფრთხალთ ვკითხე, როგორ მივსულიყავი სასტუმრო „მულღაზანზარომდე“. გაბრაზებულმა ვაჟმა ნაჩქარევად ამიხსნა რაღაც და თითი დასავლეთისკენ გაიშვირა. მეც დავუყევი მისი თითის მიმართულებით. ოციოდე წუთში მივაღწიე სასტუმროს, სადაც ათასამდე დევნილი დამხვდა და სადაც კიდევ თოთხმეტ წელზე მეტი მომიწევდა ცხოვრება უკან, სამშობლოში, დაბრუნების იმედით. თოთხმეტი წელი — რაც მაშინ არც მე და, წარმოიდგინეთ, იქ მყოფ არც ერთ ადამიანს აზრადაც არ მოუვიდოდა. ამ გზით მომიწევდა უამრავჯერ სადმე წახეტებულს სასტუმროში გაბრუნება, უამრავჯერ მკითხავდა მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე შეუცვლელად ამ საგუშაგოზე მყოფი პოლიციელი, თუ ვინ ვიყავი, სად მივდიოდი და რატომ მივდიოდი ასე გვიან, სანამ ბოლოს და ბოლოს, არ შემეჩვეოდა, მხოლოდ ხელის აწევით მომესალმებოდა და მანიშნებდა, წადიო.

მერყოფილი დოჟი

როგორც ყველა ქალაქს, ხმელთაშუა ზღვის ამ პატარა, თუმცა მთელ საქართველოზე ერთნახევარჯერ მეტი ტერიტორიის კუნძულ-სახელმწიფო პელაზგიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახევარკუნძულზე გაშენებულ ქალაქსაც ჰყავდა თავისი მერი, რომელიც, როგორც ადგილობრივებმა შემდეგ ამიხსნეს, ამ კუნძულის ყოფილ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოსულ პრეზიდენტს, თავის დროზე, ძალით დაუნიშნავს ქალაქის მესვეურად. მიუხედავად ადგილობრივი მოქალაქეების ძალისხმევისა და წინააღმდეგობისა, ვერც პელაზგიის ახლანდელ მიხრწნილ პრეზიდენტს მოეხერხებინა მისთვის რამე, თუმცა მოსვლისთანვე ჰქონია შანსი, მაგრამ უფიქრია, იონიხის — მისი მთავარი უკუმთქმელის და ნახევარკუნძულის მერის დაუძინებელი მტრის — მოსვლას ისევ ეს ჯობს, ჩემს ჭკუაზე ვატარებ მაინცო, ის კი არადა, იმის უფლებაც კი მიუცია თავგასული მერისთვის, რომ ამიერიდან „დოჟი“ დაერქმია საკუთარი თანამდებობისთვის, რასაკვირველია, მერთან შედარებით წარმოუდგენლად გაზრდილი უფლებებით, რომელიც უკვე მთელი ნახევარკუნძულის თორმეტივე კანტონზე ვრცელდებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მერე გავიგე, მერე, როცა ამ ქალაქს ცოტათი მივეჩვიე, როცა უკვე სხვადასხვა ქუჩით შემეძლო სასტუმროში დაბრუნება, როცა უკვე მივხვდი, რომ ყველა ქუჩა ზღვაზე გადიოდა, რომ ყველა ქუჩა ქალაქის დოჟის სასახლიდან იწყებოდა, როცა ამ ქალაქის ყველა გიჟი ნაცნობი გახდა, როცა ამ ქალაქის ყველა მწერალი, პოლიტიკოსი, ქურუმი, მღვდელი, მასწავლებელი თუ სხვა ათასი პროფესიის ადამიანი შემეძლო, საკუთარი შეხედულებისამებრ განმეკითხა და ამით საკუთარი თავი შეცდომაში შეყვანილად არ ჩამეთვალა.

დანიელი და სერაფიტა

ცხადია, გულანშაროში ჩასვლის მეორე დღესვე დავიწყე დანიელის ძებნა. რამდენიმე სასტუმრო და ერთი ბაღი გამოეყოთ დევნილებისთვის. როგორც იქნა, მივაკვლიე სამ სასტუმროში ამაო ძებნის შემდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ცუდ ადგილას, ქალაქის განაპირას და ყველაზე დაფხავებულ სასტუმროში აღმოჩნდა: უდიდესი ნიჭი ჰქონდა ამქვეყნიური სიამისაგან გეგმაზომიერად თავის დაღწევის. ორ დასთან და მშობლებთან ერთად იყო ჩაკუნჭული ოთახნახევრიან ნომერში. სასადილო დერეფნის ბოლოში ქონდა სამ ოჯახს საერთო, ისევე, როგორც აბაზანა, ოღონდ დერეფნის მეორე ბოლოში. თითქმის ორი წელი იყო, არ მენახა, ომს განერიდა თუ განარიდეს მშობლებმა, მეხვეწა — „არ გრცხვენია, ამ ომში როგორ უნდა იომო?! ვის დახოცვას აპირებ, წამოდი, ესტონეთში მივდივარ, გვეხვეწებიან სტუდენტებს, მოგივლით, გასწავლით და მოგხედავთ“ — მაგრამ როგორც მას ქონდა ყოველგვარ ამქვეყნიურ ნივთიერ სიამეთაგან თავდაღწევის უზადო ნიჭი, ისევე მე — სულიერ-ხორციელ კეთილდღეობისაგან გაუცხოების უბადლო ტალანტი, და უცივესი უარი მივუგდე, ის კი არა და ღამის გავიმეტე ბავშვობის მეგობარი — როგორ ტოვებ ახლა სოხუმს-მეთქი?! „ღმერთმა გიშველოს — მითხრა — ჭეშმარიტება, პლატონი და ჯანდაბამდის გზა გქონია“, ყურებამდე გაბადრულ-

მა — „არ ვიცი, რამდენად შევძლებთ, მაგრამ წერილი მაინც მოიწერე“ და გაუჩინარდა ბალტიის ზღვის მიდამოებში. სამი წერილის გაგზავნა მოვახერხე, ორის კი მიღება, მერე უკვე აზრი აღარ ქონდა, ტამიშთან წყდებოდა სამყაროს ოთხივ სტიქიასთან კავშირი. სოხუმის ნავსადგურთან რუსული ფლოტის შიშით ძლივს მომდგარ ხომალდებს წერილ-ფოსტისთვის აღარ ეცალათ; ომის შემდეგ კიდევ მის ოჯახს ტალინში წასვლა ვეღარ მოეხერხებინა და გულანშაროში დამკვიდრებულა. აშკარად გაუგებარი კი იყო, მაგრამ დანიელსაც ტალინი მიეტოვებინა და აქვე გადმობარგებულიყო, აქ კი, საშინლად მოწყობილნი კვლავ სადღაც გადასვლაზე ფიქრობდნენ, სადღაც მახლობელ კვიპროსში. ვუთხარი — ნანა დეიდა, თურქულ ნაწილში მაინც ნუღარ გადახვალთ-მეთქი. „რა ვიცი, შვილო, ამას გაუგებ რამეს?“ — მიმითითა დანიელისკენ, ხუმრობით ცდილობდა იმის დაფარვას, ასე მწარედ რომ განიცდიდა ოჯახის მიზეზით ასეთ დღეში ჩავარდნილი დანიელის ბედს. ის კიდევ ფილოსოფიურად იღიმებოდა, როგორც ჩვეოდა და სწორედ თურქულ კვიპროსში გადააბარგა მთელი ოჯახი რამდენიმე თვის შემდეგ, თვითონ კი ცალკე ჩემი და ცალკე უნივერსიტეტის ხათრით დარჩა გულანშაროში. ვატყობდი, ყველანაირად გადაჰქონდა სიტყვა შორს, მაგრამ გარდაუვალი იყო და ბოლოს მაინც მითხრა მოჭრით — „შენი გულის ვარდი სამი თვის წინ წავიდა გულანშაროდან“. მწუხარებით მივაჩერდი — „სად, ხომ არ იცი?“ — ვკითხე იმედით.

— აბა, მოიკრიბე მთელი შინაგანი ნებელობა! — აშკარად ჩემს გასამხნევებლად ხუმრობდა ამჯერად, კარგად ვიცნობდი ბაღის მეგობარს.

— ამოშაქრე!

— ერთმორწმუნე რუსეთში!

— ფუ, შენი! — აღმომხდა უიმედოდ.

ნანა დეიდამ, დანიელის უსათნოესმა დედამ, ღვიძლივით რომ მიყვარდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საკუთარი, უღელტეხილში წოწიალისას რომ შემატოვა სამყაროს, გენწვიშში დავმარხე, ხვამლიანების საგვარეულო სასაფლაოზე, თვალი ამარიდა. დანიელის უმცროსმა დამ, თეამ, ასე რომ დაქალებულიყო ორ წელიწადში, სვიტერი ლამის თვალებამდე აიფხატა. ისიც ხვდებოდა, ეს რასაც ნიშნავდა. სერაფიტას მამა და მამიდა ადრევე იყვნენ სანკტ-პეტერბურგში გადაბარგებულები, გაგრის დაცემის შემდეგ, ჭკუა იხმარეს და როგორღაც მოახერხეს იქ ბინის შეძენა. ულამაზესი სერაფიტა შეიძლება უკვე გათხოვილიც კი ყოფილიყო. ხავსს ვეჭიდებოდი, თორემ რა დიდი მისახვედრი იყო, რომ გულანშაროში დიდხანს არ დატოვებდნენ სერაფიტას, მე კი რუსეთში აღარ წავიდოდი, ცოცხალი თავით აღარ მინდოდა იქ წასვლა. სერაფიტა, რომლის სახება ისედაც არ მცილდებოდა გონებიდან, გულანშაროში პირველსავე დღეს შემოფეთებული სახეების წყალობით უკვე თვალთაგანაც არ მშორდებოდა და ასოცწილ მიბუგავდა გულსაც და ტვინსაც: მამა ისტორიკოსი ჰყავდა და ამიტომ დაარქვა ეს სახელი, რაღაცნაირად კოდი ჩაუდო თითქოს იმთავითვე, ასე დაკარგული რომ ყოფილიყო ჩემთვის. მართლაც ვაება ვაებისა — ჩვენს კურსზე ყველაზე მოკლე და წარმოუდგენელად თხელ კაბას იცვამდა, რომელიც ისე უხდებოდა მის მაღალ თლილ სხეულს, ისე წარმოაჩენდა, ეროტიულობისა და ანტიკური ქანდაკების მშვენიერების ზღვარზე, რომ ჩვენი ხაშურელი კოლეგა ყოველ შესაძლო შემთხვევაში მწყურვალე მზერას ჩამოაყოლებდა ისე, რომ სერაფიტას შეემჩნია. სერაფიტა კი მხოლოდ ეშმაკურად, მაგრამ უმანკოდ გაიღიმებდა ხოლმე. ერთხელ როგორღაც ყველას გასაგონად მითხრა — „რა კარგი ბიჭი ხარ, ოდი, რა იქნება, რომ სემინარებს არ მოჰყვე?“. ხაშურელმა კურსელმა სახე ხელებში დამალა და ჩაიღიმუვლა: „ვახ, ტო! გოგო რას გეუბნება“, თითქმის ისე, როგორც მიმინოში მკრტჩიანი ვალიკოს განაჩენის გამოცხადებისას ჩაასომხურებს. ჰო, სერაფიტას ჰქონდა ნიმფასავით შავი თვალები; გაგრელს, ამღვრეული ზღვისფერი თვალები ჰქონდა. ახლა კი რუსეთშია, ჯანდაბა! სწორედაც რომ ქაჯეთში წაიყვანა მამამისმა! მე კიდევ საქართველოდან მის გამო გადმოვიხვეწე, თუმცა ერთიცაა, არც შემეძლო ნაკუწებადქმნილ სამშობლოში დარჩენა. მაგას მერჩივნა, ამ უცხო კუნძულზე ვყოფილიყავი, ამ ქალაქში, ამ დოჟის მიერ გეტოდ ქცეულ ქალაქში.

ლეგალური და არალეგალური გულანშარო

ნაცვლად დანიელის რჩევისა, უნივერსიტეტი დამესრულებინა, რადგან ომის გამო მესამე კურსზე შევწყვიტე სწავლა საქართველოში, თავიდან მწერალთა გილდიის ძებნას შევუდექი. რა თქმა უნდა, სატელეფონო ცნობარი მოვიძიე და ერთადერთ გულანშაროელ პოეტს, რომლის სახელიც გამეგონა, პროტა შერინასკუს დავურეკე, მაგრამ ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა; გაირკვა, რომ ბატონი პროტა შერინასკუ არ ყოფილა მწერალთა გილდიის მაგისტრი, უსარგებლია კუნძულისა და ქალაქის აუტანელი მდგომარეობით, სოციალური, მორალური და სულიერი კრიზისით და პოეტობისთვის გაუნებებია თავი. არ ვიცი, როგორ მოახერხა, ძალიან გამაოცა მისმა ასეთმა საქციელმა. ამდენ გამბედაობას მისგან არ მოველოდი, თუმცა ეს მაშინ გამიკვირდა, როგორ გადაურჩა ადგილობრივთა რისხვას-მეთქი, თორემ, მერე და მერე ყველაფერი გაირკვა: მეგობრებმა მიამბეს, ახლადშეძენილმა მეგობრებმა, რომ გადაურჩა კი არა, ცოტათი ხელიც კი შეუწყვეს თურმე პოეზიასთან გამომშვიდობებაში, ის კი არადა, მომავალმა მწერალთა გილდიის მაგისტრმა, მაჟრა სერვიეტასკუმ, თურმე საკუთარი დანაზოგიდანაც კი უწილადა თანხა, მართალია, სარფიანი სარგებლით, მაგრამ მაინც, რათა წაეხალისებინა ახლადგამომცხვარი ვაჭარი. როგორც მერე და მერე გავარკვიე, მას ვაჭრობაში უფრო დიდი სიმაღლეებისათვის მიუღწევია, ვიდრე პოეზიაში. კაცმა არ იცის, ქალაქის დოჟს ბატონი პროტა პოეტად ერჩია თუ ვაჭრად, მაგრამ ფაქტია, რომ სარგებელს ორივე შემთხვევაში ნახულობდა, ის კი არა და სწორედ ამ საბედისწერო შემთხვევისა თუ პრეცედენტის მერე დახვეწა კიდეც ეს მეთოდი; ვინც მის წინააღმდეგ გაბედავდა არათუ მოქმედებას, ფიქრსაც კი, მოქმედი მწერალთა გილდიის მაგისტრის საშუალებით, ყოველნაირად ცდილობდა, ვაჭრად ექცია. თუ ვერ გამოუვიდოდა, მაშინ განედევნა მაინც პოლისიდან, თუ ამასაც ვერ ახერხებდა, მაშინ უკვე უკიდურესი ნაბიჯი რჩებოდა და ძირითადად ტბის ფსკერისკენ გამოუწერდა ხოლმე მარადისობას, რაც მერე, დიდი ხნის მერე, გახდა ნთელი, როცა ტბის დაშრობა დაიწყო დოჟმა. მაგრამ ეს მერე იყო, როგორც გითხარით, დიდი ხნის მერე. ახლა კი ძველ ამბავს რომ მივუბრუნდეთ, სწორედ პროტას საბედისწერო გარდასახვა დანერგა მეთოდად დოჟმა და ასე და ამრიგად მას ჩემი გულანშაროში ჩასვლის დროისთვის უკვე მოეხერხებინა ასოცდაოთხი მწერლისთვის, ასი მხატვრისთვის და ორასი მსახიობისთვის დაევიწყებინა საკუთარი პროფესია და ვაჭრად ექცია. ვაჭრადქცეული მეცნიერების, ჟურნალისტებისა და უბრალო საჯარო მოხელეების რიცხვს არავინ ითვლიდა. სიმბოლურად თუ მართლა პატივისცემის ნიშნად ყოველ მათგანს ჰერმესის ცნობილი სიმბოლოს, კვერთხის ფორმის თექვსმეტგრამიან ოქროს გულსაბნევს ჩუქნიდა, ცნობილებს და გამორჩეულებს თვითონ აბნევდა მკერდზე საზეიმოდ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტების თვალწინ, ნაკლებ ცნობილებს მაჟრა სერვიეტასკუ, რიგითებთან კი, მისი დაცვის სამსახურის უფროსს, ქონდა ქარისკუს მიჰქონდა სახლში, მაგრამ არავის ტოვებდნენ უსაჩუქროდ და ყველა გულსაბნევი ერთნაირი ღირებულებისა იყო. შემდეგ ეს კვერთხის ფორმის ემბლემა თავისი პარტიის „პელაზგიის ახალი რენესანსის უნიას“ სიმბოლოდ განამწესა: მაღალი კვერთხი იყო, გაშლილი ორი ფრთით და ტანზე დახვეული ორი გველით; ერთს ქისა ჰქონდა გაჩრილი გაღებულ პირში (დოჟი ამტკიცებდა, ღვთიური მადლისა და სიუხვის სიმბოლოაო), მეორეს — აღმოსავლური იატაგანი, ნახევარმთვარესავით მოღუნული, კვერთხის თავზე კი, აქაოდა სიბრძნეც შევმატო სიმბოლიკასო, ბუს თავი იყო გამოსახული, ეს საკუთარი ინიციატივით დაატანებინა კუნძულის სახელგანთქმულ მოქანდაკე-არქეოლოგს, ქალბატონ ფრაუ კრუსტახს, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, რომელიც უმტკიცებდა — ეს ფრთები, არწივისად რომ მოიაზრება, უადგილოდ ჩანს ბუს თავის ფონზეო მაგრამ ვერ შეასმინა და მოეშვა, ოღონდ ეს იყო, ავტორობაზე უარი თქვა და ინიციალები მოაშორა. თავიდან თითქოს არ ეჭაშნიკა დოჟს, კინაღამ ფრაუ კრუსტახის სახელო შეეწირა მის ამ რისხვას, მაგრამ მას მერე, რაც ერთმა სტუმრად მყოფმა უნგრელმა პოლიტიკოსმა, რომელიღაცა რეგიონის, თუ არ ვცდები ბაჩ-კიშკუნის ადგილობრივი საბჭოს წევრმა (ამ რეგიონთან დაძმობილებული იყო გულანშარო, ხშირად ახსენებდნენ ტელევიზიით და ამიტომაც წამომიტივტივდა სახელი გონებაში), შეუქო, მადლიერიც კი დაურჩა ფრაუ კრუსტახს, ხელფასზე ოცპროცენტიანი დანამატი დაუკანონა, ემბლემა საკუთარ ნაშრომად გაასაღა და ყველგან თავის მონოგრამას ურთავდა, მედალიონებზე კვერთხის ძირში იყო ამოკანრული ლათინური „E.S“. ისინი, ვინც დოჟის ნებას არ დაემორჩილა, როგორც აღვნიშნეთ, იძულებული გახდა კუნძულის სხვა ქალაქში გადაბარგებულიყო. თუმცა არსებობდა რამდენიმე ასეული ადამიანი, ვინაც არაფრისდიდებით არ უღალატა პოეზიის, საერთოდ ხელოვნების მუზებს, არც გულანშარო დატოვა და არც ტბის ფსკერში მოსალოდნელ უჩინარ მარადიულობას შეუშინდა, როგორც შემდეგ ამიხსნეს, ამ ნაწილს მოქალაქეებისას არალეგალური გულანშაროელები უწოდა პოეტმა აგათოტეროსმა. სწორედ მათ შორის აღმოვჩნდი ამ ქალაქში ჩემდაბეედად თუ ჩემდა საუბედუროდ. ეს დაყოფა მთელმა გულანშარომ აიტაცა. ასე გაიყო ქალაქი ორ ნაწილად: ვაჭრებად და შემოქმედებად, უფრო სწორედ, შემოქმედებად და ვაჭრებად, რადგან ქალაქი თავიდან სწორედ შემოქმედების, ხელოვანი ადამიანების ხელში იყო. შეიძლება ეს დაყოფა, თუ ასე დაყოფა არ მოგეწონოთ, მაშინ — არალეგალურ და რეგალურ გულანშაროდ მოიხსენიეთ.

მაჟრა სერვიეტასკუ

მას შემდეგ, რაც ახალი მაგისტრის ვინაობა გავარკვიე და ის ჩემთვის სრულიად უცნობი პოეტი — აქ პოეტს ვამბობ რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი რომ მას ვაჭრის სახელი უფრო შეეფერებოდა, როგორც შემდეგ ჩემმა მეგობრებმა ამიხსნეს — აღმოჩნდა, ბატონი მაჟრა სერვიეტასკუ, საშუალო ასაკს გადაცილებული, სანდომიანი სახის ჭაღარა კაცი, რომელიც რატომღაც ზედმეტი თავაზიანობით მეპყრობოდა, სულ იღიმებოდა და ამიტომაც მომეჩვენა, რომ ქლესაობა მისი ბუნების შეძენილი თვისება არ უნდა ყოფილიყო. თავის კაბინეტში მიმიწვია მას შემდეგ, რაც მომხიბვლელმა და კეკლუცმა მდივანმა თუ ბიბლიოთეკის გამგემ, დაბალმა, სიცოცხლით თუ ენერგიით სავსე ქალიშვილმა, მოახსენა ჩემი მოსვლა, რითაც, როგორც შემდეგ გავარკვიე, დიდი პატივი დამდო, რადგან, თურმე, არცთუ ისე იშვიათად, ყოფილა შემთხვევა, რომ სტუმრების მოსვლას მაგისტრს არ ატყობინებდა ხოლმე, რა თქმა უნდა, მასთანვე წინასწარი შეთანხმებით ხოლო თუ ატყობინებდა, უფროსის კაბინეტში შესული საათობით არ გამოდიოდა პასუხის გამოსატანად.

უფერულ და რაღაცნაირად მოსაწყენ შენობაში, სადაც, როგორც შემდეგ მითხრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა პოეტმა ქალბატონმა, აკაბუ რცხასკუმ თვითონ უდიდესი პატივისცემით, შიშით და ძრწოლით შეაბიჯა პირველად და როგორც შევატყვე დიდ ამპარტავნებად ჩამითვალა ჩემი, ასე ვთქვათ, თავისუფლად შემოჭრა. მოკლედ, ამ ცოტათი ძველმოდურ შენობაში ფრიად გამოირჩეოდა მაგისტრის კაბინეტი, ალბათ გიორგი XIII-ის დროინდელი ავეჯით, რომელიც ბრწყინვალებას მატებდა ოთახსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ბატონ მაჟრა სერვიეტასკუსაც იმაზე მეტად სძენდა არისტოკრატიულობას, ვიდრე მისივე მცდელობები, წარმოჩენილიყო ასეთად. ის, პირველ რიგში, ჩემი ბედით დაინტერესდა, მკითხა: მარტო ჩამოვაღწიე თუ არა ამ ბრწყინვალე კუნძულის უმშვენიერეს ნახევარკუნძულში; ომს როგორ გადავურჩი; რა იყო ომის მიზეზები და ასე შემდეგ. მე როგორც შემეძლო მოკლედ ავუხსენი ყველაფერი, თუმცა როდესაც ომის მიზეზებზე ვსაუბრობდი და რუსეთის ფრიად უარყოფით როლზე ჩამოვაგდე სიტყვა, სასწრაფოდ შემაწყვეტინა საუბარი. მაშინ, რა თქმა უნდა, ამის მიზეზს ვერ მივხვდი, მხოლოდ შემდეგ, წლების შემდეგ, გავაცნობიერე, რომ ამ პატარა, — თუმცა საქართველოზე ერთნახევარჯერ დიდი, კუნძულის, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში, ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, საქართველოდან საკმაოდ შორს, დაახლოებით კვიპროსის სიშორეზე, მოკლედ, ამ პატარა კუნძულის, ამ ქალაქის მწერალთა გილდიის მაგისტრს არ სურდა ამხელა ქვეყნის ბრალეულობაზე ლაპარაკიც კი, რადგან ეს ფრიად ეწყინებოდა ქალაქის დოჟს, რომელიც ალბათ მის ყოველ სიტყვას ისმენდა თუკი დასჭირდებოდა ან არ ისმენდა, მაგრამ ისე იყო ეს შეგრძნება ხალხში გამჯდარი, რომ ძალაუნებურად ყოველთვის ისე იქცეოდნენ, საუბრობდნენ და ფიქრობდნენ, თითქოს მერის თანდასწრებით ყოფილიყვნენ და მას ვერაფერს გამოაპარებდნენ. შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს შესაძლებელზე უფრო მეტად ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა რომელიც უნდა ირწმუნო, ირწმუნო განუსჯელად და ასეც სწამდათ, სწამდა ყოველშემთხვევაში გულანშაროს ლეგალურ ნაწილს, როგორც ადრე ვუწოდეთ, უფრო სწორედ, როგორც მას ჩემმა მეგობარმა, გულანშაროს ცნობილმა პოეტმა გრაფმა აგათოტეროსმა უწოდა და ასევე ავიტაცეთ ჩვენ შემდეგ.

როცა ბატონ მაჟრას ჩემი „ეპოპეა“ წარვუდგინე, ჯერ განცვიფრებულმა შიშით შეავლო თვალი ქაღალდის დასტებს, ათას ფურცლამდე იქნებოდა, შემდეგ კი მკითხა:

— ომზეა?

მე შორს დავიჭირე:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო მაჟრა! — მან თვალები მავედრებლად მომაპყრო, — ომი ეს-ესაა დამთავრდა, უფრო სწორედ, არც კი დამთავრებულა. მე ლიტერატურაში დისტანციურობის თეორიის მიმდევარი გახლავართ.

— მაშ რაზეა, დაახლოებით მაინც რომ მიმახვედროთ?

— სიუჟეტი ძირითადად გამოგონილია; შორეულ წარსულში, ელამის ტომის ცხოვრების ფონზეა გაშლილი ადამიანთა ერთი ჯგფის თავგადასავალი...

— კარგი, კარგი, ორ კვირაში გამოიარეთ და პასუხს მოგახსენებთ.

— დიდი მადლობა, ბატონო მაჟრა, ასეთი გულისხმიერებისათვის და მაპატიეთ, რომ ასეთი მომქანცველი თხოვნით მოგმართეთ!

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, მეტს ჩვენ აქ რას ვაკეთებთ! – მომიგო გამონაგონი თავაზიანობით, რომელიც გაღიმებას ძლივს ეყო. „არ წაიკითხავს“ გამიელვა ფიქრმა, მაგრამ დიდად არ დავღონებულვარ, ამას უკვე მიჩვეული ვიყავი, არათუ სტუმრად გულანშაროში, მშობლიურ „გეორგიაშიც“ კი ვერ წავაკითხე ვინმეს, თუმცა ჯიუტი ხვამლიანების შთამომავალი გახლდით და უკან არ ვიხევდი; თან ერთიცაა, სხვა რა უნდა მეკეთებინა, რაღაცით ხომ უნდა გამერთო თავი?

ჰერმესის ქანდაკება

გულანშაროში ჩემს ჩასვლას დაემთხვა ქალაქის ტბის პირა პარკის შესასვლელში ჰერმესის უშველებელი ქანდაკების აღმართვა, რომელიც, ჩემდა სასახელოდ თუ საუბედუროდ, საქართველოდან მოწვეულმა მოქანდაკემ შეასრულა დოჟის დაკვეთით. როგორც გაირკვა, მოქანდაკის საქართვლოდან მოწვევა ყველაზე იაფი ჯდებოდა, თუმცა ადგილობრივი როდენები ცოტაზე მეტად გაბრაზდნენ, ქალაქის დოჟს ეს ქმედებაც მათ წინააღმდეგ გადადგმულ მორიგ დამამცირებელ ნაბიჯად ჩაუთვალეს. ქანდაკება გრანდიოზული იყო — იგრძნობოდა, ავტორს ქვეცნობიერში გაცი და გაიმი რომ უღიტინებდა. სპილენძის ოთხთავიანი გამოესახა აპოლონის გამცურებელი ღვთაება; ორი სახე ცბიერი, თვალებმოწკურული ჰქონდა თითქოს ვიღაცას მოტყუებას უპირებდა; ორიც სევდიანი, მრავლისმეტყველი, წინათაგან განსხვავებით უწვერ-ულვაშო, ყმაწვილური, ჩაფიქრებული, შორს, ზღვის მიძირებისკენ მიკარგული მზერით, ერთ ხელში არფა ეჭირა, მეორეთი მხარზეშემოგდებულ ციკანს იმაგრებდა, აშრიალებულ-აფარფატებული ქიტონის შიგნით პატარა ფრთები მოუჩანდა, ხოლო ქამართან ქისა.

დასასრული მე-15 გვერდზე

თამარ გაბროშვილი

სიყვარულის ლაბირინთი

ადამიანი — ღმერთის სიყვარულიანი თანავარსკვლავედიდან

ადამიანი ძალზე გამკვრივებული ღრუბელია. სხვადასხვა ფერად გამოიყურება, იმისდა მიხედვით, განათების თუ დაბნელების რა წყაროს წინაშეა.

ხან, როცა სულს ატკენენ, იწურება და სისხლის წვეთები — ნაფეხურებად თუ ლექსებად რჩება. მაშინ ფორმასაც ადვილად იცვლის.

ხან, როცა მშვიდადაა, ნეტარი ქულასავით დანანაობს დედამიწაზე და დიდ საიდუმლო გართობაშია. მაშინ ფეხებიც შეკეცილი აქვს გულ-მკერდთან, არ სჭირდება — სულის სიოსაც კი ძალუძს მისი გადაადგილება.

ზეციის შვილობა

მე მშობიარე
ქალწული ვარ,
დამლოცე, ცაო...

ეს ძალიან დიდი ხნის წინ დავწერე. ახლა კი ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი უზუსტესი განსაზღვრებაა ზეციური ქმედითობისა.

თუ ჩვენი შობის იდეა ჩვენს შობამდე დიდი ხნით ადრე, ცაში იბადება და იქ მთვარე ისე იბადრება, ათასი ჩხირ-სხივით ქსოვაში მონაწილეობას აღებინებს ჩვენი ჩანასახის გულამდე ჩამღწეველთ, მაშინ, როცა დედამიწაზე „ჩამოვარდნილი“ ჩვენი სუბსტანცია ჩვენი დედის მუცელში მონახავს ჩვენი განსხეულების — ჩანასახის ზრდა-განვითარების საიმედო პირობებს და, ბოლოს, დადგება მშობიარობის ჟამი — ჩანს, მხოლოდ ქალი კი არაა ფეხმძიმედ და განსაცდელშია, არამედ — თავად და უპირველესად, იმ წამებში, ჩვენ როცა ვიბადებით, თავად ზეცა გვმშობიარობს ჩვენ! იმიტომაც გვაქვს დედის მუცელში ფეხები მაღლა, თავდაყირა ვართ; დიდ სინამდვილეში, ჯერ კიდევ იმ წუთამდე, დაბადებამდე, ჩვენ ცაში ვდგავართ, იქითკენაა ჩვენი მიზიდვის ცენტრი. აი, დაბადების მერე კი, ყველაფერი თანდათან ამოყირავდება ხოლმე და ფეხები დაბლა გვექცევა. „თანდათან-მეთქი“ — იმიტომ ვამბობ, რომ „ერთხანს“ — ეგრეთ წოდებული ჩვილობის მდგომარეობაში ყოფნისას, გაურკვეველი — ჰორიზონტალური მდგომარეობა გვიკავია, მიწაზე დაშვებულთ ცა ისე აღარ მიგვიზიდავს, მიწა კი — მიგვიხმობს, ნელ-ნელა ვადგამთ ფეხს მიწაზე, ვფორხილობთ, ვსწავლობთ სიარულს, ფეხზე ჯვრებად წამოვიმართებით და მთელი ცხოვრების მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ, დავყირავდებით და დავეცემით, რამდენჯერ ისევ წამოვდგებით. ჩვენს მხნეობას და სწორ დგომას განაპირობებს, რამდენად გვაქვს სწორება ცისკენ — ჩვენი იდუმალი მშობლისკენ, რომელიც, ბოლოს, როცა ხდება ჩვენი განყოფა, ჩვენს სულიერ ნაწილს ისევ თავის წიაღში იბრუნებს, ფიზიკურს კი — მიწას მიაბარებს, რამეთუ ჩვენი მეორე — ფიზიკური დედაც მიწას ჰყავს გულში ჩახუტებული — ცის ყვავილების საზრდოდ და იმედად!

ყურები და ყურთასმენა

ყურებზე ხელისგულები მჭიდროდ მივიფაროთ და საკუთარ თავს მოვუსმინოთ!

რა ზრიალი, რა ჩხრიალი, რა ბათქაბუთქი, რა ბაგაბუგი, რა შუილი, რა დგაფუნა ხმები გვესმის — ეს რა ხდება ჩვენს ორგანიზმში? რა ჯანყი და ღრიანცელია?

ისევ ჩამოვიღოთ ხელები ყურებიდან და შვებით ამოვისუნთქოთ:

რა კარგია, რომ არაფერი გვესმის, გამოყრუებულნი ვართ საკუთარი თავის მიმართ და მხოლოდ ის გვესმის, რაც გარეთ ხმაურობს.

ყველაფრის გაგონებას ნამდვილად ვერ გადავიტანდით.

ესე იგი, ჩვენ ყურებით ვისმენთ ჩვენში შემომავალ ბგერებს, მაგრამ ჩვენიდან გარეთ გამავალს გარემოში ვუშვებთ; იქნებ სწორედ ესაა ჩვენი „გაუგონარი ხმა“, რომელსაც ჩვენი ფიქრები და განცდები კიდით კიდემდე გასდევს, გააქვს.

ყურებიდან უწყვეტად გადის სამყაროში ჩვენი გულის ძახილი... და, ექო-ექოდ მიღწეული, ყველგან ისმინება, თვით საწყისამდე.

თავად ყურის ფორმაც ხომ ამ აზრს ემსახურება:

შიდა ყური, შუა ყური, გარე ყური და ნიჟარა — მოდის ვიწრო ყელიდან და, თანდათან, ფართოვდება და ფართოვდება, როგორც საყვირი. ჩაბერვა ვიწრო ყელიდან ხდება და ბგერები განიერი ბოლოსკენ იფანტება, გადის ჰაერში...

ესე იგი, ჩვენი ყურის ვალი, სინამდვილეში, ის უფროა, რომ ჩვენი ხმები გარეთ გაუშვას, ვიდრე — შიგნით შემოუშვას.

ყურმოჭრილი ყმანი სამყაროსთვის ნაწილობრივ იკარგებიან, რადგან ხმის გამაძლიერებელი ნიჟარა აღარ აქვთ.

ყური — ჩვენი სიყვარულის ლაბირინთი

ეს ნიჟარები, საიმედოდ, ჭკვიანურად, მრგვლად და მთვარეულად დახვეულები, ყურის ნიჟარები, სულ მზად არიან, სულის ორმოში ჩაიგორონ ჯერართქმული, ნაღდი სიტყვები, როგორც თეთრი მარგალიტები და შეინახონ სიცოცხლის ფსკერზე — აღმოსაცენებლად, ოდესმეობაში გასაცოცხლებლად.

ყური თავის პატრონს ჰგავს. ისეთი ფორმა აქვს, როგორიც მას ჰქონდა ჩანასახში მყოფობისას. სასმენი მილი იგივე ჭიპლარია, რომელიც გარეთა — ჩვენს ჩანასახოვან არსებას — აკავშირებს შიდა არსთან. ერთი შეხედვით, ეს ჩვენი უბრალო ყურები ჩვენში ჩვენს თავს აძლიერებენ თურმე.

რა თქმა უნდა, სასაცილოა ბიბილოებზე ჩამოკონწიალებული საყურეები, რომლებიც იქვე რჩებიან, სადაც არიან.

თუმცა ბიბილოზე ჩამოკიდებული საყურე, ჩანასახს ძირს ექაჩება, რაც არ მოსწონს მას. ერთი სული აქვს, როდის გადაყრა და მოიშორებ; თუმცა ნახვრეტი კარგა ხანს გაგახსენებს კონწიალის ამაოებას!

ცხვირი

ცხვირის რელიეფურობას, მის ფორმათა სხვადასხვაობას ადამიანის არსება ზრდა-განვითარების პროცესში თავადვე იყალიბებს. თავისივე წარსული, აწმყო და სამომავლო აზროვნების, ქცევის, მორალის, გრძნობების და სხვა თვისებების შესაბამისად.

კარგ მკითხველს ადამიანის გარეთ გამოვლენილი ყველა ორგანოს წაკითხვაც შეუძლია, მათ შორის, ცხვირისაც. წაიკითხავ ცხვირს და გაქვს ძალიან ბევრი ინფორმაცია ამ ადამიანის შესახებ. ამიტომაა, რომ ცხვირი ყველაზე წინაა წამოწეული და გეუბნება, ჯერ მე გამიცანიო.

ვისაც ბავშვობიდან დიდობამდე, ან გარკვეულ პერიოდში, ცხვირიდან ცინგლი-ცუნგლი სდის, ნიშნავს, რომ ეს ადამიანი წონასწორობადარღვეულია. ცხვირმა, იმის ნაცვლად, რომ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა აწარმოოს და მიხედოს მთელ სხეულს, ითავსებს სითხის გამოყოფის ფუნქციას, ადამიანი გამოდის გარეთ, იფანტება სამყაროში და თავის თავში, თავის ადგილზე შემოსვლა უჭირს. ძალადობა გარედან, შიგნითაც ასეთსავე პირობას უქმნის ადამიანს.

მარტო პირი კი არა, ცხვირიც ლაპარაკობს: მომხედე, დამშვიდდი, ყველა სხვათაგან გაითავისუფლე თავი, რომ აღარ შეგაწუხოს გაუგებრობამ, ძალდატანებამ, თავს მოუსმინე, განკარგე საკუთარი თავი, თუ გინდა, რომ შენი ცხვირი იყოს მართლა ცხვირი — შენი უდიდებულესობა!

გაუფრთხილდით დედებს!

ერთხელ, ერთი უმაღლესი სასწავლებლის ცარიელ აუდიტორიაში დიდ დაფაზე დიდი, ლამაზი ასოებით ცარცით დავწერე:

— შვილებო, გაუფრთხილდით დედებს! მათ თქვენ ძალიან უყვარხართ, სულ თქვენზე ფიქრობენ! იყავით კარგები და გულები გაუხარეთ, მიეფერეთ დედებს!

მორიგ ლექციაზე, ვიცოდი, აქ სტუდენტები შემოვიდოდნენ, წაიკითხავდნენ და სახლში დაბრუნებულები დედის უსასრულო მზრუნველობას უფრო მეტად დააფასებდნენ, შუბლზე აკოცებდნენ, გულში ჩაიკრავდნენ:

— დედიკო, რა ბედნიერი ვარ, შენ რომ მყავხარ! მიყვარხარ, დედიკო! — ეტყოდნენ და არ ეცოდინებოდათ, რომ დედიკო, ასე ძლიერი და ასაკოვანი, ხან მათზე უფრო პატარა, გულჩვილი და მგრძნობიარე ბავშვია...

საზღაური დედობისთვის

სანამ დედა ცოცხალია...

ჩემმა შვილმა — ბარბარემ — მომასმენინა ჩანაწერი ამერიკიდან — სკაიპის საშუალებით როგორ ეძებენ და არჩევენ თანამშრომლებს „ოპერაციების ხელმძღვანელის“ თანამდებობაზე.

სთავაზობენ სამსახურს, სადაც:

— მუშაობა იქნება სადღეღამისო!

— არ იქნება არდადეგები, შვებულება, სადღესასწაულო დასვენებები!

— უმეტესად ფეხზე დგომა დასჭირდებათ!

— შეიძლება არ ჰქონდეთ ჭამის დრო!

— ვისთვისაც გაირჯებიან, მასთან სამუდამო კავშირი ექნებათ.

— რაც მთავარია, მოუწევთ მუშაობა ანაზღაურების გარეშე!

— ნუ გაგიკვირდებათ, ეს შეუფასებელი საქმიანობაა და მილიონობით ქალია ამ სამსახურით დაკავებული!

— კი, მაგრამ, რა არის ასეთი საქმიანობა?

— ეს არის დედობა!

ამის მოსმენის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, ჩემი შვილებისგან მიღებული გამოცდილება სხვათა შვილებისთვისაც გამეზიარებინა:

მართლაც, მომავალი დედა, იგრძნობს რა საამისო მზაობას, თავისი ნება-სურვილით გადაწყვეტს, რომ გახდეს დედა, გაზარდოს შვილი. ეს მისთვის სიხარულის, იმედის მომნიჭებელი უზენაესი საქმეა. რა თქმა უნდა, მის შეუფასებელ მსახურებას, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ეწევა, ფინანსურ ანაზღაურებაზე ფიქრი არ უდევს საფუძვლად.

კარგი და მისაბაძი იქნებოდა, თუ შვილიც გააკეთებდა საპასუხო, თავისუფალ არჩევანს — არა იძულებით, ანდა ვალდებულების გამო, არამედ ღვთაებრივი სიხარულით აღეძვრებოდა სურვილი — როცა მიეცემოდა ამის შესაძლებლობა, ექნებოდა სამსახური და, შესაბამისად, ხელფასი, დედის ანგარიშზე — „სიყვარულის კოსმიურ ბანკში“, ყოველთვიურად გადაერიცხა თავისი შემოსავლის, თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი — გაწეული ამაგისათვის, უბრალოდ, მადლიერების ნიშნად.მომავალი თაობებისათვის კი ეს იქნებოდა მშობლების სიყვარულისა და პატივისცემის ერთგვარი, სამაგალითო ჩვენება.

რას ამბობდა კარტოფილი

აპრილის ბოლოა. ტომრიდან ამოვიღე კარტოფილი. საცოდავად დასჭმუჭნოდა კანი, ზუსტად ღრმა მოხუცებულობაში შესული ადამიანივით. აქა-იქა, დაბერილი კვირტებიდან, გრძელი ღოჯები გამოზრდოდა. ღოჯებს ბოლოებში, ალაგ-ალაგ, ციცქნა კარტოფილებიც კი გამოესხა.

თუ ასეთ კარტოფილებს ტომარაში დავტოვებდი, თანდათან სულ ჩაჭკნებოდა, ჩალპებოდა, მაგრამ თუ მიწაში ჩავფლავდი, თანაც საპატიოდ, იქ ის ახალ სიცოცხლეს შეიძენდა.

ეს ყველაფერი თქვენთვისაც ცხადია, მაგრამ მე იმაზე დავფიქრდი: რისი თქმა სურდა კარტოფილს? იქნებ მანახვებდა, რომ, რაკი სამყაროს ყოველი ნამცეცი ერთიან კანონს ექვემდებარება, ჩვენც, გაგვიჩნდება თუ არა საიმისო პირობა, რომ შეიძლება ჩაგვფლან მიწაში — ეს ახალი სიცოცხლის დასაწყისად უნდა მივითვალოთ...

მინახავს, ბუდნაში ჩათესილი 3-4 კარტოფილი როგორ გამრავლებულა. თვითონ, ეგრეთ წოდებული დედა-კარტოფილები სულ გამოფშუტულან, სამაგიეროდ, მთელ ბუდნაში მიმოფანტულა 10-20 შვილეული კარტოფილი. ბარს ჩაკრავ მიწაში და ამოცვივიან დალოცვილები; შემოაფხვნი მიწას თითოეულს, ან დიდ გოროხს დაფშვნი ხელში და იქიდანაც გადმოხტებიან შემალულები.

ეს ხომ სიცოცხლის ესტაფეტაა — გარკვეული ადამიანების მიერ გაცნობიერებული წესრიგით გადაცემული...

მაგრამ თვით ადამიანიდან ადამიანზე როგორ ხდება სასიცოცხლო ალამის გადაცემა; რა ძალით, არჩევანით, და საერთოდ, რა ხდება, ცოტა ძნელი გასაგებია; თითქოს ისეა, ყველაფერი რომ იცი, რომ ხვდები, მაგრამ რას გეუბნებიან, რომ ვერ იგებ, იმიტომ, რომ სხვა ენაზე გელაპარაკებიან...

მაგრამ არსებობს, გხვდება შეუმცდარი, ნიშნეული ელემენტები, რომლებიც გამცნობენ, რომ უღრმესი წესრიგის თანამონაწილე ხარ, თანაც მარადიული თანამონაწილე.

ხელში მეჭირა დანაოჭებული კარტოფილი, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა. ახლოს იყო მიწა. ისევე ახლოს, როგორც ჩვენთანაა, მუდამ ფეხით რომ ვეხებით.

— კარგად მიყურე, მეტი გაიგე, იმედი გქონდეს, ადამიანო... — ღოჯებში იღიმებოდა ბებერი კარტო.

ვიტრინებში ყურებას თავი გაანებე!

ტროტუარზე მამას შვიდიოდე წლის ვაჟი — უსუარი — მიყვებოდა. ვაჟი მამას წარამარა აჩერებდა, მკლავზე ებღაუჭებოდა: — შეხე, რა კარგი ბოტასია; შეხე, რა კარგი მაისურია, რა კარგი სათამაშოა და ასე შემდეგ.

მამამ ადრე ნათქვამი ხელახლა, მკაცრი ტონით გაუმეორა:

— ხომ გითხარი, გზაზე რომ მიდიხარ, ვიტრინებში ყურებას თავი გაანებე, წინ იყურე!

ბავშვს თვალები დაებრიცა. მამას ჩუმად გაჰყვა.

რჩევა, რომელიც მამამ შვილს მისცა, გამოადგებათ ქალბატონებს — დროსაც და ფულსაც დაზოგავენ; არც დარდი დარჩებათ გულში — რა კარგი იყო, მინდოდა და ვერ ვიყიდეო...

წინ! წინ იარეთ, მეგობრებო! ვიტრინე-

ბი მახეებია, სადაც ადვილად ებმებიან ბავშვები და ბავშვუნია ქალები... იქნებ კაცებიც... ყველას თავისი მახე აქვს...

ქრისტესისხლა

ყვითლად ანთებული ქრისტესისხლა ისე მომეწონა, გადავწყვიტე, ძირფესვიანად ამომეთხარა და თან წამომეყვანა. ვუთხარე ძირი, ვუთხარე და ისე გრძელი ფესვი აღმოაჩნდა, ძლივს მივაღწიე ბოლომდე, მაგრამ რისი ბოლო... მეორე ქრისტესისხლასთან მიმიყვანა მისმა ფესვმანდურმა. პირველზე ფესვით გადაბმულ მეორე ქრისტესისხლას რომ მივადექი, გზა კვლავ გავაგრძელე; ვთხარე და ვთხარე ფესვის გზა და, საოცრებავ, მესამე ქრისტესისხლასთან აღმოვჩნდი... მერე — მეოთხესთან და, ბოლოს, უბრალოდ, მივხვდი, ამ ბაღში რაც კი ქრისტესისხლები იყო ამოქროვილი, ყველა ერთმანეთთან ფესვებით იყო გადაბმული; ისინი მიწაში ერთნი იყვნენ და, არა მარტო ამ ბაღში, არამედ მთელ დედამიწაზე ყველა ქრისტესისხლა ერთმანეთზე ფესვებით იყო გადაბმული; ამიტომაც იყო, სად არ ნახავდით მას ამოსულს, გახარებულს, ადამიანივით წითელსისხლიანს და ყვითელ-პრიალა ფურცლებ-ყვავილიანს...

ისიც კი გავიფიქრე — როგორც ესენი არიან მიწის ქვეშ ერთმანეთზე გადაბმულები, ადამიანებიც, მიწის ზემოთ, ისე ხომ არა ვართ ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი და ტყუილად გვგონია, რომ გამოცალკევებულნი ვართ ერთმანეთისგან?

თუკი უბრალო ქრისტესისხლაც კი არაა მარტო, ადამიანი როგორღა იქნება მარტო.

უყვარს თუ არა ფუტკარს ყვავილი?

მთასა თუ ბარში, მინდორ-ველებზე გაშლილ ყვავილებს მიმზიდველი ფერადფერადი ფერ-სურნელება, სიტკბოება თავისი დედა-მიწიდან ამოაქვთ; ქარს მზემდე გადააქვს მათი წადილი და უნაზესი სრულყოფილებისთვის ჩაწნულია ერთურთს ყოველი. ყვავის ყვავილი. მოვა ფუტკარი, ამოწოვს სიტკბოს, ბზუილ-ბზუილით სხვა ყვავილზე გადანაცვლდება — აგროვებს ნექტარს. რა სიყვარული, რის სიყვარული, აქ სიყვარული არაფერ შუაშია; მას ეს თავბრუდამხვევი — ყვავილთა გულების დაპყრობა, ამოწოვა, უბრალოდ, თაფლის ქმნისთვის სჭირდება. ეს მისი მისიაა, შეიძლება ასე ითქვას, და სხვაგვარად არ ძალუძს. ყვავილებიც არ ღონდებიან ამის გამო, რჩებიან გულგაშლილნი და მათ გულჯამს შეიძლება მეორე წუთს სხვა ანცი მწერი ეწვიოს. ეს ძალიან ბუნებრივია, რადგან ყვავილებს, მწერებს, ცხოველებს კრებითი სამშვინველი აქვთ და ცალკეული ინდივიდის გარჩევის უნარი არ აქვთ.

თუ ადამიანთა სამეფოში გადმოვინაცვლებთ, დავინახავთ, მათ უდიდეს ნაწილს იგივე — ცხოველური ინსტინქტი ამოძრავებს — ყველა ქალი და კაცი მისთვის თითქმის სულერთია და მათთვის სიყვარული მოიაზრება, როგორც ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ხოლო ის ადამიანური უნარი, გახდეს ინდივიდუალური პიროვნება და შეძლოს სხვა ინდივიდის შემჩნევა, გამორჩევა ერთისა მეორისაგან და, შესაბამისად, გაუჩნდეს სიყვარულის ნათელი გრძნობა კონკრეტული პირისადმი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ განსავითარებელია, ანუ ადამიანი ჯერ კიდევ არ არის ადამიანი; ისევ გაბნეულია და შეკრების უნარი არ აქვს. ადამიანი, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების კონცენტრატი, ჯერ კიდევ დუღილის, გამოხდის, დაწმენდის პროცესშია. თუმცა ადამიანებში, დაბადებისთანავე, ჩადებულია ეს შესაძლებლობა და ქვეცნობიერად იცის, რას ნიშნავს ადამიანური სიყვარულის მატარებლობა; მაგრამ ხშირად ქვას (გულქვას), ხეს, ყვავილს, მწერს, ქვეწარმავალს, ცხოველს, უფრო ხშირად მტაცებელს (ან მსხერპლადქცეულს) წააგავს.

ამიტომაც დღეს სიყვარული მოიაზრება, როგორც ტანჯვა, წამება, ტკივილი, იმედგაცრუება, უაზრობა და, რაც მთავარია, მიუწვდომელი და არარსებული რამ.

ადამიანო, გახდი ადამიანი და ეძებე მეორე ადამიანი; ხოლო მათ, ვინც ჯერ კიდევ ქვაა, ხეა, ანდა ცხოველი, შეაგებე შესაბამისი განწყობილება და გვერდით ისე ჩაუარე, როგორც ჩაუვლიდი ნამდვილ ქვას, ხეს, ანდა ცხოველს და უფრო მეტი, გებრალებოდეს, როგორც ჩამორჩენილი არსება, ნუ მოსთხოვ, რომ შეძლოს ნამდვილი, წმინდა სიყვარული; ისინი ხომ ჯერ კიდევ გზაში არიან; მათში ჩაბუდებული მინერალური, მცენარეული და ცხოველური ძალები ისე ძლიერია, რომ ბოჭავენ და არ უშვებენ, ჯერ კიდევ არ ათავისუფლებენ მათგან ადამიანს — „მეს“, რომელსაც შეუძლია ის, ჭეშმარიტი სიყვარული, ერთის სიყვარული, რომელსაც ითხოვ.

ამიტომაცაა ბრბო ჭრელი — მინდვრის ყვავილებივით და ფუტკრებიც თავიანთ საქმეს აკეთებენ. ვისაც რა ძალუძს, იმას იქმს.

* * *

დღეს „ერთსულოვნების“ ეთერში მეფუტკრეობაზე იყო გადაცემა. ფუტკრებიდან ერთი ქმედება ვისწავლე და მინდა გაგიზიაროთ:

ფუტკრებს სცოდნიათ, მათ სკაში უცხო პირი თუ შეფრინდება, ნექტარს ჩაასობენ და დინდგელით შემოგუნგლავენ, დაფარავენ დინდგელის გარსით, რომელიც ბაქტერიოციდულია და მათ გარემოცვას დაიფარავს უცხოს ხრწნადობის თანმდევი მავნე ზემოქმედებისაგან.

ხედავ?

ისინი, ჭკვიანი ფუტკრები, არასასურველ სტუმარს, უკეთებენ იზოლაციას და თვითონ კი არ იზღუდებიან, თავიანთ საქმეს აკეთებენ ხელშეუშლელად. მართლაც, დიდი, კეთილი საქმე აქვთ საკეთებელი!

ადამიანებმა კი ეს ვერ შევძელით. ხშირად ჩვენს თავებს ვიგდებთ იზოლირებულ მდგომარეობაში, მომხვდური კი — დათარეშობს... და ამასობაში ძალიან, ძალიან ბევრი რამე იკარგება.

* * *

გარეთ, ველთა ველებზე უშენოდ ჭკნებიან ყვავილები; შენ კი — ცრემლის ტბორში ზიხარ დუმფარასავით და საკუთარ სახეს ჩასჩერებიხარ, მდუმარებაში ჩაწერტილებულს!

აბა, რაში გამოიყენებ ახალ ცოდნას — მდუმარების იქით ხომ დიდი და ნამდვილი სიცოცხლეა. გააღებ კარს?

სიცოცხლის გაგებისათვის
თეთრ და შავწინწკლებიანი ადამიანები

ადამიანი რომ იბადება, მას თან მოჰყვება თავისი ნათელი და ბნელი მხარეები. არ არის ნათელი ბნელის გარეშე და არ არის ბნელი ნათლის გარეშე... ისევე, როგორც სამყაროში... დღეს ცვლის ღამე და პირიქით. დავაკვირდეთ ერთ ასეთ ციალებას: დღისით ანათებს მზე. ღამით რომ არ ყოფილიყო სრული, კუნაპეტი სიბნელე, სამყაროს შემოქმედმა თავისთავადი ნათების უუნარო პლანეტა — მთვარე მზის დახმარებით აანთო და ადამიანებს ღამითაც მისცა სინათლე... მხოლოდ სამი ღამის განმავლობაში გვეკარგება მთვარე, როგორც ღამის მანათობელი და სუფევს სიბნელე... თუმცა, შორი ციდან ვარსკვლავები ხელს მუდამ გვაშველებენ, რომ სიბნელეს გავუმკლავდეთ.

ადამიანურ სამყაროშიც ასეა:

ადამიანი, ჯერ კიდევ ბავშვი, შემდეგ მოზრდილი, ზრდასრული და ბოლოს — მოხუცებული, გრძნობს, რომ მასში უხვადაა თავმოყრილი ბნელი წერტილები, თუმცა ნათელი წერტილებიც უბწყინავს. ბნელს შეიძლება ვუწოდოთ ბოროტების ჩანართები, ნათელს — სიკეთისა.

ჩვენ, რაც უფრო დიადი და აღმატებული მიზნები გვამოძრავებს, მით მეტად იწყებენ ზეამოტივტივებას ბნელი წერტილები და აქ იწყება ადამიანის ულმობელი გამოცდაც. იმისდა მიხედვით, ცხოვრების გზაზე ვინ შეგხვდება, რა გარემოებები შეგექმნება, შეიძლება გააქტიურდეს მაცდური ძალა, რათა... ვეღარ შევძლოთ მიზნისკენ სწორი და სწრაფი სვლა და ჩვენი სუფთა, გრანდიოზული ენერგია, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, შევწიროთ ბნელის მსახურებას, ანუ შევამღვრიოთ ჩვენი წმინდა სახე. ადამიანის სულის ისტორია, ძირითადად, ამ ბრძოლის ისტორიაა — როგორ ვუმკლავდებით, როგორ ვცნობთ ჩვენში შემოსულ ბოროტების კატალიზატორებს.

ადამიანმა ძალიან კარგად იცის, რა არის ცუდი და მავნებელი, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის მასთან შებრძოლებისა. ვერ წარმოუდგენია, რომ ბოროტებასაც, სიკეთესავით, თავისი შესაბამისი ექოები აქვს... ამიტომ ჰგონია, რომ რაღაც „პატარა ცუდს“, მისთვის დიდი ზიანის მიყენება არ შეუძლია... თანაც, უშვებს, რომ, რაკი ადამიანია, უნდა შესცოდოს, იტანჯოს, იტიროს და ასე შემდეგ. და მერე მოინანიოს, ისწავლოს ჭკუა...

სწორედ აქ ცდება ადამიანი. ხომ გავიხსენეთ, რომ შემოქმედმა ბნელის გასანათებლად მზეს მოუხმო, მისი სინათლე არეკლა და მოგვაწოდა, რომ უკუნეთში არ გადავჩეხილიყავით და, თანაც, ჩვენი ზეციური ცა დიდებული ვარსკვლავსამკაულებით მორთო.

ჩვენ, რაც უფრო დიადი მიზანი გვაქვს, ღმერთმა რაც უფრო დიდი ნიჭი დაგვანათლა და ღვთაებრივი მისიით მოგვავლინა ამ ქვეყანაზე, როგორც სიყვარულის და მშვიდობის ელჩები, მით მეტად ვართ ვალდებულნი, რომ ფხიზლად ვიყოთ, ჩვენში შენიშნულ შავ წერტილებს და მის გამააქტიურებელ ძალებს დიდი სინათლის წყარო დავუპირისპიროთ, ბნელი გავანათოთ, რომ ბოროტების ხელჩართულობა, მოძრაობა კარგად აღვიქვათ, დავინახოთ და მას, მოსარგებლეს იმით, რომ ყველა ადამიანში არის შავბნელი წერტილები, შევუზღუდოთ ქმედითუნარიანობა, რამეთუ სიბნელე სინათლეში ვეღარ ასრულებს თავის მისიას, იგი გაურბის სინათლეს და იკარგება, უსუსურდება, თავის გზაზე მიდის...

ბოროტებაა, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა წინაშე ჩადენილი დანაშაული. რამდენადაც აზიანებ სხვას, გამრავლებული სახით, ექოებშემოკრებილი, გიბრუნდება შენვე და გამოუსწორებელ კვალს ამჩნევს შენს სულიერ „მეს“, რომელიც შენს მისიას განსაზღვრავს — აკოჭლებ, აყრუებ, აბრმავებ, ფიტავ და ასე შემდეგ. უკიდურეს შემთხვევაში, შენვე კლავ მას, ანუ შენ განაგებ შენი გზის გაკაფვას სწორი თუ უსწორო მიმართულებით.

არა მარტო შური, კვლა, ღალატი, ამპარტავნება, ბილწსიტყვაობა და ასე შემდეგ ითვლება დანაშაულად, არამედ — გაუთავებელი ბუზღუნი, მოწყენილობა, აგრესიულობა, მარად უკმაყოფილება აწმყოთი — ვერ ხედავ და იმიტომ ვერ აფასებ იმ წყალობას, რაც მოგნიჭებია და გინდა, მაინც და მაინც, ის, რაც არ გაქვს. წინსვლისთვის, რა თქმა უნდა, უკეთესის მოპოვების სურვილი უნდა გამოძრავებდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ადამიანის ავად მყოფობის გაუთავებელ მიზეზს, რომელიც არა სასიკეთოდ, არამედ საზიანოდ მიმართული ეგრეთ წოდებულ „უკეთეს სურვილებზე“ აგებული მიუწვდომელი ყინულის კოშკია, თვალს და გონებას რომ უბნელებს, ფეხქვეშ მყარ ნიადაგს აცლის ადამიანს და მიუწვდომელში ამაოდ მიაწიალებს; სინამდვილეში — დროს აფლანგვინებს და მარადუკმაყოფილო, გაბოროტებულ მდგომარეობაში ამყოფებს. — ის, რაც მე მინდა, რატომ აქვს სხვას? რა, მე ღირსი არა ვარ? და ასე შემდეგ — ეს არის აგრესია საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ ხშირად, ასეთი პერსონა ავრცელებს აგრესიას გარშემომყოფებზე — რომ ისინიც, ყველანი ერთად, არ არიან ისეთები, როგორებიც უნდა იყვნენ — ედავება, ეჩხუბება, საყვედურობს ყოველ ფეხის ნაბიჯზე და, როგორც საკუთარ თავს, მათაც მოწყენილობაში, ნერვულ-აგზნებულ მდგომარეობაში აგდებს და სამყაროს, ამდენად, შავ, მუქ ფერებში უღებავს. ასე — ადამიანებს ეკარგებათ გზა. ცხადია, მილასლასებენ, ან, გიჟებივით, გადარეულები ასკდებიან ყველას და ყველაფერს.

ეს ბატონი შავი წერტილების ზეიმში ყოფნაა.

თუ ასე ხარ, ნუ იტყვი, რომ შენ ღმერთი გწამს და ქრისტიანი ხარ. ღმერთმა შენ სრულად შეგამკო, მოგცა ყველაფერი — მთელი სიცოცხლე — სხეული, სული, შენი კუთვნილი, დამსახურებული გარემო და შესაძლებლობები, შენ, უბრალოდ, ვერ ამჩნევ მას, არარად თვლი, ანუ უარყოფ.

თუ გსურს მეტი გქონდეს, ვიდრე გაქვს, მაშინ ეცადე, მოიპოვო, დაიმსახურო იგი: ჯერ მადლობა თქვი იმაზე, რაც გაქვს და მადლიერებით აღვსილმა გააგრძელე წინ გზა. უმადურობით, რისხვით გაბერილი, გახსოვდეს, უკანმავლობის გზას ირჩევ, ბოროტების შავი მსახური ხდები, იმრავლებ ავ-შავ წერტილებს.

ცხადია, სანამ ადამიანი ხარ, შენში ბნელი წერტილები არ მოისპობა, მაგრამ ისინი — ყველა წერტილი, ღვთაებრივი მზით შენვე უნდა გაანათო! შენვე უნდა შეძლო მათი გამზევევება! სხვა აქ ვერ დაგეხმარება, თუ შენი პირადი სურვილი არ იქნა წარმმართველი.

...და ის 3 დღე, როცა ცაზე შეიძლება სიბნელე იყოს და მთვარე არ ჩანდეს — ანუ შენც, როგორც ადამიანმა, თუ ვეღარ შეძელი მანათობლის მოპოვება, შენმა დიდმა რწმენამ — რომ კვლავ შეძლებ და აუცილებლად შეძლებ მზის და ნათლის მსახურებას, უნდა გადაგარჩინოს, უნდა გადაგატანინოს გასაჭირი დაცემის გარეშე... დიდი სიფრთხილით შეძლო თავის გადარჩენა, ძლევა... სულ ერთია, ამას 3 დღე დასჭირდება, 3 საათი, თუ 3 წუთი — გახსოვდეს, ვალდებული ხარ, რომ შენი სული უვნებლად გაიყვანო სიბნელიდან. ეს შენი გამოცდის ჟამია!

თავისთავად, ის ფაქტი, რომ ჭკვიანი ხარ, ნიჭიერი, მიზანსწრაფული, ბევრს არას ნიშნავს. მთავარია, შენში, ისევე როგორც ყველაში, უდავოდ არსებული შავი წერტილები, რამდენად არიან აყვავებულ-გამრავლებულნი. მათ შეიძლება გადაფარონ შენი თეთრი წერტილები და შენი ძალა მთლიანად, ან უმეტესწილად, ჩადგეს ბოროტების — ნგრევის, სიკვდილის სამსახურში...

არჩევანი შენზეა, ადამიანო!

ხელს ვინ შეგიშლის? უპირველესად შენივე თავი თუ არა?

ღმერთი გიტოვებს არჩევანის უფლებას და გაძლევს ყოვლისშემძლეობის უნარს — თუ მოინდომებ, არც სიკვდილია ძნელი და არც სიცოცხლე...

→

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ გაბროშვილი

სიყვარულის ლაბირინთი

სიკვდილის ფორმები

სიკვდილსაც თავისი ფორმები აქვს:

1) მსუბუქი: სულიერებასთან დაკავშირებული მანკიერებები და ცდუნებები; მათ შორის: მოწყენილობა, შავი ფიქრები, შიში, ნევროზი, აკვიატებული ჩვევები, ეჭვიანობა და სხვა.

სიკვდილის მსუბუქი ფორმაა, როცა დამანგრეველი სიტყვები ჯერ კიდევ ჰაერში არიან განფენილები და ადამიანის სხეულს არ, ან ვერ ეხებიან.

2) საშუალო: ფიზიკური სხეულის რღვევა-განადგურებისკენ მიმართული გზები; მათ შორის, ავადმყოფობა: ტკივილები, ორგანოთა დაზიანებები და მათი ნაწილობრივ, ან სრულად, მოქმედებიდან გამოსვლა.

სიკვდილის საშუალო ფორმაა, როცა ბასრი სიტყვები ჩამოდიან ადამიანის ორგანიზმში და მას თანდათან ანადგურებენ.

3) რთული: გარდაცვალება შენი, ან შენ გამო სხვისი. სხვა თუ მოკალი, ესეც შენი სიკვდილია!

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ადამიანი ყოველდღე შეიძლება ეხებოდეს სიკვდილს, ანუ ემეგობრებოდეს მას და, ამდენად, ბოლო ფორმაში გადასვლა იყოს ბუნებრივი და მოსალოდნელი.

* * *

ნუგეშად გვეყოს, რომ ადამიანი არ რჩება მხოლოდ მიწაში. მისი ეგრეთ წოდებული სამარე სამ არეს აერთიანებს. აქედან ერთი მიწაში რჩება, რომელიც ძვლებს ითვლის, მეორე — ადამიანთა ხსოვნასა და შემოქმედებით ნაწარმოებებში, ნაღვაწში და მესამე — უმთავრესი — უკვდავ სულად განიფინება და მაღლდება ცათა შინ.

მანამდე კი, სანამ ეგრეთ წოდებული ცოცხლები გვერქვა, ორ არეს ვფლობდით, რამეთუ გვქონდა ორგანიზმი, მიწისა და ცისა. და ჩვენი ცხოვრება, ამქვეყნიური წვა და დაგვა, ჰგავდა ჩვენს გადადნობას, გადარჩევას — რა გაგვემეტებინა სამიწედ, რა გადაგვერჩინა, რა დაგვეტოვებინა დედამიწაზე, სხვა ცოცხლებისათვის და რა წაგვეღო უფალთან, როგორც ჩვენი მიწიერი ცხოვრების ადამიანური მონაპოვარი!

ეს ნუგეშია და გზა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — სიყვარულის გზა სიკვდილზე გადის!

სიყვარული ღმერთისკენ სავალი გზაა, რომელიც გარდაცვალებასაც გულისხმობს!

აორთქლება — გარდაცვალება

მთელი ჩვენი ცხოვრება გარდაცვალებისთვის სამზადისია — ზოგნი უცებ, ზოგნი — თანდათან ვკვდებით და თან ის მიგვაქვს, რაც ამ სამყაროდან შევისრუტეთ ჩვენი სრული სხეულით და ნაკვთებით, გრძნობის ორგანოებით. თუმცა, ეს ყველაფერიც — შენაწოვარი, გადაგვაქვს სხვა განზომილებაში ისევე, როგორც გუბიდან წყალი მზეს ააქვს ცაში და კონავს ღრუბლად, თუ ღრუბლების ცვალებადობად! მიწიდან ცაში მოაქცევს წყლის წვეთს... და ჩვენც...

ადამიანი რომ იბადება, თანდათან ივსება, დიდდება, ხდება სისხლსავსე და სრულად გაფურჩქნილი: მერე, თანდათან, იწყებს გალევას — აორთქლებას. მასში არსებული ფიზიკური წყალი ნელ-ნელა სულიერ წყაროდ იქცევა და მაღლა-მაღლა ადის. ადამიანი ნელ-ნელა იფიტება, წყალი აღარ ყოფნის.

ძირს დადის ადამიანი, მოხუცებული, გამოჩიავებულ-გამომხმარი და მაღლა, მის თავზე მისივე ორეული — მისგანვე აორთქლებული ადამიანი დანანავებს, ეთერში დაცურავს და წვეთ-წვეთ კიდევ ივსება მიწიერი ადამიანისაგან აორთქლებული სიცოცხლის წვეთებისაგან.

თავად ადამიანი ამ დროს ვერაფერს იგებს — ვერც იმას, რომ თანდათან წონასწორობა ეკარგება, დაფარფატებს და... გასაფრენად ემზადება — იმ — მომზადებულ ზე-სხეულთან ერთად ყოფნის გასაგრძელებლად!

ღვთის სუფრა

წუხელ ძილის წინ ვბუტბუტებდი ჩემს ლექსს:
მიჰბაძე და გაიხარე,
აბა, ნახე, აბა, ერთი —
როგორ გიშლის
სუფრას ღმერთი...

კარი შემოვაღე, რომ ძილის წინ ოთახში სუფთა ჰაერი შემომეშვა და რას ვხედავ — ღმერთს გარეთ მართლა გაუშლია სუფრა — თეთრი, ქათქათა, ბრწყინვალე...

შეღამების მერე მოუთოვია, გადაუთეთრებია არემარე. თოვს და ამ სუფრაზე თოვლის ფანტელების კორიანტელი ცამდეა აწვდილი... სუფრის სიმაღლე ცას სწვდება. ამ გადაბარდნილ სუფრას თამადად ყანწგამოწვდილი მთვარე ადგას. გამთენიამდე ითამადებს. მერე ჩვენც გავმჟღავნდებით და სხვარიგად გაშლილ ღვთის სუფრას დავლოცავთ; უბრად ჩავუვლით, ან ყაყან-ყაყანით, გააჩნია, ვინ რას დაინახავს ამ სუფრაზე, ან თუ დაინახავს ღვთის მიერ საგულდაგულოდ გაშლილ სუფრას — დღეს დღევანდელს — ჩვენთვის კურთხეულს...

რას დაინახავ, რას აიღებ, რას გემოს გაუსინჯავ, რას გადააგდებ, თუ საერთოდ ვერ დაინახავ, ან გვერდს ჩაუვლი, შენი ნებაა, სუფრა კი გაშლილია და...

ლანა მანველი

ღვთისმშობლის აღმართი

დასასრული

რევაზისგან არაფერი ისმოდა. არც მკვდრებში აღმოჩნდა და არც ტყვედ ჩავარდნილებში. კომისრის ცოლმა სარას საიდუმლოდ გაანდო — მგონი, ქაქუცასთან ერთად ტრაპზონში გადავიდაო...

ოქტომბრის სუსხიან საღამოს ასტკივდა მუცელი. ეზოში სარეცხი გაფინა და ის იყო სამზარეულოში შებრუნდა, მძლავრმა ტკივილმა დაუარა. სპილენძის ვარცლი რახრახით დავარდა აგურის იატაკზე. ოფლმა დაუცვარა შუბლი და სუნთქვა შეეკრა. უკვე საწოლს მიჯაჭვულმა ელენემ იგრძნო შვილიშვილის გასაჭირი. ყვირილი მორთო იმ იმედით, იქნებ მეზობლებს გაეგოთ და მიხმარებოდნენ. ტკივილსა და ტკივილს შორის არსებულ შუალედში სარამ ეზოში გასვლა მოასწრო...

ბებიაქალი და გრიგოლი თითქმის ერთდროულად შევიდნენ სახლში. შემტევი ტკივილებისგან სარას გონება ებინდებოდა, ყურებში კი აკვიატებულად ჩაესმოდა რევაზის ნამღერი „გაფრინდი, შავო მერცხალო“. გამთენიისას იმშობიარა და გრძნობაც დაკარგა...

თვალი რომ გაახილა, ჩვილი მოძებნა, მაგრამ ლოგინში მარტო აღმოჩნდა. საწოლიდან ძლივს წამოდგა და ბებიასთან გავიდა. მოხუცი უღონოდ მისვენებოდა მუთაქებს.

— ბებო!

ელენემ ტირილი დაიწყო. სარა მივარდა და ხელებზე მოეჭიდა.

— მითხარი, ბებო! სიმართლე მითხარი! ბავშვს რა მოუვიდა?

— რა აყალმაყალი ატეხეთ დილაუთენია! ხალხის მტრის შვილს ჩემს ჭერქვეშ ხომ არ გავზრდიდი!.. — ნახევრადჩაცმული შევარდა გრიგოლი. სარას ნერვიულობისგან პირი გაუშრა. იგრძნო, თვალთ უბნელდებოდა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გრიგოლს მივარდა:

— მითხარი! სად არის ჩემი შვილი? რევაზის შვილი!

რევაზის ხსენებაზე გრიგოლმა მთელი ძალით მიანარცხა კედელზე. ელენე გოდებას მოჰყვა. სარას ტკივილი არც უგრძვნია. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა...

ყურს ისევ „გაფრინდი, შავო მერცხალო“ მისწვდა. რევაზი მღეროდა, ლაღად, ამაყად, იმედიანად...

დიდხანს იწვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. გამოჯანმრთელების შემდეგ თელავში აღარ დაბრუნებულა — ჯერ ბათუმში, იქიდან კი თურქეთში გადავიდა. რევაზის კვალს ეძებდა. ასე დაადგა გზას საფრანგეთისკენ.

შუაღამემდე გემბანზე იდგა და ცრემლგამშრალი გასცქეროდა გაღმა ნაპირს. ღუზები ხრიალით ამოყარეს წყლიდან და მანქანებიც ამუშავდა. გემი შეტოკდა, ნელ-ნელა მოწყდა ადგილს და წყვდიადს შეერია...

* * *

პარიზში ჩასული ერისთავებმა შეიკედლეს. რევაზი საფრანგეთში არ აღმოჩნდა. ბოლშევიკებს თელავშივე დაეხვრიტათ, გიგოს გორაზე. სარა ისევ ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში მოხვდა. წლები მკურნალობდა. იქიდან გამოსული ლევილში დასახლდა და იქაური ემიგრანტებისთვის სამოსის კერვა დაიწყო. თავს ყოველთვის რევაზის ცოლად თვლიდა და მოგონებებით ცხოვრობდა...

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ უცნაურად აუფორიაქა სული. 87 წლის იყო, თურქეთისკენ მომავალ დელეგაციას რომ დაემგზავრა. მიუხედავად ასაკისა, მხნედ და ჯანმრთელად იყო. უარი არ უთხრეს. თავისი ოთახი ლევილის მამულის დიასახლისს ჩააბარა.

დელეგაციას ტრაპიზონში ჩამოსცილდა და საქართველოსკენ გამოეშურა.

* * *

...როგორც იქნა, მათმა ავტობუსმა სარფის საზღვარი გადაკვეთა. გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი. თბილისამდე მოძველებული ტრანსპორტით იმგზავრა. ისნის მეტროს სიახლოვეს ჩამოსვეს. თელავისკენ მიმავალი ტაქსებიც იქვე იდგნენ. ღამდებოდა. მძღოლმა, ოთხი მგზავრი მჭირდება, თუ შევივსეთ, წავალთ, არა და ხვალეო. გადაღლილი სარა მანქანის გამოციებულ სალონში ჩაჯდა და ჯიუტად დაიწყო ლოდინი. ბედად გვარდიელები გამოჩნდნენ და მანქანაც კახეთისკენ დაიძრა. მთელი გზა ხარბად ისმენდა მათ ნალაპარაკევს. გული ეტკინა. ქვეყანა ისეთივე არეული დახვდა, როგორიც დატოვა. ძველი მტერი, სამაჩაბლოს შემდეგ, ამჯერად აფხაზეთს აჭრიდა საქართველოს. შორიდანაც იცოდა რაღაც ამბები, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ელოდა. კარგად დაბინდებულიყო, ტაქსი ბაზართან რომ გაჩერდა. არც ერთი ლამპიონი არ ანათებდა. ზოგიერთი სახლიდან გამომავალი სინათლე აშუქებდა ქუჩას მკრთალად. გენერატორების გრუხუნი იკლებდა იქაურობას. პატარა სამგზავრო ჩანთა ჰქონდა თან. ინტუიციით აუყვა ხევის ნაპირს და სანაპიროსთან მარჯვნივ გაუხვია. ღვთისმშობლის ეკლესიასთან ტანკი იდგა. შეკრთა. გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და შედგა — დეიდაშვილების ორსართულიანი, აივნიანი სახლი აღარსად ჩანდა. დაენგრიათ, მის ადგილზე კი მაღაზიის მსგავსი შენობა აეშენებინათ. აღმართს შეუყვა. დაიღალა და გზის გასაყართან შეისვენა. ზუსტად ისეთი ავბედითი გარემო იყო, როგორც ბოლშევიკების შემოსვლისას. წამოდგა, გზა განაგრძო. მათ ქუჩაზე ქვაფენილი აყრილიყო და სავალი გზა ქვა-ღორღით გადახერგილიყო. ნინოშვილის ქუჩის ასახვევს გახედა, ეს გზა სასაფლაოსთან მიდიოდა. გული აუჩქარდა. აგერ მართა ბებოს ნასახლარი, როგორ უყვარდა მის თონეში გამომცხვარი შოთები. ნაცნობი ქვის გალავანიც გამოჩნდა. კიდევ უფრო დადაბლებულიყო. ჭიშკარი შეეცვალათ. აღარც კიპარისი ჩანდა, მოეჭრათ. გალავანს შემოუარა და ჩიხში შევიდა. თავბრუ ეხვეოდა და ემოციებისგან გული მისდიოდა. ფანჯრებთან შეჩერდა. სახლიდან ქალის მოგუდული ტირილი ისმოდა. სუნთქვა შეიკრა და მიაყურადა. კაცის ნერვიული ლაპარაკი უეცარმა ყვირილმა შეცვალა:

— იცოდე! ცხვირ-პირს დაგინგრევ, კიდევ თუ გახვალ მაგათთან!..

კარის ჯახუნს ქალის ისტერიული კივილი მოჰყვა. სარას სისხლი გაეყინა. ახალგაზრდა კაცს ხმა გრიგოლისას მიუგავდა...

გაშლილი ხელები ჩამოაყოლა რიყის ქვით ნაშენებ სახლის კედელს, მერე გალავანს. მთელი ტკივილი ხელისგულებზე გადაჰქონდა. პირი მაგრად მოკუმა, კვნესა რომ არ ამოხდენოდა.

ის ღამე ღვთისმშობლის ეკლესიის უკან გაათია. გათენებამდე სროლა და ძაღლების ყეფა ისმოდა. არ შეშინებია, მის გულს უფრო ძლიერი ტკივილი დაპატრონებოდა...

* * *

...სარამ გამომშრალ პირში ხურმის გემო იგრძნო. იმ ხურმის, პაპამისს რომ მოჰქონდა მისთვის ბავშვობაში. სუმბულების სურნელით გაივსო ოთახი, ღრმად შეისუნთქა. ყურებში პაპის ხმა მოესმა: „ელენე, ეს პატარა ქალბატონი ვინ არის? პაპას სიცოცხლე და პირის ჩასაკოკლოზინებელი ხომ არაა, ერთი გემო გავუსინჯო...“

სიბნელეში ბებიის ლანდი გამოჩნდა, გაჭაღარავებული თმა შუბლზე შუაზე გაეყო და წნულად შემოეხვია კისერთან — „მოიცა, ქა, ბალღი არ შამიჭამო, სადაცაა ვახშამი მზად იქნება, ბებო შემოევლოს, გოგლიმოგლსაც ვუკეთებ...“

უეცრად საშინელმა ტკივილმა მარწუხივით მოუჭირა. ზედ გულთან აგლეჯდნენ ჩვილს!

რკინის საწოლი ძლიერად შეირყა. სარას ფართოდ გაეღო ჩასისხლიანებული თვალები და უცნაურ ხმებს გამოსცემდა, ხაოდა...

ერთბაშად გაჩუმდა... მკერდში სითბო ჩაეღვარა... ბავშვი, უსახელო ჩვილი, მის ძუძუს წოვდა... კმაყოფილი ჭყლოპინებდა და დედას ხელებს უთათუნებდა...

ლოგინში წამოჯდა. უნდოდა, მოხვეოდა. მკლავები შეაერთა, კიდევ ერთხელ უნდოდა, შეეგრძნო ჩვილის დაუვიწყარი სუნი, თავი დახარა, მაგრამ... სასოწართმეული მკლავები ჩამოეკეცა საბანზე.

საცოდავად შეჰკივლა! ცრემლები უწყვეტად მოედინებოდა ტკივილით გადაწითლებული თვალებიდან.

უცბად ხელზე შეხება იგრძნო. შეკრთა — ხუთიოდე წლის დატალღულთმიანი გოგონა ღიმილით ეტიკტიკებოდა:

— დედა... დედიკო... წამოდი ჩემთან...

ყურებში რევაზის ნამღერი „გაფრინდი, შავო მერცხალო“ უგუგუნებდა.

ბავშვი ჩერდებოდა... მირბოდა... სარა ბედნიერებით შემსუბუქებული მისდევდა უკან... ღვთისმშობლის აღმართი აირბინა, მარცხნივ შეუხვია... ელენე ბებოს სახლი ძველებურად გამოიყურებოდა, კიპარისიც ისევ იდგა... ჭიშკარიც არ შეეცვალათ, ღია დაეტოვებინათ... ეზოში შევიდა და... კიპარისის ძირში დედა-შვილობის აქამდე განუცდელი სიყვარულით ჩაეკონა თავის გოგონას...

აგონიაში მყოფი სარა ბედნიერი ტოვებდა წუთისოფელს...

ქარდა ქარდუხი

ჰერმესის დახლიდარები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასასრული

დოჟის განმარტებით ეს ქანდაკება იმიტომ დაიდგა, რომ გულანშაროში ხშირად იყრიდნენ თავს მოგზაურები, მგზავრები, ელჩები, კომერსანტები და ამიტომაც აუცილებელი იყო მოგზაურთა და შიკრიკთა მფარველის ქანდაკების წამომართვა, რომელიც ქალაქს თავისებურ ორიგინალურ იერს მიანიჭებდა. ტკბილ-ქართული მოტივები არ მცილდებოდა გულანშაროდან: მერე, დიდი ხნის შემდეგ, როცა დოჟი განდაქარდა, ახალი ბიჭბუჭები დაეპატრონენ ქალაქს და არალეგალური გულანშაროელები კვლავ არალეგალურ გულანშაროელებად დარჩნენ, ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა, გულანშაროს სიმბოლოდ მედეას ძეგლი დაედგათ, აქაოდა ბერძენთაგან ლტოლვილმა მედეამ ცოტა ხნით აქ შეაფარა თავიო, მაშინ კი, მეგობრები მეხუმრებოდნენ — „შენი ხათრით დადგა მოგზაურთა ღმერთის ქანდაკება დოჟმა“, თუმცა არავინ აღნიშნავდა, რომ ჰერმესი ოდესღაც პოეზიისა და ხელოვნების მფარველიც იყო. ნეტა თვითონ დოჟმა თუ იცოდა? თუ იცოდა და სწორედ იმიტომ დაადგმევინა ეს ქანდაკება? ძნელი იყო ამაზე პასუხი. კაცმა რომ თქვას, ვის უნდა სცოდნოდა რა უტრიალებდა თავში პოლისისთავს? ერთი კია, მეგობრები არ ვიცი ჩემს დასამშვიდებლად თუ მართლა, ქანდაკებას იწონებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ხელოვნება ალბათ განვითარებული უნდა იყოსო. თანაც, ეს თავიდან გამოაქანდაკა ცნობილმა მოქანდაკემ ჰერმესის ძეგლი, ხელოვნების ნიმუში, თორემ მერე და მერე, ასობით სხვა უფერული ქანდაკებებიც გამოიკვეთა, ჩამოისხა თუ გამოიძერწა, ზოგიც ჩამოსული და ზოგიც ადგილობრივი ოსტატების მიერ, მეტწილად უნიჭოდ და უხარისხოდ შესრულებული. ამ ორფიკოსების კუნძულზე საეჭვო იყო მოუთმენდნენ თუ არა დოჟს ორფიზმის შეურაცხყოფას: დიონისესა და ევრიდიკეს მისტერიულად შერწყმული ორფეოსის კანონიკური ბომონების ნაცვლად, ასე ყველა გორაკზე ჰერმესისა თუ მერკურის ქანდაკებების წამოჭიმვა არ იყო ხუმრობა საქმე; ჰერმესისადმი მიძღვნილი, მოდერნისტულად გარდაქმნილი ჰიმნიც კანონიკურ საგალობლად გამოცხადდა გულანშაროს ტაძრებში, რაღაცნაირად დანარჩენი კუნძულიდან თითქოს გალობითაც სურდა განეკიდეგანებინა ნახევარკუნძული დოჟს, გულანშაროელების ერთ-ერთ უსაყვარლეს გალობად უნდოდა ექცია, მაგრამ ყველა ატყობდა უკვე, რომ ორფიზმის მთავარ არსს, ყოვლისმპყრობელი ღმერთის იდეას, შეურაცხყოფდა — არ იყო ჰერმესი გულანშაროელებისათვისაც ის ღვთაებრივი სახე, რომელსაც უზენაესად მიიჩნევდნენ.

გრაფინია

ორი კვირის შემდეგ მივაკითხე ბატონ მაჟრას. კაბინეტიდან გამოდიოდა და ჩემს დანახვაზე გაბადრული სახით მომესალმა, საჩქაროდ ჩამომართვა ხელი და დაიძახა:

— გრაფინია აგათოტეროსი! — ცოტა ხანს მიაყურადა, მერე ისევ, — გრაფინია აგათოტეროსი!

ოთახში მაჟრას მდივანი გამოჩნდა.

— ბატონო მაჟრა, გრაფინია ეს-ეს არის მოვიდა და თავის კაბინეტშია! — მოახსენა და მე გამომხედა.

— ძალიან კარგი, აი, ბატონი ოდი მიაცილეთ მასთან! — მერე მარცხენა ხელის საჩვენებელი და არათითით თავი მოიფხანა და თქვა, — ანდა იყავი შენ, მე თვითონ წარვუდგენ! ბატონო ოდი, წამობრძანდით!

პირველ სართულზე ჩავედით და კიბის ხელმარჯვნივ ლურჯადშეღებილ კართან შევჩერდით. მაჟრამ დააკაკუნა.

„მობრძანდით!“ — მოისმა შიგნიდან.

შევაბიჯეთ ღია ცისფრად შეღებილ საკმაოდ დიდ ოთახში.

— გამარჯობა, გრაფინია! — ხელი ჩამოართვა მაჟრამ ორმოცდაათიოდე წლის სანდომიანი სახის ქალბატონს.

— გამარჯობა, ბატონო მაჟრა! — გაიღიმა ქალმა და ლოყები შეეფაკლა, ეტყობა არ მოელოდა მაგისტრის ვიზიტს.

— გაიცანით გრაფინია, ეს გახლავთ ოდი ხვამლიანი, რომლის ნაწარმოებსაც თქვენ ახლა კითხულობთ.

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან! — აშკარა სიხარული გამოეხატა გრაფინიას სახეზე და ხელი გამომიწოდა. მე, მართალია, არ ვიყავი ჩვეული არისტოკრატებთან ურთიერთობას, მაგრამ იმდენი მაინც მოვახერხე, რომ გრაფინიასთვის ხელზე მეამბორა.

— თქვენ ისაუბრეთ, მე კი დაგტოვებთ.

— გმადლობთ, ბატონო მაჟრა! — მივადევნე დერეფანში გაუჩინარებულს.

— ოდი, დაჯექი, ყავა დავლიოთ, — მომმართა გრაფინიამ.

— არა, არა გმადლობთ, ნუ შეწუხდებით, — შორს დავიჭირე მე.

წყეული რუსეთი და სოციალიზმი, მთელი ქართული არისტოკრატია რომ არ გადაესახლებინათ, ხომ არ იქნებოდა ჩემთვის ძნელი მაღალ საზოგადოებაში ყოფნა, გავივლე გულში.

— რატომ? არ გიყვართ ყავა? — გაუკვირდა გრაფინიას.

— არა, ყავა კი მიყვარს...

— ძალიან კარგი! — მითხრა და მაგიდის უჯრიდან პატარა სამფეხა ამოაძვრინა, შემდეგ მშრალი სპირტის ორი ნატეხი, საყავე — ძველებური, წელში გამოყვანილი, ქართული დოქის მაგვარი; საშაქრე — მოცისფრო ფაიფურის ჭურჭელი და ყავა — ასევე ცისფერი ფაიფურის ჭურჭლით, რომელსაც ერთი ხელი ჩამომტვრეული ჰქონდა.

— გრაფინია, თქვენ აქ მთელი არსენალი გქონიათ, — თავი ვერ შევიკავე. გრაფინიამ გულწრფელად გაიცინა, რაღაცნაირი ბავშვური სიცილით.

— ეჰ, რას იზამ, შვილო! — მომმართა რაღაცნაირი სევდით, — ოდი, აბა, მომიყევი, აქ მარტო ჩამოხვედი?

— მარტო, გრაფინია!

— ოჯახის წევრები? — ალალი თვალებით მიმზერდა გრაფინია.

— ოჯახს, ასე ვთქვათ, გულანშაროში, მე წარმოვადგენ, — ვუთხარი და ისეთი ინტერესით მიმზერდა, არაგულწრფელობა არაფრით ივარგებდა, — დედა ომშივე, უფრო სწორედ, ომიდან მომავალი გარდამეცვალა უღელტეხილზე, ფილტვების სიმსივნით. მამა ცოცხალია, მაგრამ, ასე ვთქვათ, არ ვიცნობ. სამი წლის ვიყავი, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, — გრაფინიას ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან, რამაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო. ვიფიქრე, დაჭირე რა კბილები ენას, სწორედ ამ დროს ყავა გადმოვიდა და შიშინით ჩააქრო სპირტის მოიისფრო ალი. „ვაი!“ წამოიძახა და გაიცინა, თანაც, მოხერხებულად მოიწმინდა ცრემლი. მეც გავიცინე.

— იბრძოდი, ოდი? — ყავა ჩაასხა ფინჯანში და გამომიწოდა.

— არ ვიცი, გრაფინია, — შევხედე, — არც დავჭრილვარ, არც კაცი მომიკლავს და არც ტყვედ ჩავვარდნილვარ.

— ეს აუცილებელია? — გაიცინა მან.

— ჰოდა, ამიტომ ვამბობ, არ ვიცი-მეთქი, — თავს ვიკავებდი ასეთი საუბრებისაგან ყოველთვის, მაგრამ გრაფინიამ როგორღაც ჩამითრია, — მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ომში ვიღებდი მონაწილეობას; ასე მგონია, როცა ბრძოლა ვისწავლე და უკვე განვეწყვე ნამდვილი ომისთვის, სწორედ მაშინ დამთავრდა, დამთავრდა თუ დაამთავრეს.

— მე მჯერა, რომ თქვენი პრეზიდენტი აუცილებლად მოაგვარებს მაგ საკითხს, — არ ვიცი ჩემს დასამშვიდებლად თქვა გრაფინიამ მაშინ, თუ მართლა სჯეროდა. ვერც მერე გავარკვიე ეს, ათეულობით წლების შემდეგაც, შეიძლება კუნძულის მიხრწნილ პრეზიდენტთან შედარებით ჩვენი მეთაური უფრო მხნედ ეჩვენებოდა. მაშინ ჩემს რომანზე არ გვისაუბრია. მთხოვა, ცოტა მეცლია და ორიოდე კვირის შემდეგ ვწვეოდი...



სალომე კაპანაძე

უხილავი ბედნიერების მატიანე

ევროპა ირწმუნება, რომ მსოფლიო კულტურა „ალტერმოდერნის“ ხანაშია და „პოსტმოდერნიზმი გარდაიცვალა“. ამ სლოგანით მიმდინარეობდა გამოფენა 2009 წელს ლონდონის გალერეა „TATE“-ში. ასეთი ინტელექტუალური ჭიდილის ეპოქაში ქართულ მწერლობას ევროპეიზმთან ზიარების პარალელურად თავისი ნაციონალური ვალდებულებები აქვს. მარიამ წიკლაური ჩვენს უახლეს ქართულ სამწერლობო სივრცეში ამ პასუხისმგებლობით გამორჩეული შემოქმედია. მისი ლიტერატურული გარჯა დაახლოებით ისეთ განცდას გიჩენს, უძველესი წარწერის აღმოჩენას რომ ახლავს, წარწერის, რომელიც შენი ქვეყნის სულიერების ისტორიის კიდევ ერთ მტკიცებულებად უნდა იქცეს, რომელმაც იმ წარსულთან კავშირი უნდა შეგინახოს, მომავლისკენ სავალ გზაზე რომ გჭირდება და შენი ნაციონალური ღირსების ნამდვილი დვრიტა გაპოვნინოს.

იქნებ „ალტერმოდერნისათვის“ ჩვენს ერთ-ერთ მთავარ გზავნილად ესეც იქცეს მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია მაინც მსხვერპლს მოითხოვს თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, მარიამ წიკლაური ნამდვილად ის მოვლენაა, რომელიც ჩვენს ნაციონალურ სულიერ ყოფას წყაროს წყალივით სჭირდება. ის დიდი შესაძლებლობების შემოქმედია. როცა მას პოულობ როგორც შესანიშნავ პოეტს, პროზაიკოსს, პუბლიცისტსა და საბავშვო მწერალს, ცხადია, ამ პატარა განაზრებაში, რომელსაც მის ერთ-ერთ პროზაულ კრებულზე „happy sovietikus“-ზე გამოხმაურებას არქმევ, შენს სათქმელს ვერ ჩაატევ. თუმცა ზუსტად იცი, რომ მასზე საუბრისას არაერთგზის მოგიწევს სიტყვა „ნიჭიერის“ სხვადასხვა ვარიაციის გამოყენება. აუცილებლად მოგიწევს იმ სათავეებზე ფიქრი, საიდანაც მოედინება ადგილის დედის სიყვარულთან გაზავებული ეს ნიჭიერება და არაერთგზის გაიოცებ, რა კვებავს მის უსაზღვრო სულიერ ენერგიას. რა თქმა უნდა, ყველა ამ კითხვაზე პასუხს მარიამ წიკლაურის თავდაუზოგავი ინტელექტუალური შრომა — მისი ლიტერატურული მონაგარი იძლევა.

„ოდესღაც მიწის ფესვიდან გავჩნდი“ — ამბობს იგი ერთ-ერთ ლექსში. პოეტის სულიერი ენერგიის სათავე აქედან იწყება. არცერთი მყვირალა ფრაზა, ეგზალტირებული თუ ცრემლიან-ტკივილიანი ეპატაჟი, მასთან ყველაფერი იმ ძლიერ სიმშვიდეში განიცდება, რომელიც მკითხველამდე სათქმელის მიტანის საუკეთესო წინაპირობაა და ამავდროულად, მისი დიდი განცდის დამაჯერებელი არგუმენტი. ასე გადააქცევს მარიამ წიკლაური დაკვირვების საგნად ცივილიზაციის ლაბირინთებში მილეულ იმ ცნებებსა და მოვლენებს, რომლის საჭიროება და მოთხოვნილება მომაკვდავი გამხდარა. არავინ იფიქროს, რომ მისი პროზაული კრებულის სათაურად „happy sovietikus“ გამოტანილი სახელწოდება ჩაეფინება ამ მილეულ ცნებებზე ჩვენს მსჯელობას, მაგრამ მწერლის მცდელობა — კრიზისულ, პრაგმატულ, დეპრესიით აღბეჭდილ დროში ბედნიერების ფორმულასთან მიიყვანოს ადამიანები — უაღრესად ჰუმანური აქტია.

→

სალომე კაპანაძე

უხილავი ბედნიერების მატიანე

დასასრული

მარიამ წიკლაურმა თავის მოთხრობებში მიგვანიშნა ერთობ მნიშვნელოვანზე — ბედნიერება მხოლოდ გარეგანსაზღვრული არ არის, ამ შეგრძნებას მხოლოდ გარეფაქტორი ვერ მოგიტანს, თუ შინაგანად მომზადებული არ დაუხვდი. „მინდოდა ბედნიერებაზე დამეწერა წიგნი... ბავშვობაზე გამომივიდა წერა... ადამიანებზე, ეპოქაზე, დროზე, რომლის ხსენება დღეს უხერხულიც კია, მაგრამ მე ჰეფისოვეტიკუსი აღმოვჩნდი, რადგან ბავშვი „იქ“, „იმ დროს“ და „მაშინ“ ვიყავი.“

ბავშვობასთან ბედნიერების განცდის მიბმა არც სამწერლობო ნარატივშია სიახლე და არც ყოფით აზროვნებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში სათქმელის სიახლე იქ იყრის თავს, სადაც ბედნიერებას იმ ეპოქას უკავშირებ, რომლის აღქმა ყველაზე შავბნელ ხანად, აუცილებელ მოთხოვნად იქცა არამარტო ლიტერატურაში. არადა, თურმე იქაც პოულობდნენ ადამიანები საბაბს „ბედნიერებისათვის.“ გარეგანსაზღვრულობის შიდაგანსაზღვრულობით ჩანაცვლების იდეა, რომელიც სიცოცხლის ფილოსოფოსებს უკავშირდება, მარიამ წიკლაურის მოთხრობაში — „იქნებ მართლა არ არსებობს ის, მიშელ“ — საბაზისოა, რომელიც ირონიული საფარს ერთმნიშვნელოვნად კარგად ირგებს და თავის სათქმელს ასე ამბობს. იქმნება გაუცნაურების წარმატებული ეფექტი, რათა მკითხველმა თვითონვე აირჩიოს ტექსტიდან ის, რაც სჭირდება. „ცოცხალი ხსოვნით და გამძლეობით“ მოპოვებული მწერლის „არაფრით გამორჩეული ბავშვობის საბჭოეთისდროინდელ მოგონებებს“ ყველა თავისთვის გააცოცხლებს — მწერლის ბავშვობისდროინდელი თანამედროვენი ყრმობას გაიხსენებენ, თანამედროვეებმა კი შესაძლოა წარსულთან უკომპრომისო ბრძოლის მოდურ ტრადიციას გადახედონ და თავიანთი ენერგია მომავლისაკენ მიმართონ.

ლიტერატურული კრიტიკის ენით რომ ვთქვათ, მარიამ წიკლაურთან „სამყაროს შეგრძნების განახლების მეთოდი“ (ირმა რატიანი) სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული. ამჟამინდელი მოცემულობაა, რომ პოსტსაბჭოთა ლიტერატურული პერიოდი ცალსახად გამოირჩევა უახლესი წარსულის მუდმივი გადასინჯვის ტენდენციებით, რომელიც თავისი ატრიბუტიკითა და იდეოლოგიური კლიშეებით, რა თქმა უნდა, მასთან დაბრუნების სურვილს არ აღძრავს და უფრო ხშირად უარყოფითი კონტექსტის შემცველია უახლეს ქართულ მწერლობაში. უფრო მეტიც, ამ წარსულის მხატვრულ ტექსტში განფენა შესაძლოა იქცეს მწერლის ოსტატობის ერთგვარ საზომად, რადგან მისი ესთეტიზაცია მაინც საფრთხილო თემაა და თუ ამისთვის გამოცდილება არ გყოფნის, შესაძლოა ეს მწერლის, მით უფრო დამწყები მწერლის რეპუტაციისთვის სრული კრახით დამთავრდეს.

მარიამ წიკლაურთან ეს თემა მისი მორიგი მასტერკლასით მთავრდება. ეს მორიგი გამოცდაა, სადაც კიდევ ერთხელ რწმუნდები, როგორ შეიძლება აქციოს კარგმა მწერალმა სრულფასოვან ლიტერატურულ ტექსტად ყოფითი ცხოვრებისეული ნარატივი, ჩვენი შერისხული უახლესი ისტორიის ფრაგმენტები, წარსული, რომელიც ჩვენი სიცოცხლის ყველაზე სანუკვარ ხანასთან — ბავშვობასთან არის მიბმული. თურმე შესაძლებელია, რომ ზოგჯერ ადამიანური შეგრძნებები ეპოქის მიღმა დატოვო და აღიარო მისი სიწრფელე და ბუნებრიობა, რადგან რთულია ცხოვრება „მცირეოდენი ბედნიერების მოხელეთების“ გარეშე.

მარიამ წიკლაური თამამად საუბრობს „საბჭოთა ბედნიერებათა“ და „სპეცბედნიერებათა სექტორებში“ გადარჩენილი თაობის სახელით, სიფრთხილით მსჯელობს ნამდვილი ბედნიერების არსზე, რათა ამ ისედაც გათითოკაცებულ ქვეყანაში ეპოქისეულ ნგრევაში მოყოლილი ერთიანობა აღადგინოს. ბედნიერებაზე მისი მხატვრული ალუზია წარსულისგან უპირობოდ გამიჯვნის დამკვიდრებულ ტრადიციაზე ფიქრია, „ჩარეცხილი თაობის“ სევდაა, გარდამავალმა დრომ ასე უმოწყალოდ, უსამართლოდ რომ უკან მოიტოვა. „აი, რომელი ბედნიერებისთვის ვინახეთ თავები, გვეგონა საქართველოც იმწამსვე გამოგვეპასუხებოდა, მაგრამ არა, ასე არ მოხდა. ვერ გვიცნო საქართველომ ბედნიერებიდან გამოსულები, ლამაზები და თავდაჭერილები, ვერ გვენდო... ბედნიერებამ კი რომელიც არ ელოდა ჩვენგან ღალატს, რადგან ეგონა მოგვიშინაურა, დაგვიპყრო, შეგვისისხლხორცა, განრისხებისაგან ყველა მოგვიძულა, ყველა უარგვყო და დავრჩით ასე... და ვეძებთ იმ საქართველოს, რომლისთვისაც ამდენი ბედნიერება ვითმინეთ, ასე უხმოდ, უსიტყვოდ, გაძლებით... იქნებ და მართლა არ უნდა გვეშინოდეს ბედნიერების? იქნებ მართლა არ არსებობს ის, მიშელ...“

მწერალი პასუხისმგებლობას იღებს იმ წარსულზე, როცა მისმა თაობამ მაინც შეძლო, გადაერჩინა ქვეყნის ბედნიერ მომავალზე ფიქრი და ოცნება. ამ თემის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი მოთხრობა „ერთი ჩაქროლებიდან მეორემდე...“ მათხოვრობა ჩვენს სოციალურ იერარქიული სისტემაში ყველა დონეზე ვირუსივით მოედო. მწერალი გვანახებს, რომ უპოვრობა პროფესიად იქცა: „ხასიათი, მენტალობა, ყველაფერი გამოიკვეთა ამდენი წლის განმავლობაში. მათ ხომ თავიანთი კონსტიტუცია და სახლმწიფო ააშენეს, თავიანთი ლიდერებით, წვრილფეხობით. წილებით, ბიზნესით, ხელისბიჭებით, მაყურებლებით და ა. შ.“ თუმცა მწერლის მთავარი სათქმელი სწორედ იქ დევს, სადაც ამ მენტალურ, ფსიქოლოგიურ გადაგვარებას ჩვენი სოციალური ლანდშაფტის ყველა ფენაში ხედავს. ჩვენი სოციალური და სულიერი ყოფის ამ მრუმე პეიზაჟებიდან, რომელსაც იგი მოთხრობაში აღწერს, მაინც გამოკრთება დროის ულმობლობას გადარჩენილი იმედი. „ტანმაღალი, ჭაღარა, სუფთად ჩაცმული მოხუცი ქალი“ მწერალს ყოველდღე ერთსა და იმავე ადგილას, განსხვავებით სხვა მათხოვრებისა, მდუმარედ ხვდება მეტროს ჩასასვლელთან. „დგას ასე უხმოდ და ფეხმოუცვლელად. ისევე, როგორც სიღატაკე მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს და დაესახლა ჩვენში, მაგრამ ამ აუტანელი ცხოვრების მიუხედავად, მეტროს სადგურიდან მატარებლის მოძრაობის პერიოდულობით გამოდის ხალხი და იცის, ფულის ჩამგდები მის ჭიქაში მხოლოდ სამი წუთის მერე გამოჩნდება. დროს პოულობს და იქვე მეტროს სადგურის კართან ოქროულისა და ბიჟუტერიის ლამაზ ვიტრინებს ათვალიერებს“.

მარიამ წიკლაურის, როგორც მწერლის ოსტატობა სწორედ ამ პასაჟში ვლინდება. მისი სულიერი გამოცდილება ამ სცენას ხელიდან არ უშვებს, რადგან იცის „ეს მშვენიერი წამია“, რომელიც მხატვრულ ტექსტში უნდა დააარქივოს, კარგად უნდა შემოინახოს, რათა ადამიანმა „წუთით მაინც იცხოვროს ოცნებით, იფიქროს სიხარულზე, უყუროს სილამაზეს...“ რადგან „ინტერესი ჩვენი ადამიანური ბედისწერის უმთავრესი და უმაგრესი ნასკვია“.

მარიამ წიკლაურის პერსონაჟები ერთდროულად აღძრავენ ტკივილს, სიყვარულს და გაკვირვებას, რადგან გრძნობ, რომ სადღაც გინახავს ისინი და არასოდეს გიფიქრია მათ მნიშვნელობაზე შენი ადამიანური არსებობისათვის. არადა, სწორედ ისინი ქმნიდნენ და აყალიბებდნენ თურმე შენს განცდებს, ამ პატრიარქალური სივრციდან მოჩანს შენი ნამდვილი ქვეყანა, რომელსაც, შესაძლოა, მალე სრულად მიაყარონ ურბანიზაციის მტვერი და თან გაიყოლონ შენი არსებობის ყველაზე ეროვნული ნაწილი. მწერლის ეს შიში გაკრთება „კუშტია ბაბუას ლოცვაში“, „კერის ანგელოზის კვალში“ შენახულ კრამიტზე უცნაური გამოსახულებით რომ აღმოაჩენს ავტორი და მერე იტყვის: „ველი. ვიცი, სხვაც შეამჩნევს კერის ანგელოზის კვალსო“.

„კოინდრიანი ეზოს“ ესთეტიკას თუ ვერ გრძნობ და ითავისებ, მარიამ წიკლაური აქაც გაგიძღვება და აქამდე რომ უმნიშვნელო გეგონა, სასიცოცხლო მნიშვნელობით დატვირთავს შენს ცნობიერებაში. ამ მოთხრობაში ავტორი უბრალო სოფლის მასწავლებელზე გვიამბობს, „ყველა ციხე შიგნიდან ტყდება, ყველა მრისხანება ქრება, ყველა სიავე განიმქვრევა“ — დანანებით იმიტომ ამბობს, რომ წუთისოფლის ჭიდილში შენც არ წაგიცდეს ხელი და შენს ციხეს, შენს სამკვიდროს შიგნიდან არ მოუნდომო გამომტვრევა. ფესვებთან დაბრუნების, მისი მოფრთხილების სურვილი მარიამ წიკლაურთან მისი ეროვნულობის საზომი და მისი არსებობის მთავარი დვრიტაა. გუდამაყრის ხეობაზე ასული მწერალი პატარა მოთხრობაში „ვარსკვლავების ხმა“ ჩაატევს თავის ნაციონალურ „ღირებულებათა სისტემას“. სწორედ ამ „თავის მგვან და შეუდარებელ“ ხეობაში თავისი გაბრიელებით, თლოშიანთ ევებით აქვს „სულს ძალა და უნარიც, იქ იბედნიეროს, იქ იცოცხლოს და იძლიეროს, სადაც მისი ძველი, უძველესი სამყოფელია, ცისა და მიწის ნაპირზეც“.

წარსულზე მოჭიდება მარიამ წიკლაურის მოთხრობების ფუნდამენტური პრინციპია. წარსული მისთვის არამარტო შეუცვლელი ფონია, ის თანმდევია ყველაფრის, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება და მომავალშიც უნდა მოხდეს. გლობალიზაციის წყალგადასხმულ ადამიანთა გაცხადებული სურვილი, წარსულის გარეშე დააპირონ ცხოვრება, მრუდე სარკეში ცქერას მოგვაგონებს, ისე, როგორც მარიამ წიკლაურის ერთ-ერთ მოთხრობაშია, რომელსაც მწერალი ასე არქმევს — „ყვავებთან მოლაპარაკე დედაბერი“. სათაური იმთავითვე ამჟღავნებს ვინმე დედაბრის არცთუ სანდო რეპუტაციას, თანასოფლელებმა რომ შექმნეს წუთისოფლის ტკივილისგან გამოჩიავებული და გამარტოსულებული ვასასიესგან, რომელსაც ცხოვრებამ სასტიკი გამოცდა მოუწყო, ერთადერთი შვილი სიკვდილმა წაჰგვარა და სიყვარული — ომმა. მის წარსულს არავინ კითხულობს, წარსულს ზურგშექცეულმა ადამიანებმა მხოლოდ ის იციან, რომ ყვავები ხშირად სტუმრობენ ვასასიეს. არადა: „ძნელია, როცა გარშემო დიდი უღმერთობის ზარზეიმია, შენ გჯეროდეს, რომ ცაშია ბედნიერება. მოიხრები, მოიკაკვები და დაადებ შუბლს მიწას და ვეღარც გასწორდები... დარჩები ასე ტყისპირს ლეგენდის ურჩხულივით, ყველას შეეშინდება შენი და ვერასდროს დაიჯერებენ, რომ შენ შეყვარებული გოგოც იყავი, სატრფო ფრონტზე გააცილე, ერთი ბარათიც არ დაგრჩენია მისგან“.

მარიამ წიკლაურის მოთხრობების წიგნი „happy sovietikus“ წარსულის ხელნაწერებით მოხატული მხატვრული სივრცეა. „ხელნაწერები იმისაა, ყველა დროში მაინც გაქრეს, მაინც გაფერმკრთალდეს, მაინც განიმქვრეს. ჩვენი გულები კიდევ იმისაა, აი, ამ გამქრალ ხელნაწერებსაც რომ კითხულობდნენ“.

ეს თეზა თანმდევ სათაურად გასდევს მისი მოთხრობების უმეტესობას, თუმცა მოთხრობაში „დაბადება“ მწერლის რაკურსი იცვლება და აქ ინტერტექსტუალური ლიტერატურის საუცხოო ნიმუშთან გვაქვს საქმე. ვფიქრობთ, მას სიამოვნებით მოაწერდა ხელს მსოფლიოში ცნობილი ნებისმიერი მწერალი ქალი.

დედობის მისტიკურ განცდასა და დაბადების საიდუმლოს გამჟღავნება არაერთ ლიტერატურულ ტექსტს აუღია საკუთარ თავზე. მარიამ წიკლაურის „დაბადება“ ამათგან ერთ-ერთი საუკეთესოა. დედაშვილობა ამქვეყნად ყველაზე „არაფორმალური“ განცდა და ალბათ ბოლომდე შეუცნობელი ურთიერთობაა. შეუცნობელის შეცნობა კი ნიჭიერი შემოქმედის ინსტინქტია, მისი სააზროვნო ფუნქციაა. ქალის მისია მარიამ წიკლაურთან იქ იყრის თავს, სადაც წამები რჩება ახალი სიცოცხლის დაბადებამდე, როცა ტკივილიანი ბედნიერების და სამყაროსთვის ახალი სიცოცხლის ჩუქების გაცნობიერებული განცდა იღვიძებს: „მალე უნდა გაცხადებულიყო უფლის საიდუმლო, რომელიც ყველა ქალშიც ისევეა ჩაფიქრებული და ჩატეული, როგორც თავად ღმერთში — მთელი სამყარო. სიყვარულის გადაცემის ვალდებულება: „გზა უნდა დამეთმო მომავლისთვის არა ყვირილითა და რისხვით, არამედ სიყვარულითა და დანდობით“.

ჩვენს გადასარჩენად სიყვარულისა და დანდობის მნიშვნელობის გააზრება მარიამ წიკლაურის შესანიშნავი წიგნის „happy sovietikus“ ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. რისხვის ისტერიით დაავადებულ ჩვენს რეალობას ეს წიგნი ამიტომაც უსახსოვრა. როგორც თავად აღნიშნავს: „ჩემი მეხსიერების ყულაბაში უამრავი ამბავია, მაგრამ რომელიც არ უნდა დამეწერა, მაინც ეს უნდა მეთქვა, რომ ადამიანი ბედნიერებისთვისაა შექმნილი, ადამიანს უნდა უყვარდეს, ადამიანს უნდა სწამდეს, ყველა დროში თავისი არსებობის სიმართლე უნდა გააჩნდეს... ადამიანი უნდა გადარჩეს!“

მარიამ წიკლაური წლებია ჩვენი გადარჩენისათვის იბრძვის — პროზით, პოეზიით, საზოგადოებრივი ცხოვრებითა და მოქალაქეობრივი პოზიციით. მინდა დაგარწმუნოთ, თუკი მისი წიგნები ჩვენს თარომდე მოაღწევს და იქ დაივანებს, სულიერი კვდომისაგან უსათუოდ უნდა გადავრჩეთ და არც ბედნიერება გაგვიფრინდება ხელიდან.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004